# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№2 (68) მარტი-აპრილი, 2019 წელი ფასი 2 ლარი



ეროვნული ბიბლიოთეკა

1970
2019 №2


## ნომრის ავტორები

ალექსანდრე ლორთქიფანიძე & ნორა გომრინგერი





### პოეზია
პაატა შამუგია
რუსუდან კაიშაური
თინათინ ხუტურიძე
დიტო ხუფენია
ნიკა ლაშხია

### პროზა
ლუკა ბოხუა
ვახტანგ კომახიძე
ბექა ახალაია

### კრიტიკა, ესეისტიკა
მანანა კვაჭანტირაძე
ლელა კოდალაშვილი

### თეატრი
დავით ჩიხლაძე

### ახალი თარგმანები
სპარსული კლასიკური პოეზიის ნიმუშები
შირლი ჯექსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

## ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

უთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

საუნჯე
PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

მწერალთა
სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნომრის ავტორები**

***ალექსანდრე ლორთქიფანიძე***

ელისო მეტრეველი – ალექსანდრე ლორთქიფანიძე – „ხვიარას ბუნება" – 3
ალექსანდრე ლორთქიფანიძე – ლექსები – 10
**ამონარიდები** – 14

***ნორა გომრინგერი***

*მოამზადა ბელა ჩეკურიშვილმა*

**ბიოგრაფია** –15
ბელა ჩეკურიშვილი – ამბები ხილულთა და უხილავობათა – 17
ნორა გომრინგერი – ლექსები „ტრილოგიიდან" – 18
ნორა გომრინგერი: მე ამ ტექსტს ბოლომდე წავშლიდი (ინტერვიუ) – 22
**ნორა გომრინგერის პროექტი Peng Peng Parker** – 24
ნორა გომრინგერი – ლექსის ანალიზი – 25

**პოეზია**

პაატა შამუგია – 27
რუსუდან კაიშაური – 29
თინათინ ხუტურიძე – 32
დიტო ხუფენია – 37
ნიკა ლაშხია – 41

**პროზა**

ლუკა ბოხუა – ჰეტეროსკედასტურობა გენიალურობაში – 43
ვახტანგ კომახიძე – მტრები და პეპლები – 54
ბექა ახალაია – ქალის ჩაქოლვა – 59

**კრიტიკა, ესეისტიკა**

მანანა კვაჭანტირაძე – ჩანაწერები – 64
ლელა კოდალაშვილი – უილიამ ფოლკნერის ნატვრის ხე და მისი სასწაულები – 68

**თეატრი**

დავით ჩიხლაძე – ზებრა-ალგებრა: პიესები და სტრუქტურობიკები 2-განზომილებიანი თეატრისთვის – 70

**ახალი თარგმანები**

**სპარსული კლასიკური პოეზიის ნიმუშები** (სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავამ) – 75
შირლი ჯექსონი – გასაუბრება (ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარელმა) – 79

4 5 6

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
ალექსანდრე ლორთქიფანიძე
ბელა ჩეკურიშვილი
პაატა შამუგია
რუსუდან კაიშაური
თინათინ ხუტურიძე
დიტო ხუფენია
ნიკა ლაშხია
ლუკა ბოხუა
ვახტანგ კომახიძე
ბექა ახალაია
მანანა კვაჭანტირაძე
ლელა კოდალაშვილი
დავით ჩიხლაძე
გიორგი ხულორდავა
ქეთევან თუხარელი

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

*ელისო მეტრეველი*

*პირველად იყო „ვარდისფერი ავტობუსი". არა, პირველად აქაც სიტყვა იყო, „მანიფესტი": „ჩვენ ვართ იდუმალი პლეადა უკვდავი ხალხის / ჩვენ ვართ ვარდისფერი ავტობუსის პოეტები / ავტობუსისა, რომელიც ვარდისფერ თავისუფლებაში მიდის... / რევოლუციაა ჩვენი ცხოვრების აქტი... / ჩვენ ვოცნებობთ მსოფლიო რევოლუციაზე / რევოლუცია ჩვენი ხელოვნებაა..." ამ მანიფესტს სხვებთან ერთად წერდა „ხვიარაც" – ალექსანდრე ლორთქიფანიძე, „ვარდისფერი ავტობუსის" ერთ-ერთი მგზავრი. პოეტური ორდენი „ვარდისფერი ავტობუსი" დაახლოებით სამი წელი არსებობდა და სანამ დაიშლებოდნენ, ერთობლივი კრებულიც გამოსცეს.*

*ბავშვობაში ერთი ფილმი ნახა, რომლის პერსონაჟიც იყო „ხვიარა", პოსტაპოკალიფსურ დედამიწაზე უცხოპლანეტელების წინააღმდეგ აჯანყებულთა მეთაური. მოეწონა, წლების მერე მეგობრებმაც უთხრეს, რომ ნამდვილი „ხვიარა" იყო, ოღონდ ისეთი, ყველგან რომ ძვრებოდა და ყველაფერში რომ ეხვეოდა, ცნობისმოყვარე. ახლა ფსევდონიმით აღარ წერს, თუმცა „ხვიარას ბუნება" არ დაუკარგავს – ათას რამეს ედება და ათასი რამე აინტერესებს.*

*ალექსანდრე ლორთქიფანიძისთვის „ვარდისფერი ავტობუსის" წლები არის უამრავი სიახლის და თავისუფლების დრო. ჩქარი ტემპით და მოულოდნელობებით სავსე წლები. ახალი ადამიანები და ახალი ავტორები, ახალი ტექსტები. დილამდე კითხულობენ „ახალაღმოჩენილ" ჯეკ კერუაკს და ფუტურისტულ-დადაისტურ ექსპერიმენტებს ატარებდნენ; ეძებენ ახალ ფორმებს და სათქმელს და ამ ძებნის პროცესში ბევრ რამეს*



*ეჯახებიან, ბევრ ძველსაც იმეორებენ; ეძებენ საკუთარ თავს და მოძრაობენ „ვარდისფერი ავტობუსით" იქამდე, სანამ ეს უკანასკნელი „ნაწილებად არ დაიშლება".*

„მგონი ყველაფერი დაიწყო ჩემი და ალექს ჩიღვინაძის დამეგობრებით. მაშინ იყო საიტი „ლიტერატურაჯი", ერთგვარი ფორუმი. იქ ქვეყნდებოდა ყველაფერი – ახალი ლექსები, პროზა, შეფასებები, კომენტარები. იქ გავიცანით ერთმანეთი მე და ალექსმა, დაემთხვა ჩვენი იდეები ერთმანეთს. მეამბოხეები ვიყავით, გვინდოდა, რაღაცები „გაგვეფუჭებინა", „აგვეფეთქებინა". მერე შემოგვიერთდნენ დანარჩენებიც – დათო ყანჩაშვილი, შოთა დიღმელაშვილი და ზაზა კოშკაძე – სულ ხუთნი ვიყავით. ხშირად ვიკრიბებოდით. ძალიან გვიყვარდა, კოსტავაზე რომ ლიტერატურული კაფე იყო. იქ მქონდა პირველი პოეზიის საღამოც. ბევრ პოეტურ არტაქციასა და პერფორმანსში ვმონაწილეობდით. ამ პოეტური ჯგუფის ერთგვარი სავიზიტო ბარათი იყო ლიტერატურა და აქტივიზმი. ერთხელ ავტობუსი „გავიტაცეთ". გავიტაცეთ, რა, მთელი ავტობუსი ჩვენ გავავსეთ და ლექსებს ვკითხულობდით ერთი რეისის განმავლობაში. 61 ნომერი ავტობუსი იყო, გზადაგ-



ზა ამოდიოდა ხალხი და ძალიან უცნაურ გარემოში ხვდებოდა. ასეთ რაღაცებს „ჰეფენინგებს" ვეძახდით, უეცარ პოეტურ გამოვლინებებს – პერფორმანსს ვაწყობდით შუა ქუჩაში, უნივერსიტეტებში, კაფეებში. ზურა რთველიაშვილი და ირაკლი კაკაბაძე რომ დაიჭირეს, მათი მხარდასაჭერი აქცია გვქონდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან. მერე პოლიცია მოვიდა და დაგვაკავეს, მალევე გამოგვიშვეს, როგორც ჩანს, ძალიან საშიში სუბიექტები არ აღმოვჩნდით. მოკლედ, ლიტერატურული საქმიანობის გარდა „ვარდისფერი ავტობუსის" მთელი ის გზა იყო აქტივიზმიც".

*შარშან თბილისის მე-4 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე ქართული პოეტური გაერთიანებების რეტროსპექტივა მოეწყო. ცოტა ხნით დაბრუნდა „ვარდისფერი ავტობუსიც", თუმცა ყველა ვერ შეიკრიბა. და საერთოდ, თავის დროზეც იმაზე ადრე დაიშალნენ, ვიდრე წარმოედგინათ. კრებულის გამოცემის შემდეგ თითქოს ინტერესიც გაქრა. ამბობს, რომ სხვა მიზეზებიც იყო, სხვა ეტაპი დადგა, მოძრაობაც და წევრებიც სხვა ეტაპზე გადავიდნენ და რაღაც საკითხებზე ველარ თანხმდებოდნენ: აქტივობის სიხშირეზე, სიმწვავეზე, მიმართულებაზე; როგორი უნდა ყოფილიყო ეს აქტივობა – უფრო საველე თუ უფრო აკადემიური და ასე შემდეგ... აქეთ-იქით გადაქაჩვას არჩიეს, ინდივიდუალურად გაეგრძელებინათ გზა.*

„საერთოდაც, დრო შეიცვალა, ინდივიდების დრო მოვიდა. ნებისმიერს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა, თუნდაც სოციალური ქსელებით. აღარ არის ეს პრობლემა. შემიძლია, დღეს გამოვხატო ჩემი აზრი და ასევე შემიძლია, შევიცვალო კიდეც აზრი და ამის გამო კოლექტიური თუ რაღაც ჯგუფის პასუხისმგებლობები არ უნდა მზღუდავდეს, ამის უფლება მაქვს. ახლა რომ დავფიქრდი, ჩვენი ჯგუფის დაშლა საქართველოში ფეისბუკის შემოსვლას ემთხვევა. ასაკობრივადაც შეიცვლა რაღაცები, თუ ადამიანები პატარა ასაკში შეთანხმებული არიან რაღაც ღირებულებებზე, იდეებზე, მერე იზრდებიან და სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებიან, სულაც კონკრეტული პოლიტიკური პოზიციის გამო შეიძლება გახლეჩა. კოლექტიური იდეის დაბადება რთულია, ამას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობა სჭირდება. კი, ცისფერყანწელები გაცილებით დიდხანს იყვნენ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. გულწრფელად ვიტყვი, ბოლომდე ვიბრძოდი, რომ „ვარდისფერი ავტობუსი" არ დაშლილიყო. ხანდახან დღემდე ვერ ვხვდები, რომ მას შემდეგ ათი წელზე მეტი გავიდა და ვფიქრობ ხოლმე, მოდი, რა უჭირს, აღვადგინოთ ყველაფერი, დავისვენეთ, გვეყო... თუმცა სინამდვილეში ძალიან დიდი დროა გასული".

*მწერალი საჯაროდ გამოხატავს თუ არა საკუთარ პოზიციას, იქნება თუ არა „აქტივისტი", ეს საავტორო დამოუკიდებლობის საკითხად მიაჩნია და მისთვის მისაღებია ორივე პოზიცია. არა მგონია, რომ მხოლოდ აქტივიზმმა აქციოს ადამიანი კარგ მწერლად, თუ ის კარგ ტექსტებსაც არ წერსო. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რა ჟანრში წერს, რა დროზე წერ, რეალურად ხომ ყველა ტექსტი მაინც იმაზეა, რაც ადამიანებს აწუხებს, კაცობრიობას, თორემ თანაგანცდა ხომ არ გვექნებოდაო. შეიძლება ტექსტში დრაკონები იყოს, მაგრამ რეალურად სიყვარულზე წერდე და თანასწორობაზე.*

„თანამედროვე სამყაროში ძალიან შემცირდა დისტანცია ნაწარმოებსა და ავტორს შორის. მთელი ეს ვირტუალური სივრცე ძალიან აახლოებს ადამიანებს. მაგალითად, ჩემით რომელიღაც უცხოელი კუმირისთვის მიმიწერია და იმასაც უპასუხია. ამიტომ მგონია, რომ დღეს გარკვეული დამატებითი პასუხისმგებლობა აქვს ავტორს, თუკი ის წერს იმ საკითხებზე, რომლებისთვისაც ბრძოლა სხვა მოედნებზეც შეიძლება. თუ მე ვეხები ადამიანის უფლებებს, სიტყვის თავისუფლებას და ამავე დროს ჩემ გვერდით ვიღაც იჩაგრება სიტყვის თავისუფლებისთვის და მე ამის წინააღმდეგ არ გამოვდივარ, შეიძლება გასაკიცხი არ იყოს, მაგრამ ძლიერი პოზიციაც არ მგონია. არის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არის ადამიანური, პერსონალური პასუხისმგებლობა. შენ თუ მართალი ხარ შენს ტექსტში, თუ ძალიან განუხებს ის, რაზეც წერ და ამ დროს გამოჩნდება ასპარეზი, სადაც შენი პატარა ხმაც კი რაღაცას ნიშნავს და არაფერს ამბობ, მკითხველი შეიძლება დაეჭვდეს შენს გულწრფელობაში. თუმცა არ მინდა ხისტი ვიყო. ყველაფერი ინდივიდუალურია. არიან ადამიანები, რომლებსაც უბრალოდ არ შეუძლიათ სოციალური აქტიურობა, გამოსვლა, ლაპარაკი. და მაინც, საავტორო პოზიციის დაფიქსირება ძალიან მნიშვნელოვანი მგონია დღეს და ამ სამყაროში".

*„ვარდისფერი ავტობუსიდან" დღემდე ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. იმ პერიოდის ლექსებში მოსწონს ემოცია, შემართება, სულისკვეთება, პოზიცია, მუხტი. არაფერს არ შევცვლიდი, რისთვისაც შეიძლება მებრძოლა მაშინ, ახლაც იმისთვის ვიბრძვიო. თუმცა ტექნიკის თვალსაზრისით ძალიან არ მოსწონს ის ლექსე-*

**ბი. ამბობს, რომ აუცილებელია კრიტიკა. დარწმუნებულია, რომ ყველაფერთან ერთად კრიტიკის მიმღებლობამ შეცვალა, როგორც ავტორი. კრიტიკამ მისცა საშუალება, გარედან შეეხედა საკუთარი ტექსტებისთვის, ცივი გონებით. მეორე წიგნი 2011 წელს გამოსცა – „ლურჯი", შემდეგ „გამჭვირვალე" გამოვიდა. ოთხი წელი იყო გასული „ვარდისფერი ავტობუსიდან" და იქ უფრო ინდივიდუალური და დამოუკიდებელი ალექსანდრე ლორთქიფანიძის ლექსები შევიდა. თუმცა „ლურჯშიც" და „გამჭვირვალეშიც" არის ლექსები, რომლებიც დღეს აღარ მოსწონს. ყველაზე სწრაფად „გამჭვირვალე" დაწერა.**

„ეს დრო სავსე იყო ბევრი პირადი ტრაგედიით და უსიამოვნებით. ურთიერთობების ნგრევით, ღალატით, იმედგაცრუებით; ჩემი აღმზრდელი ბებია გარდაიცვალა. 2012 წელი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იყო ჩემს ცხოვრებაში. ჰოდა, როგორც ჩანს, ბევრი დამენერა და უცებ გამოიცა „გამჭვირვალე", რომელიც წინა წიგნისგან განსხვავებით უფრო კონცეპტუალურად გააზრებული იყო. ბოლო წიგნი, „მოწითალო და მოშავო", რომელიც 2017 წლის ბოლოს გამოვიდა, ყველაზე მძიმედ ამოსათქმელი აღმოჩნდა ჩემთვის, სამნაწილიანია. პირველი – მოწითალო, რომელიც დაიწერა ერთ ღამეში; მეორე – და, რომელიც რომანტიკული ლექსია და ამოვარდნილია ყველაფრიდან, თითქოს ამოსუნთქვის საშუალებაა; მესამე – მოშავო, რომელიც 2013-დან 2017 წლამდე დაწერილი რამდენიმე, კონცეპტუალურად გააზრებული ლექსისგან შედგება. მოწითალო არის ალბათ ყველაზე მძიმე რამ, რაც კი დღემდე დამიწერია. როგორც ჩანს, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა ის, რაც „მოწითალოში" ამოვთქვი. ბორჯომში ვიყავით მე და ჩემი მეუღლე და ერთ საღამოს ვუთხარი, რომ ამ ღამით უბრალოდ არ ვარსებობ, არ ვარ. შევიკეტე, ყურსასმენი გავიკეთე და მთელი ღამე ვწერდი. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე წავიდა, წავიდა, წავიდა, წავიდა... სანამ ბოლო წერტილამდე არ მივედი. ერთ ამოსუნთქვაზე დაიწერა და ბოლოს ვიყავი სრულიად დაცლილი, ცარიელი. დღემდე მომწონს, ალბათ, ჯერ არ გასულა ის დრო, როცა კრიტიკული თვალით შევხედავ. ეს არის დიდი გულწრფელობა და ალსარება. „მოწითალოში" ისეთი რაღაცები მაქვს დაწერილი, რასაც ალსარების დროსაც კი ვერ ვიტყოდი, მოვმერიდებოდა".

**პროფესიონალი მსახიობი და დრამატურგია. მუშაობს ტელევიზიაში, გადაცემა „წიგნების თაროში". წერს ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, კინოსცენარებს. და წერს ბლოგებს – პროფესიულ კლიშეებსა და პროფესიის შერჩევის სირთულეებზე, ბავშვის ემოციების სიმძაფრესა და სერიოზულობაზე, მკითხველებსა და წიგნებზე, სიკეთესა და ბულინგზე, სხვა რამეზეც. კიდევ ბევრს კითხულობს, ზოგჯერ სისულელეც შემოეკითხება ხოლმე, მაგრამ იცის, რომ ამისგან არავინაა დაზღვეული. ერთხელ ამაზე ბლოგიც დაწერა, რა უნდა წაიკითხოს ადამიანმა? ამბობს, რომ მხოლოდ ის, რისი წაკითხვაც უნდა. ოღონდ მუდმივად უნდა იკითხოს, „მაჯისცემაზე" ედოს ხელი, რადგან ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია – რაღაც არქაიზმად იქცევა, რაღაც ქრება, რაღაც სახეს იცვლის და რაღაც კიდევ სრულიად ახალი ჩნდება. კარგი მკითხველი თავისუფალია და მას შეუძლია, თვითონ იყოს კრიტიკოსიც და ექსპერტიც.**

„მგონია, რომ წიგნს თავად მიჰყავს მკითხველი ნელ-ნელა განვითარებისკენ. თუ რაღაც კონკრეტულ მომენტში ადამიანს უნდა, ბულვარული რომანები იკითხოს, უნდა იკითხოს. მთავარია, აქტიურ მკითხველად იქცეს, რაღაც დროს აუცილებლად მივა უფრო ღირებულ ტექსტებთან. დღეს ყველას შეუძლია დაწეროს, ყველას შეუძლია გამოაქვეყნოს და ძალიან პოპულარულიც გახდეს. უამრავი ბესტსელერი გვინახავს, აბსოლუტური იდიოტობა რომ არის. ერთადერთი იარაღი სამკითხველო გამოცდილებაა. პროფესიონალი კრიტიკოსიც შეიძლება იყოს სუბიექტური. არის კიდევ დრო, რომელიც ყველაფერს ახარისხებს. მაგალითად, „ჰარი პოტერის" შემდეგ უამრავი საგა დაიწერა, კარგებიც, ცუდებიც: „ბინდი", „ნისლქმნილი", „ქარის სახელი", „ჯადოქრის პირველი კანონი", „მხედვარი" – უამრავი ფენტეზი, მაგრამ ზოგი ახლავე აღარ ახსოვთ, „ჰარი პოტერის" შემდეგ 20 წელი გავიდა და ისევ აქტუალურია, ვინ წაიკითხავს 20 წლის მერე „ვამპირის დღიურებს"? ვფიქრობ, ასი წელიც რომ გავა, „ჰარი პოტერს" ასევე წაიკითხავენ, როგორც ასტრიდ ლინდგრენს, როგორც ალან მილნს. მაგრამ დღეს რომ წიგნი გამოდის, 20 წელი ხომ ვერ დაელოდები, ამიტომ ბევრი უნდა იკითხოს ადამიანმა, რომ გამოიმუშაოს ტექსტის შეფასების უნარი, რომ საკუთარ გემოვნებას დაეყრდნოს".

**ზოგჯერ მოთხრობებსაც წერს. სამი მათგანი შესულია სხვადასხვა წლის „15 საუკეთესო მოთხრობაში". „წეროსა" და „ინსომნიის" პროექტებშიც მონაწილეობდა და იქაც დაიბეჭდა. ვერასდროს ჯდება ასე, „მოდი, ახლა ლექსს დავწერ". ხან რაღაც ფორმა აეკვიატება, ხან ემოცია, ხან სიტყვები, ხან მელოდია, შეიძლება სამი სიტყვა იყოს და მერე მთელი ლექსი „მოიტანოს". ამბობს, რომ უფრო რთულია ფორმის და ტექნიკური სამუშაოს თვალსაზრისითაც პიესებზე მუშაობა.**



*„დისტოპიესები“ 2017 წელს გამოსცა. მასში დაბეჭდილი ექვსი პიესიდან ხუთი უკვე დაიდგა. ოთხი მინიპიესა სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაიდგა, მეხუთე კი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე.*

„ახლა სხვა მხარეს გადავერთე – რომანს ვწერ. ბოლო ორი წელია, ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ ვერ ვწერდი, სანამ „მოწითალო და მოშავო“ არ გამოვეცი, მიჭირდა კონცენტრირება. ვწერ უფრო ტაატით, ნელი ტემპით. ბოლომდე არ მაქვს გამომუშავებული რომანისტების მოთმინება, დისციპლინა, უფრო „პოეტურად“ ვწერ. ცოტა მძიმე თემაა, ჩემთვის ძალიან ემოციური ამბავი, რომელიც დაახლოებით 4-5 წლის წინ მოხდა საქართველოში. ერთ-ერთი რელიგიური სკოლა-პანსიონიდან გაიქცა გოგო, ძალიან ექსტრემალურ ვითარებაში. გაქცევის მიზეზი იყო ის, რომ აღმზრდელი ძალადობდა მასზე, იყო გაუსაძლის პირობებში. ამაზე შემდეგ დიდი ამბავი ატყდა, ბევრი ვინმე ჩაერია. ჩემთვის შემაძრწუნებელი იყო ის, რომ მშობელმა მიიღო გადაწყვეტილება და გოგონა დააბრუნეს სასწავლებელში, მოძალადესთან, მოძალადეებთან. მედიას ჰქონდა მცდელობა, რომ იქ დაბრუნების შემდეგ ამ გოგოს შეხვედროდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ეს ამბავი იყო ჩემთვის ინსპირაცია, დამეწყო წერა იმაზე, თუ როგორ იმალება ავტორიტეტულ სივრცეებში ძალადობა, ავტორიტეტების განრისხების შიშის გამო, და არა მხოლოდ რელიგიურ სივრცეში. არ ვიცი, რა გამოვა, უფრო სახიფათოა, ვიდრე „ჩვეულებრივ“ თემაზე მუშაობა. დიდია ხიბლში ჩავარდნის საფრთხე, თემას იმდენი მოაქვს, რომ შეიძლება ყურადღება აღარ მიაქციო ლიტერატურულ ხარისხს. ცოტა სკანდალურიც იქნება. მითხრეს, იქნებ ფსევდონიმით გამოსცეო. არა, ვაპირებ ჩემი სახელით და გვარით დავბეჭდო“.

*კიდევ იყო ანა ბერია, ერთგვარი მისტიფიკაცია, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ გაჩნდა. ალექსანდრე ლორთქიფანიძე ანა ბერიას სახელით ლექსებს წერდა, მისი მეგობარი დათო ჩიხლაძე („გონზო“)კი „ფუთავდა“. ანა ბერია „იყო“ ახალგაზრდა ქალი სამაჩაბლოდან, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც ფინეთში ცხოვრობდა და იქიდან გზავნიდა ლექსებს. დათო წერდა ბლოგებს, გამოხმაურებებს, ავრცელებდა სხვადასხვა ინფორმაციას. ბოლოს ძალიან რომ ჩაეძიენ, ველარ დამალეს და ყველაფერი გამჟღავნდა. მცირე ტირაჟით ანა ბერიას ლექსებიც დაიბეჭდა. წერს კინოსცენარებსაც. დაახლოებით სამი წლის წინ მისი სცენარით გადაიღეს ფილმი, რომლის პრემიერაც კანის ფესტივალზე შედგა. ქართულ-არაბულ-ამერიკული პროექტი იყო, უცხოური ბაზრისთვის შექმნილი პროდუქცია, ომანში გადაიღეს. პრემიერა საქართველოშიც იყო, „პრომეთეზე“. ჯერჯერობით ეს ჩემი ყველაზე წარმატებული კინოსცენარიაო, ამბობს. ვმუშაობ იმის მიხედვით, როდის და რისთვის მაქვს დრო და საერთოდ, ჩემი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, ანტაგონისტი და ოპონენტი დროა, რომელიც აღარაფერზე მყოფნისო. იმის მიუხედავად, რომ ნელა მუშაობს, იმედი აქვს, რომ რომანს წელს დაასრულებს. კიდევ არის „გრიმოს 12“, რომელიც ახლა იდგამს ფეხს და დიდი გეგმები აქვს.*

„შარშან დავაფუძნე ჩემს მეგობრებთან ერთად „გრიმოს 12“, საგანმანათლებლო სივრცე. ერთი მხრივ, ეს არის კომერციული პროექტი, სწავლა ფასიანი, თუმცა, მეორე მხრივ, მინდა, სოციალურადაც პროექტიც იყოს. უკვე გამოვაცხადეთ, რომ სოციალურად დაუცველი თითოეული ადამიანისთვის სწავლა უფასო იქნება. ბევრი რამისთვის დრო აღარ მრჩება, მთლიანად „წიგნის თაროზე“ ვარ გადართული, წამყვანიც ვარ, სცენარისტიც. რა თქმა უნდა, ეს სამუშაო არ არის იდეალური მწერლისთვის, მაგრამ ჩემთვის ძალიან საყვარელი საქმეა, რადგან წიგნებთან, ახალგაზრდებთან მაქვს საქმე. ვგრძნობ, რომ კარგ რაღაცას ვაკეთებ. ამავე დროს, რაკი წიგნებთან მაქვს საქმე, გონებას ვატყუებ, რომ ისევ აქტიური ვარ, ისევ წიგნებში ვარ „ჩაფლული“ და ნაკლებად მახსენდება, რომ უნდა ვწერო. იდეალური იქნებოდა ალბათ ის, რაც საკმარის შემოსავალს მოიტანდა და საკმარის დროს დატოვებდა წერისთვის. სამყაროში ასეთი ბევრი რამე შეიძლება იყოს და ამავე დროს, ცოტაც – საქართველოში სამუშაო ადგილების პრობლემაა. არსებობს იდეების მომტანი პროფესიები და საფრთხეც: პროფესიულმა ინფორმაციამ არ გადასძლიოს ლიტერატურას, ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ ხოლმე ლიტერატურასა და მეცნიერებას, ცუდად ურევენ, თორემ ფანტასტიკური ქიმიკოსი იყო აზიმოვი და ფანტასტიკურ ტექსტებსაც წერდა“.

*უმნიშვნელოვანესია ეს მასშტაბურობა, რაც ახლაა, როცა ყველაფერზე მიგიწვდება ხელი, მწერლისთვის განსაკუთრებით –*



***მიუხედავად იმისა, რომ ამ ზღვა ინფორმაციაში უარყოფითი სჭარბობს. რა თქმა უნდა, საფრთხეცაა იმავე მწერლისთვის, რომ ყველაფერი მიიღოს და მაღალმხატვრულ ტექსტად აქციოს. თვალს არ არიდებს არაფერს, არც ტრაგიკულ ამბებს და არც სასტიკ კადრებს. შეიძლება ცუდად გამომდის, ამ ყველაფერს „სამწერლო ყნოსვას“ რომ ვარქმევ, მაგრამ ვიცი, რომ არ უნდა ვიუარო რეალობაო. რაწამს ვეცდები, რომ დამცავი კედელი ავაშენო, იმწამს დავკარგავ რეალობასთან კავშირს, რეალობის აღქმას და ეს ცუდი იქნება ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, როგორც ავტორისთვისო.***



„როცა ვამბობ, თვალს არ ვარიდებ, მშრალი და ცივი თვალებით კი არ ვუყურებ, ზოგჯერ ძალიან ბევრს ვტირი. მეორე მხრივ, შემიძლია ვიტირო, აი, ძალიან სულელურ ბლოკბასტერზეც, სერიალზეც, უამრავ კლიშე სცენაზე წამოვგებულვარ. უბრალოდ, ეს ტექნიკის ამბავია, ამ ხერხების სწავლა შეიძლება, არ არის საჭირო გენიოსი სცენარისტი იყოს, რომ მაყურებელი აატირო. რაც უნდა ცუდი სათქმელი იყოს, ომი, რყევა, რევოლუცია, პირადი ტრაგედიებიც კი მწერლისთვის კარგია, მეტი ინსპირაციაა, მეტი განწყობა და ემოციაა, ბევრნაირი. არჩევანი რომ იყოს, არც ომს აირჩევდი კაცი და არც პირად ტრაგედიებს. როცა მართლა კარგი ლექსი დამიწერია, რაშიც დიდი ენერგია ჩამიდია, შემდეგ მთლიანად გამოფიტული და დაცლილი ვყოფილვარ, თითქოს 48 საათი არ მიძინია, თითქოს მთელმა ამ უარყოფითმა ენერგიამ ჩემს სხეულში გაიარა და გადავიდა ეკრანზე – ფურცელზე აღარ ვწერ. ალბათ, ბოლო 10 წელია არ დამიწერია მაჟორული ლექსი. თუ კარგად ვარ, ლექსს ვერ ვწერ – თუ კარგად ვარ, სად მცალია წერისთვის“.

***„ანარქისტი და რევოლუციონერი“ აღარ არის, რაღაც განელდა, თუმცა არ ჩამქრალა. ცოტა ცხოვრების ტემპმა და პასუხისმგებლობებმა დამჯაბნეს, მაგრამ არსად წასულა ის ბავშვი, რომელსაც სულ რაღაცების გაფუჭება, აფეთქება და სათამაშოების დაშლა უნდაო. ზოგჯერ, როცა მკითხველთან შეხვედრა აქვს და ატყობს, რომ ყველაფერი ძალიან ემსგავსება აკადემიურ, სალონურ სივრცეს, ისევ „ცუდად იქცევა“, რაღაცის გაფუჭებას იწყებს... არის საქართველოს ინტელექტ-კლუბის „რა? სად? როდის?“ მოაზროვნე. ერთხელაც, როცა დარწმუნდა, რომ პირადი ცხოვრების „აფეთქების“ დროც დადგა, მეგობრის დახმარებით კიდევ ერთი „სცენარი“ დაწერა, მერე კი „ბატონი წამყვანის“ მხარდაჭერაც მოიპოვა; მორიგი თამაშის დროს „შავი ყუთიდან“ საქორწინო ბეჭედი ამოიღო და თავისი გუნდის წევრს, ანი მარდალეიშვილს ხელი სთხოვა... სულ მალე მეორედ დაიბეჭდება სანდრო ლორთქიფანიძის საბავშვო წიგნი „იავნანა ლილისთვის“. ეს წიგნი მის ოჯახზეცაა და ყველა იმ ოჯახზეც, სადაც „კაცები ზრუნავენ“:***

„ჩართული ვარ გაეროს პროექტში „კაცები ზრუნავენ“, ამ პროექტისთვის დაიწერა „იავნანა ლილისთვის“, რომელიც ძალიან ლამაზად გააფორმა სოფო კირთაძემ. „კაცები ზრუნავენ“ რომ იწყებოდა, მე მოვინდომე, მასში მონაწილეობა. მგონია, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი. მე თვითონ დედამ და ბებიამ გამზარდა და ბავშვობიდან ძალიან ნაცნობია ჩემთვის ეს ტვირთი, მით უმეტეს – მარტოხელა ქალების ტვირთი ოჯახში. ძალიან მინდა, რომ ეს ყველაფერი შეიცვალოს. ეს მარტო ჩემი ამბავი არ არის, საქართველოს დიდი ნაწილის ამბავიცაა. დედები მუშაობენ კიდეც, სახლსაც ალაგებენ, საჭმელსაც აკეთებენ, ბავშვებსაც უვლიან და კაცები ამაში არ მონაწილეობენ. ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე არ ვრცელდება, მაგრამ უმეტესობა ასეა და ამ პროექტის მიზანიც ამის შეცვლაა. კაცები უნდა ჩაერთონ ოჯახის საქმეში. ვატარებთ შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში, ველაპარაკებით კაცებს ამ ყველაფერზე. აქ იდეური ინტერესი მაქვს. ბევრ პროექტში ვმონაწილეობ. თითქოს „ყვითელი ავტობუსის“ დროინდელი აქტივიზმის ჩვევას და მოთხოვნილებას სოციალურ პროექტებში მონაწილეობად ვაქცევ“.

***სანდრო ლორთქიფანიძის თქმით, თანამედროვე ბაზრის პირობებში ფინანსების გარეშე დატოვებული სამწერლო ორგანიზაციები – იქნება ეს ლიტერატურული ჟურნალები, კონკურსები თუ გამოცემები ან ნებისმიერი სხვა – განწირულია. სახელმწიფოს შეუძლია, რაღაც ფორმით უზრუნველყოს ლიტერატურული ორგანიზაციების არსებობა. და მათგან საპასუხოდ არ მოითხოვოს, მაგალითად, მინისტრის ქება-დიდების დაბეჭდვა, მთავრობის და პარტიის ერთგულება და მხარდაჭერა, მაგალითად, არჩევნებზე. იგივე ფრანკფურტის ფესტივალი, რომელიც სახელმწიფომ დააფინანსა, იყო სახელმწიფოს წინსვლა, ქვეყნის პრესტიჟის და კულტურის ჩვენება მთელი სამყაროსთვის. ეს ყველაფერი სახელმწიფოს უბრუნდება, საზოგადოებას უბრუნდება. ხელისუფლებამ უნდა შეძლოს იმის გაანალიზება, რომ უნდა დააფინანსოს და არ ჩაერიოს.***

„საბედისწერო „პეპლის ეფექტი“ აქვს კულტურისა და განათლების სფეროში ჩარევას. ნებისმიერი დიქტატორული სისტემა, ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმი სკოლიდან იწყება. პიონერების გარეშე საბჭოთა კავშირი არ იარსებებდა. უმნიშვნელოვანესია თავისუფლების იდეა და არა ჩინოვნიკების, ნომენკლატურული იდეებისა და „მეფე ყოველთვის მართალიას“ ერთგულება. თუ მართლა გვინდა „ევროპა გავაოცოთ დემოკრატიით“, მაშინ „რატომ გადაგიხდი ფულს, თუ მაკრიტიკებ“ არ გამოვა, ასე ქვეყანა წინ ვერ წავა. დრო შეიცვალა. დღეს მე ვისთანაც

მაქვს ურთიერთობა, ეს არის ძალიან თავისუფალი თაობა – კრიტიკულად მოაზროვნე, ცნობისმოყვარე, ინტერესიანი. 508 "თაროელი" გვყავს და მუდმივად ვინარჩუნებთ მათთან ურთიერთობას. 508 მოაზროვნე – ეს ძალიან დიდი რიცხვია, ჩვენზე დიდი ქვეყნებისთვისაც კი. სინამდვილეში ხომ ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა გაცილებით მეტია. ეს ქვეყნის ბირთვია და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს ამ ბირთვის".

*თუ სადმე „სიბნელეა", ურჩევნია, ამის შესახებ იცოდეს, ფეისბუკზეც კი არავის შლის. არ მინდა, თავი მოვიტყუო, ჩავიკეტო რაღაც გარსში და ვიფიქრო, რომ ყველაფერი კარგად არის და სინამდვილეში ეს ასე არ იყოსო. ამბობს, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. მართალია, ნელი ტემპით და შეიძლება, ბევრი უარესობაც ჩნდება, მაგრამ პროგრესიც არის. უბრალო წლებიც კი რომ შევადაროთ, შეხედულებების, თვითშეგნების, საზოგადოებრივი თუ სამოქალაქო პოზიციების თვალსაზრისით, წინ მივდივართ. საკუთარ თავს ქაოსის, ბეწვის ხიდზე გავლილი თაობის წარმომადგენლად მიიჩნევს.*

„20 წლის წინ რისი ხსენებაც კი არ შეგვეძლო, ახლა იმაზე ვკამათობთ, იმედი მაქვს, მომდევნო 20 წელიწადში შევთანხმდებით კიდეც. ყველაფერი სწრაფად იცვლება. მეოთხე კლასში მასწავლებელმა რომ იკითხა, ვინ გინდათ გამოხვიდეთო, სამმა ბავშვმა თქვა, „კანონიერი ქურდიო". კლასში სულ 30 ვიყავით და დანარჩენი 27, „კაკ მინიმუმ" პატივს სცემდა კანონიერ ქურდს. ამ თაობიდან ბევრმა ვერ შეძლო გამოძრომა, ამ მენტალიტეტისგან გათავისუფლება. და ეს მარტო მენტალიტეტიც არ არის. ყველაფერი გადაჯაჭვულია ეკონომიკურ და სოციალურ პირობებთან, რომელიც უმძიმესი იყო ჩემს ბავშვობაში. ხანდახან ფილმებში რომ ვხედავ ან წიგნებში ვკითხულობ რომელიღაც პერსონაჟის გაჭირვებაზე, სასაცილოდ არ მყოფნის. საკუთარი ბავშვობა მახსენდება, როცა იყო დღეები, საჭმელი არ გვქონდა. „ხვალ გვექნება, ვინმე გვასესხებს" – ჩუქებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ჩვენი უფროსი ძმების თაობაზე გადატყდა მთელი ეპოქა, ჩემი ძმა შეეწირა ამ ეპოქას. ყველა ომში იბრძოლა, ისეთ რამეებს მიყვებოდა – რაც გადაიტანა, რაც ნახა. ომების შემდეგ ჰქონდა ეგრეთ წოდებული „პტს" – პოსტტრავმული სტრესი, რომელსაც პერიოდულად თავს აღწევდა ხოლმე, მაგრამ ბოლომდე ვერ. იმ დროს ბევრი ვერ გადურჩა – ზოგი ომს შეეწირა, ზოგი ნარკოტიკებს, ქუჩურ დაპირისპირებებს და ასე შემდეგ... ომში წასვლაზე დიდი რა უნდა იყოს, იმაზე დიდი – საკუთარ სიცოცხლეს რომ დებ და მერე? მერე – ჯერ ერთი, ის, რომ ჩვენ ყველა ომში დავმარცხდით, როგორია ეს მებრძოლისთვის? დამარცხებული, განადგურებული ბრუნდები და გხვდება მშიერი ოჯახი, უმუშევრობა, არანაირი პერსპექტივა".

*ახლა მოდის ის თაობა, რომელიც სხვა დროში იზრდებოდა, როგორც თვითონ ამბობს, „ნაკლებ სიბინძურეში". პასუხისმგებლობა ემატებათ, გადაწყვეტილების მიმღები ხდებიან, მართალია, მეორე მხარესთან უფსკრულიც იზრდება, მაგრამ მაინც ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. ამბობს, რომ მთელ ამ თანამედროვეობას ერთი საფრთხეც ახლავს – ზედაპირულობა. რასაც, მაგალითად, კარგად იყენებს იგივე რუსეთი აგიტაცია-პროპაგანდისთვის, სიცრუის გასავრცელებლად. ახალმა თაობამ უკეთ იცის, როგორ დაიცვას თავი, ამოწმებს წყაროს, ინფორმაციის სანდოობას, მათი მოტყუება იოლი აღარ არის. უფრო ხნიერი ხალხის მოწამვლა ჯერ კიდევ კარგად გამოსდით.*

„კი, სახიფათოა ეს ყველაფერი, მაგრამ საბოლოოდ, მგონია, რომ სამყაროში ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. ტექნიკურ პროგრესს უარყოფითი ის მოაქვს, რომ ბევრია ბუნებრივი კატაკლიზმი, ტყეები იჩეხება, გლობალური დათბობის საფრთხე გაჩნდა, თუმცა ამავე დროს ტექნიკურ პროგრესს მოაქვს ისიც, რომ გამოჩნდა ახალი პროექტები ბუნების ხელოვნურად განვითარების მიმართულებით, როგორ გაზარდონ მწვანე საფარი და სხვა. მე მაინც მგონია, რომ ადამიანზეა ყველაფერი დამოკიდებული. არც კომპიუტერი არ გვაფუჭებს და არც ფაბრიკა-ქარხნები. ადამიანები აფუჭებენ და ადამიანები აკეთებენ. ადამიანებს შეუძლიათ ტექნიკური პროგრესის სათავისოდ გამოიყენება ან თავის დაღუპვა. ჩვენშია მთავარი პრობლემა და თუ სწორად გავაანალიზებთ ამ ყველაფერს, პროგრესი გაგრძელდება".

*ერთი მეტსახელიც აქვს – „ჩე", მეგობრებმა შეარქვეს მემარცხენე იდეებისა და ჩე გევარას მიმართ სიმპათიის გამო. მართალია, ჩე გევარას ბრძოლის მეთოდები მისთვის მიუღებელია, თუმცა მისი იდეები მნიშვნელოვანია. გმირები ყოველთვის უყვარდა, გულუბრყვილოდ და ძალიან. პირველი ტექსტი, რომელმაც შეანჯღრია „ბიძია თომას ქოხი" იყო, 6 წლის ასაკში წაიკითხა და ბევრი იტირა. მერე იყო ეტელ ვოინიჩის „კრაზანა" და რაფაელო ჯიოვანოლის „სპარტაკი". დაახლოებით 16 წლის იყო, „1984" რომ წაიკითხა და სულ იქ სხვანაირი გმირი იპოვა, ადამიანური – თავისი შიშებით და მარცხით. ამ წიგნმა მიწაზე ჩამომაგდოო.*

„ხომ ამბობენ, რომ „1984" არის წიგნი ტოტალიტარიზმზე, დიქტატურაზე და ასე შემდეგ. ჩემთვის ეს არის წიგნი სიყვარულზე, ერთ-ერთი ყველაზე კარგი წიგნი სიყვარულზე. ჯორჯ ორუელი იმდენად დიდ სიბნელეს აღწერს, რომ განსაკუთრებულად ჩანს ნათელი. და ეს ნათელია უინსტონისა და ჯულიას სიყვარული. მთავარი გმირს ვერ ამარცხებს ვერც წამება, ვერც ტკივილი, ის მარცხდება მაშინ, როცა საყვარელ ადამიანს გასცემს, როცა საკუთარ თავში მოკლავს სიყვარულს და როცა შერცხვება ამ სიყვარულის წინაშე. ეს არის წიგნი სიყვარულზე. ვერანაირი ტოტალიტარიზმი ადამიანს ვერ შეცვლის, თუ მას სიყვარული აქვს. რაწამს მასში სიყვარული დამარცხდება, მაშინვე დიქტატურის ნაწილი ხდება. ძალიან შთამბეჭდავი იყო „სამოსელი პირველი". ბავშვობაში კარგა ხანს შექანებული ვიყავი კანუდოსელ გმირებზე. მერე იყო „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან", ძალიან დიდი ნაწარმოებია ჩემთვის. და არის „ვეფხისტყაოსანი", რომელიც სკოლის, აბიტურიენტობისა და სტუდენტობის მერე,

კარგა ხნის მერე წავიკითხე ჩემი სურვილით და სწორედ მაშინ ვიპოვე ნამდვილი „ვეფხისტყაოსანი".

*ფიქრობს, რომ წერისთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რა და რამდენი ნახა ადამიანმა, არამედ – რა და როგორ განიცადა; რა ემოციური გამოცდილება მიიღო – დაკარგა და შეიძინა, მიიღო გადაწყვეტილებები, გადადგა სწორი თუ არასწორი ნაბიჯები. მოგზაურმა შეიძლება ბევრი რამ ნახოს და კარგი ტექსტი ვერ დაწეროს. ყველა მოგზაური ბრძენი არ არის, მაგრამ ყველა ბრძენი მოგზაურია, თავის აზროვნებასა და ემოციებში მაინც. მისი აზრით, მწერლისთვის აუცილებელია გამოცდილება, ნიჭი, განათლება, ცოდნა, ინტუიცია და გემოვნება, განსაკუთრებით კი – „ხმა" და მწერლური ინტუიცია, რომელიც ბევრ რამეს განსაზღვრავს.*

„30 წლის ვარ, თუმცა ყოველ ჯერზე ისევ ვეძებ ფორმასაც და სტილსაც. შეიძლება სტილი ბევრნაირად დაინახო: ვიღაც სულ ერთნაირად წერს და მართლა ძალიან იოლად ამოიცნობ ავტორს. თუმცა შეიძლება სულ სხვადასხვანაირად წერდეს და მაინც ამოიცნო „ხმით", ხასიათით. ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალია უმბერტო ეკო, რომელსაც აქვს ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ნაწარმოებები ენობრივად, სტილისტურად. მაგალითად, „ვარდის სახელი" და „ფუკოს ქანქარა", მაგრამ კითხულობ და ორივე ეკოა. აი, ეს „ხმა" მგონია ყველაზე მნიშვნელოვანი და არა, რაღაც ზოგადი სტილი. სწორედ ეს მომწონს – „ერთი ხმა", როცა მწერალს შეუძლია ამ „ერთი ხმით" იყოს მრავალფეროვანი, ეს არის ჩემთვის მისაღწევი ეტაპი. მე ვარ ერთფეროვნების მოშიში ადამიანი და წარმოდგენა არ მაქვს, 10 წლის შემდეგ რას დავწერ, მაგრამ რაც ვიცი, ისაა, რომ ლექსებს სულ დავწერ, მთელი ცხოვრება".

*ერთხელ მეგობრებთან ერთად ახალი წიგნის პრეზენტაცია-პერფორმანსი მოაწყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ახალი მანიფესტი არ წაიკითხა, რომელსაც რეფრენად გასდევდა სიტყვა „ყალბია". სინამდვილეში ამბობდა, რომ „ყალბია" თითოეული მწერალი დანახული და შეფასებული ვიღაც სხვა, კონკრეტული ტიპების თვალით. თუმცა ყველას ესმოდა „ყალბია, ყალბია" და ატყდა ამბავი: „აბა, ეს თუ ყალბია, რაღა არის ნამდვილი?! აბა, ის თუ ყალბია, ვიღაა ნამდვილი?!"*

*არადა, უბრალოდ ამბობდა:* „...ყალბია ყველა ვისი სახელის გაგონებაც / თქვენში იწვევს ამაღლებას ან სასონარკვეთას! / და ყველა დანარჩენი, ვინც არ ითქვა, / ვინც გამომრჩა, / ან გამოვტოვე, ყალბია! / ყალბია თქვენი კითხვის სტილი, ორიგინალურობა, / და ყველა სიტყვა, რაც კი აქამდე ამოიკითხეთ / „აი ია"-დან დაწყებული / და ამ გაწელილი მანიფესტით დამთავრებული, / ყალბია! / ყალბია! / ყალბია!!!" – „ჰოლოგრამა. პოეტური მანიფესტი თაობას".

უბრალოდ ამბობს: „...და ბოლოს მაინც, / ძილისწინა ლოცვების შემდეგ, / და თბილ საწოლში, ემბრიონივით მოკუნტვის შემდეგ, / ყველა ფიცის, ყველა კოცნის და სიტყვის შემდეგ / ჩვენივე თავსაც დავუმალავთ, / რომ ისევ არ ვთქვით, / ისევ არ ვთქვით, რაც უნდა გვეთქვა..." – „დაგვიანებული პასუხი მამას".



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პოეზია

სინამდვილეში,
პოეზია მარტივი ასახსნელია...
არა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის ბაგეებს – ეს სიყვარულია,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის საშოს ბაგეებს – ეს ეროტიკაა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის გვამის ბაგეებს – ეს სასონარკვეთაა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის გვამის საშოს ბაგეებს – ეს ნეკროფილიაა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის მკვლელის ბაგეებს – ეს დრამატურგიაა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის ჩრდილს – ეს სიურეალიზმია,
თუ თქვენი საყვარელი ქალი, რომელსაც კოცნით ეიფელის კოშკის რესტორანში, დულსინეა ტობოსელია – ეს პოსტმოდერნია,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის ბაგეებს და ტუჩებში წვეტები გესობათ – ეს კუბიზმია,
თუ თქვენ ვერ გიპოვიათ საყვარელი ქალის ბაგეები – ეს აბსტრაქტული ექსპრესიონიზმია,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის ბაგეებს, ის თქვენგან მარჯვნივ იხედება და ამჩნევს, რომ ვიღაც გიყურებთ, თქვენი საყვარელი ქალი შეცბუნებულია, თქვენ კი ცდილობთ სიტუაცია გამოასწოროთ და უცნობს ეძახით, რა უნდა, რას მოგჩერებიათ, ის კი გარბის თქვენგან, თქვენ ქვას ესვრით და აგინებთ, მოტრიალებული კი ხვდებით, რომ საყვარელი ქალიც სადღაც გაიქცა – ეს პროზაა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის ბაგეებს ისე, რომ არ ეხებით მათ და თან ტუჩების გამოკვეთილ მოძრაობებს აკეთებთ – ეს პანტომიმაა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის ბაგეებს ჯოჯოხეთის საბურგერეში – ეს ბიზაროა,
თუ თქვენ არ კოცნით საყვარელი ქალის ბაგეებს – ეს საბჭოთა კინოა,
თუ თქვენ კოცნით საყვარელი ქალის ბაგეებს და ის ნელ-ნელა ქრება – ეს სიზმარია,
და ა.შ.
პოეზია კი ისაა, რაც ამ ცნებებს შორის გამოგრჩათ
და რაც, სინამდვილეში, ამ ყველაფერს აერთიანებს.
P.S. აი, ხედავთ, რა მარტივი ასახსნელია სიყვარული.

## * * *

ყოველ დილით,
როცა ვქოქავ მანქანას,
ქვედა უბნიდან ჩემს სახლთან ამოივლის ხოლმე
წელში მოხრილი ბებო,
ისაა საზომი:
როცა ჩემს სახლს გაცსდება,
უკვე ვიცი, რომ ჩემი მანქანის ძრავი გახურებულია.
დღეს ახალი მანქანა ვიყიდე,
ამ თაობის ავტომობილების ძრავს გახურება აღარ სჭირდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აცივდა

აცივდა, ნიშნავს, ყველაფერი იქნება უკეთ,
მკვდრებსაც დავმარხავთ, დავივიწყებთ საფლავის კადრებს,
აღარ აქვს აზრი დატირებას, გაიხრწნა უკვე
მათი სხეული და სული კი გახდა ცის მკვიდრი,
ჩვენ აქ დავრჩით და ყველაფერი იქნება კარგად,
რადგან აცივდა, გაიყინა გზაზე ასფალტი,
გადავიქეცით უძრაობის უფერულ ქარგად,
ჩვენი ღიმილიც გახდა ფერფლი მიმოსაფანტი,
მაგრამ სიცივე სიკეთეა, სასაფლაოზე
მიწა დასკდება და გვამები ჰაერს იგრძნობენ,
შობა-ახალ წელს ჩამოივლის სანტა-კლაუსი,
სადღაც ლოთები მასში ქრისტეს ამოიცნობენ
და მოჰყვებიან ზარხოშისას ცრემლებზე ღმერთის,
თითქოს ცრემლები საკმარისად არ იყოს ჩვენთან,
თითქოს სანთლიდან ოქროსფერი ჩამონაღვენთის
მსგავსი ცრემლებით არ აგვევსოს ცოდვების ჩანთა,
თუმცა რომ ცივა, მაინც არის იმედის სხივი,
რადგან სიყვარულს ბანალური უხდება ტონი,
რადგან ტკივილის მარგალიტებს ვერ იტევს მძივი,
რადგან დარდების პურებს აცხობს ყოველი თონე
და ამ მორევში ისლა გრჩება, შემოეყინო
ვიღაცის კაბას, ანდა შარვალს, ანდა სიშიშვლეს,
თუ გაგიმართლა, ვინმე მდიდარს შემოეყიდო
და გაერიდო უკურნებელ ნყეულ შიშის ველს.
მოკლედ, აცივდა, მე მხოლოდ ეს მინდოდა მეთქვა,
ნუ ეძებ პალტოს, თბილ ტანსაცმელს, ჩექმებს ყელიანს,
ყოველი წვიმა, ყინვა, თოვლი, ქარები, სეტყვა,
სიკვდილს არ ნიშნავს, არც სიცოცხლეს, მოსაწყენია
სულ გეშინოდეს, რომ ერთ დღესაც გაიყინები,
ვერ გაიღვიძებ და გაქრები ყველა ეზოდან,
ვიღაც ნაცნობებს სატირლადაც მოეწყინები,
გადაინაცვლებ უსარგებლო ღმერთის მეზობლად, –
არა, აცივდა, ე.ი., მაშასადამე,
უკეთ იქნება ყველაფერი, მით უფრო – ყველა,
დავიხოცებით, ყინვა დაგვზრავს, წვიმა სოდომის
გაგვანადგურებს და გაგვაქრობს უცისარტყელოდ,
სიჩუმე. არსად აღარავინ არ ტირის გვამებს,
სიჩუმე. არსად აღარავინ უფრთხის სიცივეს.
სიჩუმე. ახლა სიყვარული ვერაფერს გვავნებს,
სრული სიჩუმე. აღარც გმინვა. აღარც სიცილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოდა უჩინარ კაცს

შენ მიშველი კორპუსის სახურავზე გძინავს,
და ოცნებობ უფრო ნამდვილ ძილზე,
შენ ახალ წელს ქვიშისფერ ჩიჩილაკის ძირას
გხვდება შარშან გასროლილი გილზა,
შენ გაღვიძებს სიცივე მზის პირველი სხივის,
თვალებს ახელ – ცაზე წევხარ პირქვე,
შენ მაგივრად სიცოცხლე უშენობას ჩივის
და შიმშილსაც იხსენიებს იქვე.
შენ დადიხარ ქუჩებში, სადაც ვერვინ გამჩნევს,
როგორც სახლში უზარმაზარ სპილოს,
შენ არასდროს ემდური დედამიწის გამჩენს,
ვინც ყოველთვის ცდილობს გაგაწბილოს.
შენ ივიწყებ ბავშვობის გაწამებულ წუთებს,
რომ აწმყოში გაიტანჯო მხოლოდ,
შენ იცი რომ მაცხოვარს ვინც სანთელს არ უნთებს,
ჯოჯოხეთში აღმოჩნდება ბოლოს.
შენ მიშველი კორპუსის სახურავზე დგახარ
და ოცნებობ – ნეტავ მართლა იდგე,
შენ გადმოხტი და ახლა ყვითელ ფოთოლს გავხარ,
უკვე ყველამ დაივიწყა ის დღე.

## შედი შახტაში

შედი შახტაში,
იმუშავე და მოკვდი,
რომ ჩვენც ვიმუშაოთ,
შევადგინოთ კომისია,
რომელიც იზრუნებს, დაადგინოს შენი სიკვდილის
გამომწვევი მიზეზები,
ჩავატაროთ კვლევა,
ალვძრათ საქმე,
დავკითხოთ მოწმეები,
გავესაუბროთ თვითმხილველებს,
შევიმუშაოთ კანონპროექტი, რომელიც ჩავარდება
მეორე მოსმენით,
გავაგრძელოთ მუშაობა,
ვიკვლიოთ, ვარკვიოთ და ვიმუშაოთ,
რა ვქნათ,
ამითი ვჭამთ პურს,
ამითი ვცოცხლობთ,
შენ უნდა შეხვიდე შახტაში და მოკვდე,
ნუ გეშინია,
ჩვენ ამ საკითხზე ვიმუშავებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქალაქის ღმერთი

ამ უშნო ქალაქში
კერპები აღმართეს
სიკვდილი დადის და
აღმერთებს აღმართებს
აქ ღმერთებს კერპებმა
თავისი დამართეს
სიკვდილი დადის და
დამათვრალს დამათრევს
და მათ რევს ხელს, ვისაც
შიმშილი ეწვევა,
მუშებს და მათხოვრებს
აღმართში ეწევა
სიკვდილი, რომელიც
ამ უშნო ქალაქის
დღედაღამ მშრომელი
ღმერთია.

## ოდა შვეიცარიული ყველის მატლს

მე დავიღალე,
ო, ღმერთო, როგორ დავიღალე,
გადავიღალე, დავიქანცე, სული ამომხდა,
პირდაფჩენილი საკუთარ ფეხებს დაეჩერებივარ,
ოთახსა და ოთახს შორის
ველარა ვხვდები, რომელში უნდა შევიდე.
მე დავიღალე,
ო, ღმერთო, როგორ დავიღალე,
იმის ლოდინით, რაც მოხდა და თანაც არ მოხდა,
თითქოს კოსმოსში მიმობნეული ნარჩენები ვარ,
გაუთავებელი შრომის
ანაბეჭდი ვარ. უფალო, გვედრებ, შემინდე.
მე დავიღალე,
ო, ღმერთო, როგორ დავიღალე,
ვნატრობ არ ვიყო, ანდა ვიყო უბრალო მატლი,
ვილოლიალო ყველის ნასერეტთა გვირაბებში და
ცას ვაკვირდებოდე პირქვე,
თითქოს ესაა ჩემი მთავარი მისია.
მე დავიღალე,
ო, ღმერთო, როგორ დავიღალე,
ყურში ჩამესმის საკუთარი გადაღლის მანტრა,
სადმე ქუჩაში უცებ ფეხები რომ გამეფშიკა,
მთლად გავიხრწნებოდი იქვე,
ვით უდაბნოში უკანასკნელი მასაი.
მე დავიღალე,
ო, ღმერთო, როგორ დავიღალე,
ღლეა მეშვიდე.

# რა ხილია ალექსანდრე ლორთქიფანიძის დისტოპიესები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

*შოთა იათაშვილი*

ალექსანდრე ლორთქიფანიძე, იგივე სანდრო, იგივე ხვიარა ლიტერატურაში პოეზიით შემოვიდა. ის „ვარდისფერი ავტობუსის" ხუთი ავტორიდან ერთ-ერთი იყო. ჯგუფი დაიშალა და პოეტები სხვადასხვა გზით წავიდნენ, სხვადასხვა სახელოვნებო თუ სოციალური სივრცეები მოსინჯეს. სანდრო პროფესიით მსახიობია და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დრამატურგიაში სცადა ბედი.

წელს გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში" მისი პიესების კრებულიც გამოსცა სახელწოდებით „დისტოპიესები" და უკვე შეგვიძლია, მთლიანობაში დავინახოთ და შევაფასოთ სანდროს დრამატურგიული შესაძლებლობები. წიგნში ექვსი პიესაა შესული, აქედან მხოლოდ ერთი, „კუნძულია", თუ შეიძლება ასე ითქვას, „სრულმეტრაჟიანი". დანარჩენი ხუთი „მოკლემეტრაჟიანია". წიგნის სათაურიც ყველაზე მეტად „კუნძულს" ერგება, რადგან ლორთქიფანიძე აქ ჟანრული კანონებით გაწერილ დისტოპიას ანუ ანტიუტოპიას ქმნის. მინიპიესებიდან მსგავსი თვისებები დაჰკრავს „ჩეხოვის წიგნს", „ანამ დახურა ფანჯრები" უფრო ალტერნატიული ისტორიის შეთხზვის მცდელობაა, „თევზის იავნანა" – ლირიკა, „შრედინგენის კატა მკვდარია" – აბსურდის თეატრის ნიმუშებისკენ იხრება, „ჩვენი მშობლიური ბიგმაკი..." კი სოციალური კომედიაა. ანუ თემატურადაც და ჟანრულადაც ერთი მიმართულება აქ არ ჩანს. ჩანს ის, რომ ორიგინალური ტერმინის მქონე სუბჟანრის გამოგონება ავტორისთვის მიმზიდველი იყო და წიგნის სათაურადაც ამიტომ გამოიტანა, მაგრამ ობიექტურად მე ამ ტექსტებს „დისტოპიესების" ქვეშ ვერანაირად ვერ გავაერთიანებ. [...]

როგორ ანტიუტოპიას ქმნის ალექსანდრე ლორთქიფანიძე „კუნძულში"? აქ არაა მოცემული ახალი სამყაროს შენების პროცესი. აქ სამყაროს „ძველისგან" განთავისუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს. თეთრ, შავ, მწვანე და წითელჰალსტუხიანი ოთხი მკვლელი „ზემოდან", ბოსისგან მიღებულ ბრძანებას ასრულებს და კუნძულს ადამიანებისგან წმენდს. ადამიანის კონკრეტულ თვისებებს არავინ აკვირდება, ყველა მათთვის „ძველია" და მოსაშორებელია. კუნძულზე სულ რამდენიმე ადამიანიღაა დარჩენილი და ისინი გადარჩენაზე, გაქცევაზე ფიქრობენ. პიესის კონფლიქტიც ამ ჰალსტუხიანებსა და გადარჩენილებს შორის ვითარდება, თუმცა პარალელურად ჰალსტუხიანებს შორის ასევე ნელ-ნელა ვითარდება შიდა კონფლიქტი და დაძაბულობა. პიესას აქვს მოულოდნელი კვანძის გახსნები, თითქოსდა ის ყველაფერი, რაც ასეთი ტიპის ტექსტს სჭირდება, მაგრამ როგორც ჟანრის ნიმუში, მაინც სუსტი რჩება. კარგი ანტიუტოპიის დაწერა ძალიან რთულია, რადგან ამ შემთხვევაში ავტორი აუცილებლად უნდა გავიდეს იდეებზე, უნდა შექმნას სამყაროს თავისებური მოდელი, უნდა ამოაყირავოს აქამდე არსებული სისტემები ან კიდევ უფრო გაამკაცროს, ზღვრამდე მიიყვანოს. ლორთქიფანიძის პიესაში ჰალსტუხიანები საუბრობენ ახალ სამყაროზე, რომლის შექმნაში მონაწილეობა მათ დაევალათ, მაგრამ არანაირად არ ჩანს ამ ახალი სამყაროს კონტურები. შეიძლება ეს აიხსნას იმით, რომ ჰალსტუხიანები „პაიკები" არიან და როგორ იგეგმება სამყაროს გადაკეთება, ამის შესახებ წარმოდგენა არა აქვთ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. როგორც ჟანრის ნიმუში, ახალი სამყაროს საინტერესო მოდელის გარეშე, ის მაინც ნაკლოვანი რჩება. რაც შეეხება პიესის პერსონაჟებს, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 21 წლის გოგონების – ქარაფშუტა პეტას და ჭკუისკოლოფა ბრიუს – წყვილი, რომელიც ავტორს ძალიან ცოცხალი და კონტრასტული გამოუვიდა. [...]

„შრედინგენის კატა მკვდარია" გაშარჟებაა თერაპიული სეანსის, სადაც პაციენტები ერთმანეთს საკუთარი პრობლემების შესახებ უყვებიან ხოლმე. შავი იუმორით, აბსურდის ელემენტებით, განსხვავებული ტიპაჟებით ავტორი დინამიკურ სცენას ქმნის და მოწყვეტით ამთავრებს. ეს რვაგვერდიანი ტექსტი ალბათ ერთ-ერთი გამორჩეულია ამ წიგნში, სადაც ჩანს, თუ რა მიმართულებით აჯობებს იაროს ავტორმა და ეცადოს, მსგავსი ხელწერა „სრულმეტრაჟიან" პიესებშიც გადაიტანოს. ალბათ იგივე შეიძლება ითქვას „ჩეხოვის წიგნზეც". აქაც ჩანს პოტენციალი, სატირული გარემოს შექმნის უნარი. და რაც მთავარია, ერთი პატარა ანტიუტოპიური სურათი აქ კარგად იხატება. რაც შეეხება მინიპიესას „ანამ დახურა ფანჯრები", საინტერესოა ანა ფრანკის ტრაგიკული პერსონის მოქცევა კომიკური არსებების არეალში, მაგრამ ეს ბურლესკი აქ ცოტა გადამლაშებული მეჩვენება. „ჩვენი მშობლიური ბიგმაკი..." გასაუბრებების შარჟია და სოციალურად მტკივნეულ თემას ეხება, თუმცა ზემოთ ნახსენებ მინიპიესებთან შედარებით ნაკლებად ორიგინალურ იდეაზე დგას. პრინციპში, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს პიესები კარგი სავარჯიშოები იყო ავტორისთვის და სამომავლოდ მიგნებულ ხერხებს უფრო დახვეწს და გაცილებით კომპლექსური ტექსტების შესაქმნელად გამოიყენებს.

***18 აგვისტო, 2017 წ.***

***რადიო თავისუფლება***

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ფრთხილად! ნორა გომრინგერს შეუძლია გაგართოთ, დაგაბნიოთ და სრულიად საფუძვლიანი მიზეზით ტირილამდე მიგიყვანოთ! ეს ყველაფერი უკვე მომხდარა“ – ასეთი სლოგანი ადევს გერმანელი პოეტის, ნორა გომრინგერის პირად საიტს მის ბიოგრაფიასთან ერთად.

ბიოგრაფია კი ასეთია: 1980 წელს დაბადებული პოეტი შვეიცარიელ-გერმანელია. ცხოვრობს ბამბერგში, სადაც 2010 წლიდან ხელმძღვანელობს ხელოვანთა ინტერნაციონალურ სახლს ვილა კონკორდიას (Villa Concordia).

2000 წლიდან გამოქვეყნებული აქვს რვა პოეტური და ორი ესეისტური კრებული, უამრავი მოთხრობა და რადიოპიესა, ასევე ავტორია საოპერო ლიბრეტოების.



ფოტოს ავტორი იუდით კონიგი

ბამბერგის უნივერსიტეტის კურატორიუმის წევრი, ბუხჰაიმის მუზეუმის ფონდის საბჭოსა და ნიურნბერგის აკადემიის სასწავლო საბჭოს წევრი.

მრავალი წელია, რაც იგი თანამედროვე მხატვართა ნამუშევრებს აგროვებს და ყოველ მათგანზე შემდეგ ლექსს წერს. 2018 წელს მან თავისი კოლექციის გამოფენაც მოაწყო. ხელოვნების ნიმუშებზე ლექსების წერა ნორა გომრინგერის გატაცებაა. მას ხშირად ნახავთ მუზეუმებში და კინოთეატრებში. იგი აქტიურ ცხოვრებას ეწევა, სტუმრობს სკოლებს, ჩანს სოციალურ ქსელებში, გახსნილი აქვს გვერდი ფეისბუქში Nora Eugenie Gomringer-ის სახელზე, ტვიტერსა და ინსტაგრამზე შესაძლებელია მისი პოვნა როგორც @noraegomringer.

2019 წლის შემოდგომა-ზამთარში ნორა გომრინგერი ოჰაიოს ობერლინ კოლეჯში (Oberline College) გაატარებს მიწვეული პროფესორის სტატუსით.

მისი ბოლო კრებულები აერთიანებს „ხილულთა და უხილავობათა ტრილოგიას“: „მონსტრების ლექსები“ (2013), „დაავადებები“ (2015), „მოდები“ (2017). ამ კრებულების ილუსტრაციებსა და დიზაინზე რაიმარ ლიმერმა იმუშავა (გამომცემლობა Voland &Quist).

ნორა გომრინგერის ნაწერები ხშირად უკავშირდება მუსიკას. მის ტექსტებზე შექმნილია მუსიკალური კომპოზიციები. ის თვითონაც აკეთებს მუსიკალურ პროექტებს და იღებს ვიდეოლექსებს, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ტელეარხებსა თუ Youtube-ზე ვრცელდება. 2017/18 წლებში მან ორი პროექტი გააკეთა: „Peng Peng Parker“ ჯაზის დრამერ ფილიპ შოლცთან ერთად (ამერიკელი მწერლის, დოროთი პარკერის ლექსებზე) და „გრიმის სიტყვები“ გიუნტერ გრასის ტექსტზე ბები ზომერთან ერთად, ვისთანაც წლების განმავლობაში თავად გრასი თანამშრომლობდა.

ბოლო წლებში კურატორობას უწევდა ქალთა პოეზიის ფესტივალის Frauenfeld – 2013, მექსიკის ფესტივალს Casa del Lago – 2016, და მარტინ ბაიერთან ერთად 2016 წლიდან Villa Wild-ის ფესტივალთა ციკლს უძღვება.

მისი ლექსები თარგმნილია ბრეტონულად, ფლამანდიურად, იტალიურად, ფრანგულად, სპარსულად, ნორვეგიულად, რუსულად, შვედურად, ინგლისურად, ბელარუსულად, იაპონურად. ხოლო კრებულები არსებობს ფრანგულ, შვედურ, ბელარუსულ და ინგლისურ ენებზე.

მისი პრემიებისა რიცხვშია ინგებორგ ბახმანის (2015), იოახიმ რინგელნაცის (2012) და იაკობ გრიმის (2011) პრემიები და სტიპენდიები კიოტოში, ვილა კამოგავაში (2016) და ჰელსინკში (2014). ამას გარდა, ნორა გომრინგერი არის



ფოტოს ავტორი იუდით კონიგი

# ამბები ხილულთა და უხილავობათა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხილულთა და უხილავობათა ტრილოგია, საიდანაც მკითხველთა წინაშე 6 ლექსია წარმოდგენილი, სამ წიგნს აერთიანებს: „მონსტრების ლექსები", „დაავადებები", „მოდები". ყოველი წიგნი ილუსტრირებულია. მხატვარმა რაიმერ ლიმერმა თითოეულ ლექსზე დამოუკიდებელი კოლაჟი შექმნა.

კრებულებში მთავარი ტექსტის გვერდით არსებობს პარატექსტიც, სადაც ავტორი სხვადასხვა ციტატებით კრებულის კონცეფციას ხსნის. ტრილოგიის კონცეფციად კი შეიძლება მივიჩნიოთ „მონსტრების ლექსებისთვის" წამძღვარებული ფრაზა შექსპირის პიესიდან „ქარიშხალი": „ჯოჯოხეთი ცარიელია, ყველა დემონი ახლა აქ არის", რასაც გეორგ ზებალდის ციტატა მოსდევს რომანიდან „აუსტერლიცი": „ვერავინ იტყვის ზუსტად, რა დაგვემართება, ის კარი რომ გაიღოს, რომლის უკან ბავშვობის შიშები იმალებიან". და ავტორს აქვე მაიკლ ჯეკსონის გამონათქვამიც მოჰყავს: „მოკვდავთა შორის არავის ძალუძს, თრილერებში ნაჩვენები ბოროტების წინაშე გულგრილი დარჩეს".

და მართლაც, „მონსტრების ლექსების" ციკლი Freak Show-ზე სტუმრობას ჰგავს, სადაც თავმოყრილნი არიან მონსტრები ფილმებიდან და პოპ-კულტურიდან, ასევე გრძნობები შიშებისა თუ ტრავმების სახით, ყოველდღიურ ცხოვრებაში რომ თან გვდევენ და გვმართავენ კიდეც.

ნორა გომრინგერი ამბობს, რომ მისთვის საინტერესო იყო იმის გააზრება, ვინ ან რა შეიძლება იქცეს ურჩხულად, როგორ ხდება ეს გარდასახვა და რამდენად ეხება მონსტრული კონცეპტი ადამიანებს. ფაქტობრივად, ეს არის მცდელობა, აღწეროს ენით აღუწერელი ამბები და თან მათ ლექსის ფორმა მისცეს. 25 ურჩხულის შემდეგ ნორა გომრინგერი 25 დაავადების ალაპარაკებას შეეცადა. დაავადებებიც, შეიძლება ითქვას, ურჩხულებია, თუმცა ისინი უკვე ფიზიკურად გვესხმიან თავს. ნებისმიერი ჩვენგანის ბიოგრაფია, ამავდროულად, იმ ავადმყოფობათა აქტებსაც წარმოადგენს, რაც ცხოვრების მანძილზე გვემართება. პოეტი ქმნის სურათებს, სადაც დაავადებები არა აღწერილი, არამედ განსხეულებულია. დაავადებები, ისევე როგორც მონსტრები, სადღაც ბინადრობენ, რომელთა დანახვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ადამიანს ეწვევიან. ისეთი ძველი, როგორც კეთრი, სიფილისი, შავი ჭირი თუ მალარია და აქვე ისეთი ახლები, როგორც შიდსია და ებოლა, საკუთარ ამბებს ჰყვებიან, ხან სასტიკად, ხან ირონიით, ხან სევდით ან თანაგრძნობით, რის მიხედვითაც ლექსთა ტონალობა და რიტმი იცვლება. და თუკი შეიძლება ინფექციის გადაცემა წარმოვიდგინოთ როგორც ცეკვა, მაშინ ლექსი „ჰერპესის ვალსი" ამის საუკეთესო ნიმუშია რიტმის თვალსაზრისით, სადაც პარტნიორები ერთმანეთის მიმართ ¾ ტაქტით მოძრაობენ, ერთმანეთს კოცნიან და ინფიცირდებიან.

დაავადებებიც, თავიანთი უეცარი გამოჩენით და საბედნიერო გაქრობით, რაღაცით მოდის ტენდენციებს ემსგავსებიან, რომელნიც, ნორა გომრინგერის მიხედვით, არანაკლებ მონსტრული თვისებებით ხასიათდებიან. მოდის სამყარო პოეტისთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მას ორი საპირისპირო თვისება ახასიათებს: ის, რაც ზედაპირზე დევს, არასდროსაა თანხვედრაში რეალობასთან. ნორა გომრინგერის ინტერესის სფეროა მარადიული შეკითხვა ზედაპირისა და სარჩულის, იმას, რასაც ადამიანი თვალით ხედავს და რაც მზერის მიღმა რეალურად ხდება, ყოველდღიურობის თანამდევი შიში და საშინელებათა სილამაზე.

მოდების ლექსების ციკლში ნორა გომრინგერი პირდაპირი გაგებით საბურველში გახვევის ხელოვნებას იკვლევს. იკვლევს, თუ რას ფარავს აბრეშუმი, ტყავი, ლაკი... სეზონები, ანუ როგორც მოდის სამყარო წელიწადის დროებს უწოდებს, ისეთივე გაფუყულია, როგორც ნემსების ბალიში ჰოტ-კუტიურეთა ატელიეში და რაც არ უნდა ბრწყინვალე იყოს ის მასალები და მათგან დამზადებული ნივთები, ავტორი მათზე წერისას თავის მახვილ იუმორს არ ღალატობს: ერთ ლექსში კაბა საცირკო კარვად გადიქცევა, სადაც ქვედაბოლო ხდება მანეჟი, შლაპა – სახურავი, ხოლო ღილები – შესასვლელში მისაცემი გროშები. ნორა გომრინგერი მოდის სამყაროში არიადნას ძაფს მიჰყვება და არც ძმები გრიმების ზღაპრის სისხლიანი ფეხსაცმლის ამბავი ავიწყდება. წიგნის ლაიტმოტივად შეიძლება გამოდგეს მრავალმნიშვნელოვანი გამოთქმა „თეთრი ძაფით ნაკერი", სადაც თემები დაფარულ სიცრუესა და ტკივილს შორის მონაცვლეობს. ერთადერთი, ვინც რეალურად იტანჯება, ეს ტყავგამძვრალი ცხოველია – ამბობს ავტორი და წიგნის ბოლოს მკითხველი ხვდება, მოდა სულაც არ ყოფილა მსუბუქი თემა.

ტრილოგია სამ მედიუმშია გაკეთებული: მხატვრობასთან ერთად, ყოველ კრებულს აუდიო-დისკიც ახლავს, სადაც ლექსებს თვითონ ავტორი კითხულობს. ავტორის ხმა იმას ხდის ფარდას, რაც მკითხველს ჩუმად ნაკითხვისას შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდა.

*ბელა ჩეკურიშვილი*

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



[redacted]

ქკვიანნი მასთან ერთ ღამეზე მეტხანს რჩებოდნენ,
ასაჩუქრებდნენ ქებითა და ფრანგული კოცნით,
სოლიდური შემოსავლით.

ის იტოვებდა უფლებას, რომ
მუხლის მოყრისას ეცნობებინა ეს ამბავი,
თუნდაც ქაღილით.

ერთადყოფნის ნეტარებას აღინიშნავენ სიტყვით „სიკვდილი",
კნინობითი მისი ფორმით:
Le petit mort-ით.

რას ეძებდნენ მის ფეხებს შორის?

არ ვიცი. მაგრამ ასე მგონია, საკუთარი ნივთის მარჯვედ დაბინავება
მამაკაცებს უხსოვარი დროიდან მოსდგამთ.

განმარტების მიხედვით, ის სასჯელია, რაც ვნებას მოსდევს,
და აქვს უფლება, შეავსოს სივრცე,
პატარა სივრცე, რომელიც ქრება თანდათანობით,
ეს პანია შენი ოთახი,
ყურებს შორის და ცალ ყურშიც –
ის ხომ აყრუებს და აბრმავებს და ადგილს უცვლის ბინაში ავეჯს,
რის გამოც აი, ამ მომვლელ ქალს გადააწყდები.

[redacted]

„...ხომ არ შეგიძლიათ, ერთხელ ეს მდგომარეობა საკუთარი სიტყვებით აღწეროთ?"

შავი ძაღლი
ტყვიასავით კაბა
ფრთებშემოხვეული ღამე

ნისლეული არსება
გზებიდან გზა
ტყავივით შეკითხვები

დიდი მდუმარება
შეჯამებული დრო
სხეული სივრცეში

„წამალი შველის / კარგი დღე იქნება / სიცოცხლე: სიზმარი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

[redacted]

დამავიწყდა
რა ჰქვიათ ქუჩებს
საგნებს მათზე დაწყობილ ფინჯნებს
იქ თაროებზე უკანა მხარეს სახლის წინ გზაზე
ვდგავარ შიშველი
თმაგაშლილი შენი ბეჭდით
ყოველდღე მოდის ვიღაც კაცი
როგორც აი ის, რა ჰქვია იმას
სურს დაარწიოს ჩემი პატარა
ლოყაზე მისვამს ხელს მე ვფიქრობ
მკვლელო შე ქურდო ნუ აკეთებთ ასე
გთხოვთ გააგრძელეთ არ შეწყვიტოთ
არნიკას სუნი ამდის მოხუცი ქალის
დამიძახეთ მე გკითხავთ
ვინ გსურთ
შიშველი ვდგავარ სახლის წინ გზაზე
დამავიწყდა

[redacted]

საკუთარი თავის გაორებული ყურება
დიაგნოზია,
ეს სათვალის ბრალი არ არის.

შენ და ყველა დანარჩენი „მე"
შემოვესახლეთ ამ ერთ სხეულს
უკურნებლად გადაჯაჭვულნი.

ოდესღაც ერთმა დაიგმანა ყურები ცვილით,
რომ სირინოზთა სიმღერის ხმა არ გაეგონა.
დღეს კი შენ ის ხარ, ვინც ატარებს ხმებს მეგაფონში,

მეგაფონის შხუილი და ხმაური კი
ასხვაფერებს ამ ხმებს უმალ და
ტვინში არ წყდება წვეულებაზე მყოფთა ზუზუნი.

ფრაკი მისია, ვინც არასდროს მოუწვევიათ,
ამიტომაც მასპინძლად რჩება.

ერთ ჭკვიან ფილმში სალი ფილდის[1] პერსონაჟ გოგოს
ზუსტად 13 შინაგანი ცხოვრება ჰქონდა.
ვუყურებდი და განუწყვეტლივ ვფიქრობდი შენზე.

ცხოვრებაში რომ ამტანი იყო, ფილმისთვის კარგი სიუჟეტია,
თუმცა არაა ეს სასიცოცხლო საჭიროება.

[1] სალი ფილდი – (დაბ.1966) ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი.

[redacted]

უნდა იყვირონ,
გაეხვიონ ძონძებში და წვერი გაიჩერონ –
ასეთები არიან ლევიტელები.

თითის წვერებზე თუ დადგები,
წმინდა სარკმლიდან შეიძლება მოკრა თვალი
უფალს, რომელმაც, ეჭვგარეშეა, რომ ისინი
პირველქმნილი ცოდვისათვის დაწყევლა ასე.

თორემ, აბა, როგორ ახსნი,
რატომ დასახლდა ამ ადგილებში,
სადაც გარემო ასე სუფთაა,
ბევრისათვის სამშობლო ერქვა და ახლაც ჰქვია.

ეს კუნძული, მშვიდობისმოყვარე, პაციფისტური,
„ფოთლის ფორმის მინა"[1] რომ ჰქვია,
დღესაც ერთ-ერთი ის ადგილია,
განცალკევების მოყვარულნი
ღირსეულად რომ იდებენ ბინას.

და საფოსტო ბარათი, მოსული ჰავაიდან:
ამინდები სულ მზიანია,
როგორც იმ ფილმში. ჰო, რა ჰქვია იმ ფილმს?
ბენ ჰური.

[1] კეთროვანთა ყოფილი კოლონია კალაუპაპა.



ფოტოს ავტორი იუდით კინიტცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ლირის სამი მემკვიდრე,
როცა მამა ეკითხება, მათ გულებს რა სურს,
განსხვავებულ საჩუქრებს ირჩევს.
მიყვარხარ, როგორც ქსოვილები,
მიყვარხარ, როგორც სურნელება,
მიყვარხარ, როგორც ტყავეული!
მოხუცი ფულს მარადიულ ყმაწვილებს აძლევს,
და ძუ კატები სადაც დარბიან,
ხვადის კნავილი განსაკუთრებით ხმამაღლა ისმის.

წელიწადის დროები ხომ სეზონებია,
და ნემსების ბალიშებიც გაფუყულან სიამაყისგან.
შემოახვევენ მანეკენს ქსოვილს, ნაოჭებად აუკეცავენ,
მიამაგრებენ, დაჭიმავენ ნამდვილის მსგავსად.
არ სჯერათ სტელას, ვიქტორიას, მაიკლს და პარიზს
რომ ვერა[2] კვლავაც
საქორწინო სამოსელს კერავს.
მაგრამ ეს არის, რაც გვარწმუნებს,
რომ ცხოვრება კოლექციების მერეც გრძელდება.

უკვე რამდენი ათწლეულია,
შეკითხვების გაჩენისას
„ვოგის", „ელეს" და „მარი კლერის"[3] გადაშლაც კმარა,
და თუკი მაინც დაეჭვდებით,
და ჩანთებიდან, ფლაკონებიდან,
პალტოებიდან, ლარნაკებიდან, კაბებიდან პასუხს ვერ იღებთ,
შეგიძლიათ კონკრეტულად მიმართოთ ანას.[4]

შეუპოვარი, სფინქსის წინაშე სტეიკით ხელში,
და ვინ შეწვავდა, ესეც ხომ ვიცით.
გული ულბება სფინქსს და ისიც
კიდევ ამბობს ერთ გამოცანას,
მომავალი გაზაფხულისთვის
ფერებით, ფორმით, ძაფებით, ბეწვით.
მხოლოდ ნიშნების ამოცნობა უნდა იცოდე,
და მერე უკვე ოსკაროსნები მოირგებენ სამეჯლისო სამოსად, მერე
გადაეცემა სავაჭრო სახლებს,
იქიდან კი ოლიგარქთა ცოლებს შეხვდებათ.

მანოლო[5] კვლავაც წითლად ფერავს ფეხსაცმლის ლანჩებს,
ხოლო კერის[6] უმცროსი დები ალისფერზე მსჯელობენ უკვე,
ბლოგებზე, ჩატში, პოსტებსა და კომენტარებში.
როგორც არასდროს, დღეს ტანსაცმელი
იშვიათად გამოხატავს შენს ვინაობას,
ერთადერთი, ვინც მუდმივად ტყავიდან ძვრება,

[1] კარლ ლაგერფელდი, ვივიენ ვესტვუდი – მაღალი მოდის დიზაინერები, ტანსაცმლის მარკა „მარკ კეინი".
[2] სტელა მაკარტნი, ვიქტორია ბეკჰემი, მაიკლ სინკო, ვერა ვანი – დიზაინერები.
[3] ვოგი, ელე, მარი კლერი – მაღალი მოდის ჟურნალები.
[4] ანა ვინტური, ჟურნალ „ვოგის" რედაქტორი.
[5] მანოლო ბლანიკი, ფეხსაცმლის დიზაინერი.
[6] კერი ბრედშოუ, ტელესერიალის „სექსი დიდ ქალაქში" პერსონაჟი, მწერალი, ჟურნალ „ვოგის" ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დაჭრილი ცხოველია. ვიღაც ქალი წერს,
თურმე პატარა კარადებს უნდა გამოვეთხოვოთ,
მალე ბაზარზე ახალი ქვეყნები გამოჩნდებიან.
თუმცა რასაც ის ირწმუნება,
რაღაც ძალიან სათუო ჩანს დასაჯერებლად.
(მისი ასეთი თავდაჯერება
თეთრი ძაფით ნაკერს უფრო ჰგავს)

## შენ აკეთებ მაგიდას

მაგიდას რომლის ქვეშაც თავისუფლად გამართავ ფეხებს
მაგიდას რომლის ფიცრები გზაჯვარედინზე გადმოგაქვს
აკეთებ მაგიდას მისთვის
და შენთვის
მაგიდას ორისთვის რომლის ქვეშაც
ოთხი ფეხი გაიმართება
მაგიდა რომელსაც მასთან ერთად მიუჯდები
დავინახე როგორ გადმოგქონდა ფიცრები გზაჯვარედინზე
ფიცრები იმ მაგიდისთვის
რომელსაც მასთან ერთად აკეთებ
ქვეშ რომ ფეხები გამართოს
მაგიდას ოთხი იდაყვისთვის
ოთხი ფეხის
ოთხი ხელის
ორი ფინჯნისთვის
მაგიდას თქვენ ორისათვის
რომლის ფიცრებსაც მოათრევ გზაჯვარედინზე
სადაც ჩემი მანქანით ვდგავარ
მაგიდას აკეთებ
მაგიდას მისთვის და მაგიდას შენთვის
თქვენ ორისთვის ერთ ოხერ მაგიდას აკეთებ
სადაც ერთმანეთის პირისპირ
გამართავთ ფეხებს
მაგიდისთან და მის ქვეშაც და ყველაფერი ნათქვამია ამით
ესაა მაგიდა ორისათვის
რომლის ფიცრები გზაჯვარედინზეა გადმოთრეული
ჩემს გვერდზე ჩავლით
მაგიდას აკეთებ
რომლის ქვეშაც მე ზედმეტი ვიქნები
მაგიდას სადაც ჩემზე არავინ ილაპარაკებს
ამ მაგიდას მისთვის აკეთებ
ის მის ქვეშ ფეხებს გამართავს
შეჭამს
რასაც შენ მაგიდასთან მიუტან
რომელსაც აკეთებ
ფიცრებს მოათრევ
გვერდით ჩამივლი
ფარების შუქზე
მაგიდის ფიცრებით ჩამივლი
ვნატრობ:
ნეტავ, გარჯილიყავი ჩვენთვისაც ასე...

*გერმანულიდან თარგმნა*
*ბელა ჩეკურიშვილმა*

# ნორა გომრინგერი: მე ამ ტექსტს ბოლომდე წავშლიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ესაუბრა ნინა მაი. RND (გერმანიის სარედაქციო ქსელი)*

*ნორა გომრინგერი ბოლივიელ-შვეიცარიელი მწერლის, ოიგენ გომრინგერის (დაბ. 1925) ქალიშვილია. გასულ წლამდე ბერლინის ალის სალომონის სოციალური პედაგოგიკის სასწავლებლის ფასადს ოიგენ გომრინგერის ესპანურენოვანი ლექსის „Avenidas"-ის სტრიქონები ამშვენებდა. ლექსი დაახლოებით ასე ითარგმნება:*

*ხეივნები*
*ხეივნები და ყვავილები*
*ყვავილები*
*ყვავილები და ქალები*
*ხეივნები*
*ხეივნები და ქალები*
*ხეივნები და ყვავილები და ქალები და მათი მეტრფე.*

*სასწავლებლის თვითმმართველობამ მიიჩნია, რომ ლექსი ქალებზე სექსუალური ზეწოლის განწყობას იწვევს. ხანგრძლივი დებატების შემდეგ, აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა, შენობის ფასადი ყოველ წელს განაახლონ და ზედ ალის სალომონის პრემიის მორიგი მფლობელის ლექსი დააწერონ ხოლმე.*

*2018 წელს ფასადზე ბარბარა კელერის ლექსი გამოსახეს, თუმცა ამავე კედელს გომრინგერის დაფა მიაკრეს და მისი ლექსი ზედ გადაიტანეს.*

*კრიტიკოსებმა ეს შემთხვევა გაზრებულ პოლიტკორექტურულ ნაბიჯად შეაფასეს.*

პოეტი ნორა გომრინგერი ფემინისტია და გააკვირვა მამამისის ლექსის გარშემო ატეხილმა დისკუსიამ, „Avenidas" სექსისტურ ტექსტად რომ აღიქვეს. ამასთან დაკავშირებით, მან ინსტაგრამზე ე.წ. ღია-პოეზიის აქცია დაიწყო.

**თქვენ დაწერეთ წინათქმა კრებულისათვის „მაღალი ხმა ქალურია", სადაც პოეტური სლემის 50 წარმომადგენლის ლექსებია თავმოყრილი. იქ ამბობთ, რომ ქალების მიერ შექმნილი პოეზია აქამდე „გოგოების ლირიკად" იყო მიჩნეული. თქვენ, როგორც გერმანული პოეტური სლემის ოსტატი და ბახმანის პრემიის მფლობელი, ამას საკუთარი გამოცდილებით ამბობთ?**

არა, მე გამიმართლა. ასე რომც ეფიქრათ, ამას ჩემს ზურგს უკან იბურტყუნებდნენ. თუმცა კი, პოეტმა თომას კუნსტმა ჰოლოკოსტის თემაზე შექმნილ ჩემს ლექსს ერთხელ პაროდია უძღვნა, მაგრამ „გოგოების პოეზიის" წევრადაც თუ მთვლის, ეგ არ ვიცი. არც არის ეს მნიშვნელოვანი. იაპონიაში ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა: „ყველას აქვს უფლება, თავისი სამყარო საკუთარ შეცდომებზე ააგოს". ახალგაზრდა პოეტ ქალებს კი ვაფრთხილებ, რომ მუქარის მოსასმენადაც მზად უნდა იყვნენ. იყო ქალი და ჩანდე ტელევიზიაში, ამან შეიძლება ბევრი აგრესია გამოიწვიოს, რაც შემდეგ ინტერნეტის ქსელში გადაინაცვლებს. ზოგჯერ ავყვები ხოლმე ტროლებთან კამათს სოციალურ ქსელში, ზოგჯერ კი ჯანდაბაში ვგზავნი მათ, დარჩნენ ისევ იქ, რომელ სამყაროსაც ეკუთვნიან.

**ოიგენ გომრინგერის ლექსის გარშემო ჯერაც არ ჩამცხრალა დებატები, რომელიც ბერლინის ალის სალომონის სასწავლებლის კედლიდან წაშლას გულისხმობს. თქვენ თვითონ ხართ ფემინისტი პოეტი, დაწერილი გაქვთ ლექსი „დამშვიდობება ემინსიპირებულ ქვედაბოლოსთან". როგორი იყო თქვენი რეაქცია, როცა მამათქვენს სექსისზმში დასდეს ბრალი?**

მე ერთგვარ საოჯახო ფემინიზმში გავიზარდე. არავინ იყო სახლში ისეთი, შვიდი ბიჭის მერე, ვინც მე, როგორც გოგოს, ნაკლებად ძვირფასად ჩამთვლიდა. ჩემი მშობლები მეტწილად საკუთარი თავით იყვნენ დაკავებულნი, მე სოფლელი ბავშვი ვიყავი, რომელიც გადარევამდე უყურებდა ტელევიზორს და ლექსებს კითხულობდა, რასაც ემატებოდა ბევრი და გემრიელი ჭამა და პიანინოზე რახარუხი. ფემინიზმი ჩემთვის იმასაც ნიშნავს, უფლება გქონდეს, რომ საკუთარ თავს დააცადო, „ქალი" გახდე – ბიოლოგიურად, სოციოლოგიურად, როლის გააზრებით. მას შემდეგ, რაც მე ხელოვნების სახლ „ვილა კონკორდიას" ვხელმძღვანელობ, გავაცნობიერე, რა გზა გამოუვლია ემანსიპაციას. მამაჩემი 27 წლის იყო, როცა ლექსი „Avenidas" დაწერა, და დღეს მე ვფიქრობ, როგორი რევოლუციური იყო ასეთი ლექსი 1953 წელს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ სულიერებაში წინ არ ნაგვიწევია, და რომ ამ ტექსტს კვლავაც აქვს ძალა, ასეთი დიდი მღელვარება გამოიწვიოს. და ამჯერად არა მისი განსაკუთრებული ფორმის გამო ხდება ასე, არამედ შინაარსის.

**ამ დებატებში ლექსის საწინააღმდეგო პროტესტი ისეთებმაც წამოიწყეს და განაწყენებული ფემინისტების როლი მოირგეს, რომლებიც კრებულის „მაღალი ხმა ქალურია“ წინათქმაში სულიერ დებად გყავთ მოხსენიებულნი. როგორი გრძნობაა, როცა AfD-ის[1] პოლიტიკოსები მხარზე ხელს მეგობრულად დაგკრავენ?**

გულისამრევია. ეს მაწუხებს და მართობს და მაჩვენებს, როგორ სწრაფად შეიძლება იქცე ვიღაცის მიერ წამოწყებული კამპანიის მსხვერპლი, თუმცა კი, იმ სასწავლებელში, ნამდვილად არავის სურდა საკუთარი თავისთვის რამე ცუდი და მტკიენეული. მე ირონიულად მეცინება, AfD რომ ემიგრანტის ლექსისთვის ირჯება.

**თქვენ საპროტესტო აქცია წამოიწყეთ ინსტრაგრამზე. როგორი სახის აქციაა ეს?**

გრაფიკოს სებასტიან მაგნუსთან ერთად დავამზადე ლექსის შაბლონები და სტიკერები. ისინი თან დამაქვს პოეზიის სალამოებზე, მკითხველთან შეხვედრებზე, გერმანიაში თუ უცხოეთში, ვჩუქნი ადამიანებს და ვთხოვ, მათ ეს ლექსი გამოიყენონ როგორ მისაწებებლები. ასმა ადამიანმა მაინც შემიკვეთა ეს სტიკერი. ასე ივსება ინსტაგრამზე ფოტოგალერია #avenidaswall. მიყვარს ასეთი ღია პოეტური აქციები. მე ძველი ჰიპ-ჰოპ გოგო ვარ, ჩემთვის მსგავსი დათაგვები ხელოვნებასა და სამყაროში საკუთარი თავის გაძლიერებას ემსახურება. მაგრამ რაკი მე პატარა გოგოც აღარ ვარ, ისეთი სტიკერები დავამზადებინე, ძალიან იოლად რომ ძვრება, არცერთი შენობა არ უნდა დამახინჯდეს ამით.

**რას ამბობს მამათქვენი ამ დებატებზე?**

ის მხიარული და დაბნეული ადამიანიდან მებრძოლად გარდაიქმნა. ამჟამად ჩვენ ყველა ძალიან აღელვებულები და დაღლილები ვართ. სასწავლებლის ხალხი და ჩვენ. ეს რომ ყოფილიყო კამათი გამქირავებელსა და მდგმურს, კედლის პატრონსა და პოეტს შორის, ყველაფერი სხვანაირად წავიდოდა.



ფოტოს ავტორი თილო კიუნტცე

სხვათაშორის, მამაჩემის ადგილას მე მეტ მედიდურობას გამოვიჩენდი, იმ ტექსტს ბოლომდე წავაშლევინებდი.

**ლიტერატურულმა რუბრიკებმა დაიწყეს ლექსის ძირეული გაანალიზება, მსჯელობენ, რომ მასში არ არის „ლირიკული მე“. იქნებ ეს დადებითი გვერდითი მოვლენაა, რომ ლექსის ინტერპრეტაცია უცებ საპირველგვერდო გახდა?**

კონკრეტული პოეზია სამოცდაათიანი წლებიდან სასკოლო სახელმძღვანელოებშია შესული. ეს ერთადერთი სიახლეა გერმანულენოვან ლიტერატურაში 1945 წლის შემდეგ. ოიგენ გომრინგერს, ექვსი წლის წინ, ალის სალომონის პრემიამდე, არცერთი ჯილდო არ ჰქონია მიღებული თავის ნაწარმოებებში. ამგვარი უვიცობა იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რამაც პოეტი მსოფლიოში ცნობილი გახადა, დანაშაულია. ჩვენ პოეტებს ძნელად თუ რამე გაგვაკვირვებს. ვიცით, რა ძლიერია მასალა, რასაც ყოველდღე ვამუშავებთ. ის, რომ მერე სხვები მას იღებენ და თანაც თავი მისი აღმომჩენები ჰგონიათ, ეს გვართობს, თუმცა კი ეს ჩვენს ნაწარმოებს არაფერს სძენს. ჩვენი საქმე წერაა, ენასთან მუშაობა, ასეც და ისეც.

**ერთი ლექსი თქვენი კრებულიდან „მოდები“, ეძღვნება Clutch-ს (პატარა ხელჩანთას). თქვენ რა გიდევთ იმ ჩანთაში, რომელსაც მუდმივად დაატარებთ?**

ჩემს ჩანთაში ზის ჩემი პარტნიორი (პატარა, შავი, ქოჩრიანი, ჰალსტუხიანი არსება, ვისთან ერთადაც ფილმებსა და ფოტოებს ვიღებ). დანარჩენი შიგთავსი უკვე ამ ჩანთაში „მატრიოშკას“ სისტემით მიდის: ერთი ჩანთა – კოსმეტიკისა და წამლებისთვის, ერთი – კალმებისთვის და ერთიც – მეკბუქის ადაპტორისთვის. წიგნები (ლექსები), საფულე, გასაღები.

რაც შეეხება ერთი ბეწო Clutch-ს, მასში ჩემი პარტნიორი ვერ ჩაეტევა. საერთოდ, ვცდილობ, ჩემს საღამოს გარდერობშიც კი, შარვლის ჯიბეები არსებობდეს.

***31.01.2018***

*გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა*

[1] **AfD (Alternative für Deutschland)** – ალტერნატივა გერმანიისათვის, მემარჯვენე-პოპულისტური პოლიტიკური პარტია.

ბიბლიოთეკა

# პროექტი PENG PENG PARKER

## „ის ხომ მართლაც ძალიან, ძალიან სახალისოა“

*ნორა გომრინგერმა ჯაზის დრამერ ფილიპ შოლცთან ერთად მუსიკალური პროექტი „Peng Peng Parker“[1] გააკეთა, რომელიც ამერიკელი მწერლის, დოროთი პარკერის შემოქმედებას ეფუძნება. ამ მრავალწახნაგოვანი მწერლის ლირიკული ნაწარმოებები გონებამახვილური და ლაკონიურია, ხან ფაქიზი, ხანაც უხეში. არავის დაუწერია სიყვარულსა და სქესთა შორის ორთაბრძოლაზე ისეთი ოხვრითა და დაცინვით, როგორც დოროთი პარკერს, რომლის შემოქმედებით მემკვიდრეობას ასევე ეკუთვნის კარიკატურები და დახვეწილი ხაზებით შესრულებული პორტრეტები იმ ბულვარული საზოგადოების ლომებისა, ოციანი წლების ნიუ იორკში რომ ცხოვრობდნენ.*

*პარკერის ირონიულ, იუმორისტულ თუ სასიყვარულო ლექსებზე, რომლებიც კოლეგებს, მამაკაცებსა და ძაღლებს ეძღვნება, გომრინგერმა და შოლცმა გასაკვირი სიმღერები შექმნეს, რითაც მართლაც ფურორი მოახდინეს. ეს მელოდიური და რიტმული, გონებამახვილური და ორიგინალური პროექტი გაჟღენთილია შავ-თეთრი ფოტოებისა და პიანინოს კლავიშების იმ მელოდიით, რომელიც სტრიქონებს შორის იმალებოდა.*

***ნორა გომრინგერმა დოროთი პარკერის შესახებ მთელი პროგრამა მოამზადა. რატომ აირჩია მან კონკრეტულად ეს ამერიკელი მწერალი?***

ჭკვიანმა დედაჩემმა თინეიჯერობისას ხელში მომაჩეჩა მოთხრობების კრებული „ნიუ იორკული ისტორიები“. მაშინ დროს გამოვნახავდი თუ არა, ნიუ იორკში მივფრინავდი ჩემს ძმასთან სტუმრად, მანჰეტენზე. სკოლის დამთავრებისას საგამოცდო ნაშრომი დოროთი პარკერის პიესებზე დავწერე, მათ ინსცენირებაზე სხვადასხვა თეატრებში. ასე რომ, ეს მწერალი მე დიდი ხანია მომყვება.

***ვისაც მისი სახელი არც კი გაუგია, რას ვეტყვით მათ, ვინ არის დოროთი პარკერი?***

ამ მწერალმა ქალმა თავისი შეგრძნებების დილემით – მამაკაცივით ესვა და ქალურად მგრძნობიარე დარჩენილიყო, მოახერხა სახელი მოეხვეჭა როგორც პოეტს, ოსკარზე ნომინირებულ სცენარისტს და პოლიტიკურ აქტივისტს. ვინც მას ჯერ არ იცნობს, წინ აქვს მრავალწახნაგოვანი ნაწარმოებების აღმოჩენის შესაძლებლობა: მხიარული, მწარე, მელანქოლიური, ომსა და მშვიდობას შორის, ურთიერთობით სამყაროსთან და საკუთარ თავთან. გარდა ამისა, მას ძაღლები უყვარდა.

***მისი სტრიქონებიდან რომელს ამოირჩევდით, შესაძლებლობა რომ იყოს ამ სტრიქონების ჰამბურგის რომელიმე შენობის კედელზე მიწერისა?***

„ოჰ, რა იოლია, ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა, სანამ მათ შეიყვარებთ“. ეს წინადადება არის მოთხრობიდან „ტელეფონზე დარეკვა“.

***წარმოუდგენლად ბევრი მწერალი არსებობს, ზოგი ცოცხალი, ზოგიც უკვე გარდაცვლილი და კიდევ ახალი და ახალი სახელები ჩნდება. რატომ ღირს მაინცდამაინც დოროთი პარკერის წაკითხვა?***

ეს მწერალი ყველამ თვითონ უნდა იპოვოს. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პარკერის გააზრება წერისას მეხმარება. ფილიპ შოლცს და მე შექმნილი გვაქვს სიმღერები მის ლექსებზე, ულრიხ ბლუმენბახის გენიალური თარგმანის მიხედვით. ჩვენი ჩანაწერი ამ ავტორის პოეტური შემოქმედების გაგრძელება და მისადმი პატივისცემის გამოხატულებაა.

***ამ ყველაფერში ხომ არ თამაშობს როლს ის ფაქტი, რომ დოროთი პარკერი ქალი იყო და არა მამაკაცი?***

როგორ არა. ეს ხომ ქალის ბიოგრაფიაა, რომელიც იმ წლების ნიშანსაც ატარებს და თანაც, ასეთი გამორჩეულია. ეს ელემენტი იმ ჯაზურ კომპოზიციებშიც ჩანს, ჩვენ რომ ჩავწერეთ.

***და ის თუ თამაშობს როლს, რომ თქვენც ქალი ხართ და არა მამაკაცი?***

რეალურად ძალიან ცოტა კაცს ვიცნობ, ვინც თავს დოროთი პარკერის ფანად მოიაზრებდა. მაგრამ იმასაც ვამჩნევთ, რომ ჩვენი კონცერტებით მისი შემოქმედება მამაკაცებსაც ხიბლავს. ის ხომ, ამავე დროს, ძალიან, ძალიან სახალისოა.

***რას გაითვალისწინებდით მისი შემოქმედებიდან, ანდა, სულაც რას მოიპარავდით სიამოვნებით? (თუ უკვე გაგიკეთებიათ ეს ყველაფერი?)***

ვისურვებდი, მქონოდა ისეთი შთამბეჭდავი ლიტერატურული მრგვალი მაგიდა, როგორიც მას ჰქონდა ერთ დროს ალგონქვინ ჰოტელში, სადაც ჟურნალისტები, მწერლები და მსახიობები იკრიბებოდნენ. გარდა ამისა, მეც დავარქმევდი ჩემს თუთიყუშს „ონანს“, მას შემდეგ, რაც ის თავის სპერმას გადმოაფრქვევდა. ჰაჰაჰა.

***დასარტყამი ინსტრუმენტი როგორ შემოვიდა თქვენს პროგრამაში?***

პენგ პენგ პარკერი (Peng Peng Parker) ჩვენი მეორე პროექტია, სადაც შევეცადეთ, სცენაზე ტექსტების დეკლამაცია და მუსიკა ერთად წარმოგვედგინა. ეს დისკი ამავე დროს, პირველი ჩანაწერია, სადაც ვმღერივარ. მასში ფორტეპიანოს ხმაც ისმის. ჰამბურგში, ცოცხალი შესრულებისას, ჩვენთან ერთად პიანისტი ფილიპ ფრიშკორნიც გამოვა, რომელიც შოლცის კომპოზიციებს დაუკრავს.

[1] peng გამოხატავს 1. გარეგნულ და სექსუალურ მიმზიდველობას. 2. უმაღლეს ხარისხს.

*ესაუბრა* ***ფლორიან ცინეკერი,***
*გაზეთი ZEIT ONLINE*

***გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა***

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტოს ავტორი იუდით კინიტცი

# ლექსის ანალიზი 2.0*

## (ნუ შეგეშინდებათ, სასკოლოს არ ჰგავს)

*ნორა გომრინგერი*

აქვე ვიტყვი, რომ სკოლაში ლექსის ანალიზის დაწერა არავის უყვარს, თუმცა, ვინც თავს ლექსებს ანამებინებს, თვითონ არის ამაში დამნაშავე.

*მიფრინავს მიედინება მისაგებებლად მიფრინავს*
*იმლება მიფრინავს ეხვევა*
*მიფრინავს ერევა მიფრინავს იხსნება მიფრინავს*

ეს შენი ლექსი, ძვირფასო მამაჩემო, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ლექსია. მსუბუქია, თუმცა არც დრამატიზმი აკლია. სიმსუბუქე მასში შერწყმულია მეტაფორულთან, უფრო სწორად, მეტაფორა – მეტაფორასთან, რაკი რაღაც მიფრინავს და რაღაც კიდეც მიედინება. იმ ფორმით, როგორც აქ არის ნათქვამი, ერთი მეორეს არ უნდა ჰგავდეს.

ეს მშვენიერი პარალელია შენთან მიმართებაში. არ არის აუცილებელი, რომ ერთი მეორის მსგავსი იყოს. ასე ფიქრობ შენ, შეუდარებელი და შენთან მხოლოდ ასეთი ფრენაა. ნლევანდელ გეგმაში უარავი პროექტი, განზრახვა, საზრუნავი, სტრატეგიული მიზანი იყო, და ისინი კვლავაც გრძელდება.

ქალბატონებო და ბატონებო, ვისაც ერთხელ მაინც დიდი დაბადების დღე გადაუხდია, მიხვდება, რა ძალისხმევაზე ვსაუბრობ ახლა. ჩემი მშობლები ქალაქის მმართველობასთან და სპონსორებთან ერთად, მთელი ძალით და ენერგიით ირჯებიან. და არა საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის: რეჰაუს კონსტრუქციული ხელოვნებისა და კონკრეტული პოეზიის ინსტიტუტის 10 წლისთავია. ანუ ის უკვე სკოლის მოსწავლეა, ათი წლის არსება.

და ამ ქალაქს შემოხიზნული ეს ბავშვი, შეიძლება ითქვას, უკვე საკუთარ სახლში გრძნობს თავს, და აქ ყოფნა ძალიან მოსწონს. ქალაქი და პრესა, ცალკეული სპონსორები,

---

* 2.0. სავარაუდოდ გულისხმობს შეფასებას, რაც გერმანული საგანმანათლებლო სისტემის მიხედვით, შეესაბამება ნიშანს „კარგი". რადგან ავტორი სათაურშივე სასკოლო თხზულებას ახსენებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ტექსტს სასკოლო ფორმატს აძლევს (მთარგმნელის შენიშვნა).

მეგობრები, ეხმარებიან მას და უფლებასაც კი აძლევენ, სააზროვნო სივრცეები გაიფართოოს.

სახლი ხომ შეხვედრების ადგილია და არამხოლოდ საცავი ან თავშესაფარი. ჩვენი სახლი კი ანალიტიკურ ცენტრს ჰგავს, ხელოვნების მოედანს. ეს ნამდვილი ხელოვნების სახლია, სადაც მხატვართა ნამუშევრები იფინება, ყურადღების ცენტრში ექცევა და მნახველი მათგან რაღაც ახალს სწავლობს. ეს შენი ნიშანია, მამაჩემო – სხვებისთვის გარჯა, დახმარება. როცა როგორც ბამბერგის ხელოვანთა სახლის დირექტორმა გაცხარებული მუშაობის დღეებში, „ზიუდდოიჩე ცაითუნგის“ ჟურნალისტისთვის დრო გამოძებნე, მან იტერვიუ დაიწყო სიტყვებით: „ძალიან მიყვარს მამათქვენი“. შენი ნაწერებით ამ კაცს სტუდენტობის წლებში მოტივაცია მიეცი, მის შინაგან რაღაცებს გაეპასუხე. და როცა რამდენიმე წლის წინ ხელოვნების სახლში გეწვია, არასოდეს დაავიწყდება გაკვირვება და აღფრთოვანება, როგორი „ნორმალური“ აღმოჩნდი, რა შესანიშნავი. მიამბობდა, როგორ იმოქმედა მასზე იმ ამბავმა, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მას მადლობის წერილი რომ მისწერე და შენი შთაბეჭდილებები, მოსაზრებები გაუზიარე.

ზოგიერთს აქვს მამაჩემისგან მიღებული ხელნაწერი წერილი. მას მოსწონს საქმიან თუ მეგობრულ წერილებზე პასუხის გაცემა. რეჰაუს ფოსტის თანამშრომლები კარგად იცნობენ ბატონ პროფესორს, რომელსაც მათთან ყოველდღიურად მიაქვს გასაგზავნი წერილები. გომრინგერი წერს და მისი სტრიქონები ადრესატებამდე მთელი მსოფლიოს მიმართულებით მიფრინავენ. წერილებზე პასუხის გაცემა იოლი არ არის, ხანდახან საკმაოდ მომაბეზრებელი, ხშირად მოსაწყენი და უფრო ხშირად უმადური საქმეც ჩანს. მაგრამ კარგი ჟესტი მუდამ არის. წერილი დაკაკუნებას ჰგავს, საპასუხო კაკუნია სამყაროს მიმართ. ორი ადამიანი ერთმანეთთან განგრძობილ დროში ურთიერთობს, მაგრამ სულიერად ჰარმონიულ კავშირს ქმნიან. ეს კაკუნი ძლიერდება და ხმა გასაგონი ხდება. მას შემდეგ, რაც შენ 50-იან წლებში, უკვე დღევანდელი გადასახედიდან, გერმანული ლიტერატურისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყე, მსოფლიომ გაგიცნო და შენც გაიცანი ის. პოეზიის საღამოებით უთვალავჯერ მოიარე სამხრეთ თუ ჩრდილოეთ ამერიკა, აფრიკისა და ევროპის ქვეყნები. და როცა ახლა უკვე მე ჩავდივარ იქ ლექსების წასაკითხად, ისინი მხვდებიან შეკითხვით: „თქვენ ოიგენ გომრინგერის ქალიშვილი ხართ? ნამდვილად „იმ“ გომრინგერის?“ ჟურნალისტები მეუბნებიან ხოლმე: „ალბათ ეს შემაწუხებელია არა?“, და მე ვპასუხობ: „არა. კარგია, რომ ასეა“.

მე ხომ პოეტის როლში იშვიათად მინახიხარ. არ ვიცი, ადამიანებს როგორ წარმოუდგენიათ, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ ვსხდებით მაგიდასთან და ერთმანეთს ახალდაწერილ ლექსებს არ ვეჩურჩულებით, შემდეგ ვაქებთ, ანდა ვეუბნებით: ამას სჯობს ხელახლა გადახედო, გააშალაშინო!

არა, ჩვენ სულ სხვა საკითხებზე ვსაუბრობთ ანდა დუმილს ვარჩევთ. მე შენ, როგორც ავტორს, მაშინ გეცნობი, როცა გარეთ გავდივარ. ეს შენი ლექსების სტრიქონებია, ჩემზე დიდი ხნით ადრე რომ დაიბადნენ, რომლებიც გარეთ ზუზუნებენ და დაფრინავენ: გარს ეხვევიან სამყაროს. იქ, სადაც შენ მუშაობ და ცხოვრობ, სხვა ადამიანი ხარ. აქ შენ ახალ-ახალი ტალანტების ხელისშეწყობასა და ესთეტიკურ საკითხებზე ფიქრით ხარ დაკავებული. ფიქრობ, რა გააცნო პუბლიკას, რა არის ფასეული.

შენ მთლიანად ხარ განზავებული და გახსნილი შენს საქმეში და შენს მაგალითზე ამ ყველაფერს მეც ვსწავლობ.

არაფერია იმაზე გამაღიზიანებელი, ვიდრე პირველობის თუ სკამის მოსაპოვებლად სწრაფვა. ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ. შენი გულწრფელი ანგაჟირება, რომელიც უამრავ დროს ითხოვს, და შენი შემოქმედებითი საქმიანობა, უფლებას გაძლევს დღეს, ეს მაღალი ჯილდო მიიღო. რა კარგია, რომ შენს მიერ არჩეულ სამშობლოში, ქალაქ რეჰაუში, მომლოცველების, მეგობრების და ოჯახის წევრების გვერდით, ამდენი ადამიანი გაღიარებს და გაფასებს.

შენს ნამუშევრებში სიმსუბუქე შერწყმულია ხელოვნების არსთან. შენი სილაღე და შესანიშნავი იუმორი გხდიან ცხოვრების მცნობ ადამიანად, რომელსაც ძნელად შეაშინებ, შენ ხომ შვეიცარიის არმიის ოფიცერი იყავი და სათანადო წვრთნა გაქვს გავლილი.

და ასე ფრენს (იგი) კვლავ შენ გარშემო, შენში. შენ იცი, რამდენი წლის ხდები და მხოლოდ შენ იცი, ეს ასაკი რას ნიშნავს. მე გიყურებ და რიცხვებს კი არ ვხედავ, არამედ მთლიან ჯამს.

ჩემო საყვარელო მამავ, რენეს, ტილმანის, შტეფანის, პეტერის, კლემენსის, მარტინის, რობერტის და ჩემი სახლით, შენი შვილიშვილების და შვილთაშვილების სახელით გეუბნები: კვლავაც იფრინე და ისევ და ისევ ჩვენც გაგვიყოლე შენს დაუდეგარ მოგზაურობებში.

აი, ლექსის ანალიზიც დასრულებულია. იმედია, არც ისეთი ცუდი გამოვიდა. ლექსები მშვენიერი რამეა, განსაკუთრებით, სადაც ბევრი თავისუფალი ადგილია დატოვებული, რომელიც შეგიძლია, თვითონ შეავსო. აი, ის, რაც ახლა მე გავაკეთე.

სხვათაშორის, „ზიუდდოიჩე ცაითუნგის“ იმ ჟურნალისტს დაუფიქრებლად მივუგე: კარგია, რომ მამაჩემი გიყვართ, მეც ზუსტად მასე ვარ.

**2010 წელს, რეჰაუს რატუშაში, ოიგენ გომრინგერის 85 წლისთავის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაზე დაყრდნობით.**

***გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

პაატა შამუგია

## ევროპის მოედანი

ევროკავშირმა ქართული თაფლი დაიწუნა,
რადგან, აღმოჩნდა, რომ მასში მავნე ნივთიერებები იყო
და კარტოფილიც დაიწუნა იმავე მიზეზით
და სუნელიც – იმავე მიზეზით
და მგონი, ხორბალიც დაიწუნა
და თუ არ ვცდები, აპირებს, ვაშლიც დაიწუნოს
და თხილიც დაიწუნოს
და მსხალიც – შესაბამისად.
და ახლა, როცა ევროპის მოედანზე ვზივარ,
ვხვდები, რომ მე უფრო მალე მოვკვდები,
ვიდრე ჩემი ევროპელი კოლეგები,
რომლებიც კარგი პოეტები არიან (ყველა არა),
კარგი ადამიანებიც არიან (ყველა არა),
და სექსუალურებიც არიან (ყველა არა),
და ცოცხლები გახლავან
და რაც მთავარია, ცოცხლები იქნებიან მაშინაც,
როცა მე ანტიბიოტიკებით გაჟღენთილი თაფლისა
და მავნე სუნელებში ამოვლებული
დაჭიანებული კარტოფილის ჭამის გამო
კარგა ხნის მკვდარი ვიქნები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლექსი კვადრატში

*„რატომ იგინებით, მოქალაქევ?!“*
*ეთიკური პოლიციელის ფრაზა მის მიერვე ნაწამები ზვიად რატიანისადმი*

ისინი მოძრაობენ თავიანთ კვადრატში,
ატარებენ ლიტერატურულ რეიდებს:
მოქალაქე პოეტო, ამოაბრუნეთ ფრაზები!
რატომ ირითმებით, მოქალაქევ?!
ისინი არიან სასტიკები. ო, რა სასტიკები,
მაგრამ მათ უყვართ პატრიარქი,
სამშობლო და ადამიანების წამება,
(სასურველია – ხელბორკილდადებულის),
მათ ასევე უყვართ შვილები,
ოღონდ თავიანთი,
ასევე უყვართ მამა იაკობი,
დედა ეფემია და ხინკლის კუჭები,
მაგრამ ყოველგვარ ცდუნებაზე მაღლა დგებიან,
როცა საქმე ეთიკას ეხება.
და განა რა არის უფრო არაეთიკური,
ვიდრე პოეტი წითელი ქურთუკით!
ელარჯივით მოქნილია მათი მზერა,
მათი ტანი იხრება კითხვის ნიშანივით:
ლექსდამოკიდებული ხართ?
შეუვალია მათი ტონი.
რამდენ პოეტს ჩაუდეს რითმა,
(ზოგს სულაც ჯვარედინი)
და გამოკეტეს სამუდამო კონვენციაში.
ასეთი დაუნდობელია პოეზია –
უნდა გესმოდეთ.
აი, ნახეთ თქვენი კოლეგა,
ორთვიან წინასწარ კონვენციურობაში
ჩაკეტვის შემდეგ,
თითქმის სრულად განიკურნა
და ახლა რეაბილიტაციის ბოლო ფაზას
საზოგადოებრივად სასარგებლო სონეტებში გადის.
თქვენ მას იცნობდით?
ჩუმად პასუხობ:
არ ვიცი, არ ვიცი...
დროა გაიცნო.
დროა დაისაჯო შენც.
დროა დაისაჯო მკაცრად.

## ძველებური იუმორესკა ახლებურ საქართველოზედ

რაც არ უნდა მუშტი კრა და
ცრემლი წნა და ალვარლვარო,
საქართველოს, აჯობებდა,
დარქმეოდა საყვარყვარო.

გვექნებოდა მარშის მცნება,
ქოცის ვნება, ჯონდის პონტი,
ევროპასაც დავშოკავდით,
ვერ აღგვწერდა ქსენოფონტი.

ახლა რაც გვაქვს, იმას აღეწერ
(თუ ამყვებით, კაის იზამთ):
მომავალი კი ჩანს, მაგრამ
მოჰგავს ნახმარ „აიისა“-ს.

ამ დროს ვინმე ჩინოსანი
მშვიდად ზის და მაყუთს თრაქავს.
ლხინი იქა, ჭირი აქა,
მაზა ფაქა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსუდან კაიშაური

### რეკვიემი

აქ იყვნენ კეტიანი
ქალი და კაცი.
კაცი შავი, როგორც
ჭილყვავი,
ამიტომ ქალი ანათებდა
მის ნაცვლადაც.
ბერტყავდნენ ნაძვებს
ძილქუშისაგან,
აშორებდნენ თოვლის
სიყალბეს,
ამის გამოც იყო,
ერთმანეთი რომ
შეიყვარეს.
კაცი ძალიან მალე
ბედმა ისე დაჩრდილა,
რომ ცოლ-შვილმა მიწისგან
ველარ გამოარჩია.
ქალი გამოეწყო თეთრი
ღამეების ფარჩებში.
პატარა ჭილყვავებმაც
მიწაში დაიწყეს ქექვა,
მამას ეძებდნენ,
განსხვავებით ქალისგან,
ქმრის ნატვრაში
ნაძვის ტოტებში რომ
გაიხლართა
რძიანი ძუძუებით.
ახია, რა უნდოდა
ზევით მერძევეს.

### ჩემი ცხოვრება

მეუღლემ სიკვდილის წინ
სოფელი და შვილები ჩამაბარა.
მამალი გამოვდექი
და სოფელს ნელ-ნელა
ვაშენებ.
გამიტკბა ძაღლის ბე(ნ)დი,
ზოგჯერ ღობეზე ვსკუპდები
ან ვძაღლობ თეოზე
და ვირჯები თავის საშველად.
ძაღლობაც ნამდვილად
მჭირდება:
საშიში თეთრი კბილები,
მთვარისთვის ყეფა
და კუდის ქიცინიც,
რომ ეგონოთ პატრონი
გვყავს მე და ჩემს
შვილებს.
მთვარე ჩამომიგდებდა ხოლმე
ლექსს, ხვდებოდა,
სატირლადაც რომ ვერ
ვიცლიდი.
ჩემი კაცი ამ სოფლით
ვერ გაძღა,
ეზოს გულაღმა აწვა,
კაბას აუწევდა
და ბალახს კოცნიდა.
მე აღმოვჩნდი
ძალიან არხეინი, რადგან
იშრომა, იწვალა ჩვენთვის
და ვერც გავიგე,
ისე მომცილდა.
მე შემიყვარდა სიკვდილიანი
სოფელი,
რომელმაც ჩემი კაცი
წამართვა
და მეუღლედ იყენებს;
გლოვის ნაცვლად,
ყივილი მასწავლა,
ბრჭყალების გამართლება
და მზეზე ბუმბულის
გაბრჭყვიალება.
გამოდის, რომ ცხოვრებამ
კბილი მომისინჯა და
მიხვდა:
არ ვაპირებ დაჭიანებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შუშანიკი

ჩამოვიბერტყე ოჯახი
ამდენხანს სულს
რომ ვუბერავდი.
შეგინებულმა მწუხარების
გუბე დავიდგი, საიდანაც
მიუსავლეთში მიმაქანებენ
ქაღალდის აფრები.
წამომეწევა პიტიახშის
დანაბარები;
„შენ შენი ადგილი დაგიტევებიეს
და სხუად წარსრულ ხარ!"
ჩემი პასუხიც
მისთვის იქნება საწყენი:
ამ ჩემი ყოფის
„ცეცხლებრ შემწუელი
ქარნი ხორშაკნი და
წყალნი მავნებელნი" მფიტავდნენ
და ეს ამბავი
თავის გასამართლებად აღვწერე.

## მართა და მარია

ქალები გაიყვნენ
მარიამებად და მართებად,
სახელები გადაუქცია
ქრისტემ მათ წოდებად,
მათ შორის ტოლობაა
და დათმენა,
ქრისტეს გამო რომ
მართებდათ.
ორივე ერთმანეთში სწორდება,
რადგან მათ გულებში
ღვთისადმი ვალია.
მართამარია ერთმანეთს
არც მაშინ შორდება,
ერთ-ერთს სულმოკლეობამ
ხელი თუ დარია.
ლაზარეს დობის
შარში იყვნენ,
ამბავმა მათ გაუბზარავში
ქრისტე რომ გარია.

## ჩაისთან მისაყოლებელი

დავსხდეთ, ჩაის ერთმანეთი
მივაყოლოთ.
თვალებიდან შვინდის და
კაკლის მურაბები გამოვიწყოთ,
რომ წარსულიდან
ყველივით ამოვიყვანოთ აწმყო.
სარკეში უკვე 60 წლის
ვართ,
სარკის გარეთ – ამ რიცხვს
აცდენილი.
ჩვენი ძვლების საკიდებზე
ტანსაცმელი აცემინებს და
– „სიცოცხლე!" –
სხეულებს წამოაცდენინებს.
ავდუღდით, რძესავით
გადმოვედით,
მაგრამ აწმყოსთან ვჭიმავთ დიალოგს.
მომავალი გვეძალება,
რომ გაგვატიალოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მყავს ნუთისოფელი

სული ავიფორიაქე,
როცა ოჯახურ საქმეებს
შემოვუნყერი
და მხარი მეცვალა.
გარემოს და ერბოკვერცხის
თქვეფა და ასე შემდეგ –
არის ნყევლა,
რომ ვერ მომეცალოს.
კარგად ვარ ალესილი
ცხოვრებაზე,
განსაკუთრებით, ხელებს
რაც ეხება.
განეწილი ნერვების ლეიბზე მძინავს
და როცა ვბრაზობ,
ტანზე სამოსი კი არა,
პოეზია შემომეხევა.
სანერად დავჯდები,
თავს ვიმართლებ,
რომ უცხოვრობაა და ჟამი
სულთამოფენის:
ცისკენ რამდენჯერაც გავინიე,
არც კი გამომეტირა
ნუთისოფელი.

## სულიკო

უგემური სამშობლო
ჩემით გადავამლაშე,
ეს სიმნარე თან დაჰყვებათ
ჩემს გაჩენილ ლექსს
და ქალ-ვაჟებს.
ჩემთვის ისინი არიან
სულ ადვილები მას შემდეგ, რაც
დამიმახინჯდნენ სახეზე,
როგორც ჩუტყვავილები.
სამშობლოს მოვლითი
ტკივილი ვარ,
ის კი, სახელად, სულიკო,
მისი დაკარგვის შიშის გამო
გულისფანცქალით ვამოწმებდი
და სულ იყო.

## როგორ ვარ ახალგაზრდა

დედაჩემს და შვილებს
ცოტ-ცოტა ახალგაზრდობას
ჩამოვჭრი.
ჭიპლარით კი არა,
ერთმანეთზე ნერვებით მიბმულები
ალმოვჩნდებით
და დროა,
დავიშალოთ ხელებად, რომ
ვიკითხოთ:
ვინ ვის ეფერება
და ამნარებს?
ამიტომაა: თავბრუ, დედა და შვილები
კრიალოსანივით რომ მკიდიან
გულის ბანარზე,
ერთმანეთში მერევა.
შემოეხეტეთ ჩემთან სანიშნად,
ჩემებო,
მომძებნეთ თავში სარჩევით
და ყველა გვერდზე
დასმული ციფრებით.
ჩემს წიგნში სწრაფად ვიფურცლები,
ანუ ვიცვლები,
უკან-უკან ვიხევ
და ახალგაზრდობაზე გავჩერდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მზადყოფნაში მოიყვანე შენი სხეული
(ჩვენ ერთმანეთს უნდა შევხვდეთ),
ორივე თვალი ფოსოებში ჩასვი კარგად, –
დანმინდე მზერა, – როგორც წყალი, საცერი რომ გამოიარა.
ორივე ყურში სმენადობა გაამახვილე
და ტუჩებსაც მიუჩინე თავის ადგილი, –
პატარა და ფერმკრთალ ტუჩებს
(ის ჯანსაღი შინდისფერი, მათ რომ ჰქონდათ,
ჩემთან შეხვედრის მოლოდინმა გააფერმკრთალა),
ორივე მკლავი, ღონიერი,
კიდევ ერთხელ შეამოწმე, შენს სხეულს თუ ასხია მჭიდროდ
და ფეხებიც მყარად თუ დგანან იმ ნიადაგზე,
საიდანაც ჩემკენ პირველი ნაბიჯები უნდა გადმოდგა.
და მთავარი ხმაა შენი,
ახლა რომელიც დაკარგე და ვერ პოულობ
(ჩვენ ერთმანეთს უნდა შევხვდეთ ძალიან მალე,
იმ წითელ და მაღალ ზოძთან, გზაგასაყარს რომ დასცქერის),
ვერ გაგიგია სად წავიდა, რატომ წავიდა?!
იქნებ ჩემთან შესახვედრად გამოექცა შენს მზადყოფნ სხეულს,
რომ მაუწყოს ის სიძლიერე და სიმართლე, შენ რომ ისახავ.
ეგებ იქვე, აყრილ ტყეში იმალება და აყურადებს,
უიმისოდ როგორ მოხვალ
და უსიტყვოდ როგორ მეტყვი,
შენს პირველ სათქმელს ფერმკრთალი და მღვრიე ტუჩებით...
ან საჭიროა ის სიტყვები, რითაც ერთმანეთს უნდა ვაუწყოთ
ჩვენი სიმართლე, სიშიშვლე და მაღალი სახე?!

აი, უკვე შევხვდით ერთმანეთს
(გზაგასაყარი გაფართოვდა), –
შენი უხმო, მზადყოფნაში მყოფი სხეული
ჩემი სხეულის ჩრდილს შეეხო და მე ვთქვი ასე:
შენ მოხვედი, ჩემმა ჩრდილმა მიგიღო, ხედავ?!

* * *

ნეტავი როგორია ის
უჩინმაჩინი – სიკვდილი...
ალბათ ცვილივით თეთრ-ყვითელი,
ნეკა თითით წამოზრდილი ფრჩხილით
წელში მოხრილი, ხელებზე ნიკაპდაყრდნობილი,
ზის და ფიქრობს სათითაოდ შვიდ მილიარდზე:
ვის, როგორ და სად...
შვიდ მილიარდზე და ცოტა მეტზე.
ჩვენც იმ ერთზე ვფიქრობთ,
ჩვენ – შვიდი მილიარდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხანდახან კოვზი ნაცარში უვარდება, –
ამას წინათ,
მინდორში ხმალივით დაგდებულ გზატკეცილზე
საწვავის ავზი ააფეთქა,
ჯემალა ისე შორს გადასტყორცნა, რომ
მინდვრის ბოლოს, თივის ბულულში მოადინა ზღართანი.
თითის მუცელიც არ სტკენია.
იქვე გლეხები მოსავლის აღებისას სვამდნენ,
და მხოლოდ სველი, თიხის დოქები წაიქცნენ ელდით.
რაღა თქმა უნდა, – შორს არ იყო და, –
ალავერდობას,
თავის დაფ-ზურნით, დუმამსუქანი ჭედილით
მიუსხდნენ სუფრას ჯემალა და ბიჭბუჭობა, ნათესავები.
გადმოსძახეს გალმა სუფრიდან: მეზობელი ქვრივი გიორგას
სამი წლის გოგოს შესანდობარი: წყალში დაიხრჩო, მამამისიც უკან გაჰყვა...
მედოლეს დოლი დაუდუმდა, გარმონს ხმები სადღაც გაექცნენ,
ჯემალამ კი ინატრა, რომ სჯობდა, იქვე დაბუგულიყო
(სამოცდათორმეტ წელიწადზე დამეყარა ნეტავ ფარ-ხმალი).
სიკვდილი კი, ამ დროს დავლურს უვლიდა...

ნეტავ როგორია, ის.
როდესაც ზის და ჩვენზე ფიქრობს,
სათითაოდ შეიდ მილიარდზე –
ვინ, სად და როდის...
ფიქრიანი და მჭმუნვარე სახე აქვს თუ,
მარტო ცეკვავს, –
მარტო, გიჟივით...

## ოდა მამაჩემს

### ზაფხული

ზაფხულის იმ დღეს,
იმ თაფლივით ტკბილ და ყვითელ ვარვარა დილას,
მზის სხივები ხეთა ტოტებზე,
ვენახზე და იმის უკან, მსხმოიარე მწიფე ბაღზე საიმედოდ დაფენილიყო.
მწვანეთვალება დედაჩემმა გაშალა სუფრა ალუბლის ჩრდილქვეშ,
მე კი გამგზავნეს გოლიათი მამაჩემის დასაძახებლად
(ასე ვფიქრობდი, ასე მწამდა – გოლიათების ქვეყნიდან იყო).
ყველა კვალში ვდგებოდი და ჩვენკენ ვუხმობდი,
ექო უკანვე მიბრუნებდა ხმასა და ფერებს,
მერე მეზობლებს მივადექი ძებნით გართული, – ერთს და მეორეს –
შოშიაანთმა კაბის კალთა ამივსეს ბლებით,
ნანოზიანთ – სიმინდის ქეჩში შეხვეული ნედლი თხილებით,
უძლოანთ ვაქსომ მოკანკალე ხელით მომცა მკვახე ვაშლები,
ყირყინტაიძემ – გულთმისანმა – ჩემი ბავშვური ოცნებების ამომცნობელმა (?)
პატარა და მსუქანი ლეკვი
აკანკალებულ, აღელვებულ მხარზე დამისვა
(აღელვებული – მამაჩემი რომ ვერ ვიპოვნე, ვკანკალებდი – ლეკვის ნახვით გახარებული).
შინისაკენ რომ მოვრბოდი, გამოვრბოდი, მოვქრიალებდი,
ბედნიერებით აღტყინებული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოეპქროდი და გზა-გზა მცვიოდა:
თხილი, ვაშლები, ალუბლები..
ლეკვს კი ვიკრავდი, გულში ვიკრავდი, ვიცინოდი,
ლამის გავსრისე...
შემოვგლიჯე ორღობის კარი –
ყველა კუთხე-კუნჭულს გავძახე სიხარულის ჩემი მიზეზი
(გოლიათი მამაჩემი მიმავიწყდა შარშანდელი ჭრილობებივით).
მერე, უკან, ბაღის ბოლოს რუსკენ წავედი.
გადავკვეთე ქლიავის და ჭერმის ჩრდილები, ხახვისა და ნივრის კვლები გადავიარე,
ძუძუვაშლას ხესაც გავცდი
და ლეკვით ხელში თეთრი თუთის ჩრდილში შევცურე.
და დავინახე, –
ჭაბუკ მამაჩემს, თუთის ჩრდილში წამოწოლილს ჩასძინებოდა
უდარდელი ღიმილით პირზე
(გოლიათ ტანზე ლიცლიცებდნენ ჩრდილის ლაქები),
გადაღლილს თავქვეშ ამოეწყო, ღონიერი, მშვიდი მკლავები,
იქვე სათუთად – თოხი, ბარი, ჩალის ქუდი, დოქით წყალიც...
ლეკვს მოვეფერე, სიხარულით რუს გადავახტი...

### *შემოდგომა*

შემოდგომის ერთ სავსე დილით
(ქარვა, ზურმუხტი, ძოწი და ლალი
ერთმანეთში რომ ირეოდა),
როცა ფუტკრები უკანასკნელ ღონეს იკრებდნენ
და საბოლოო თავგანწირვით სწოვდნენ სიტკბოს
აქა-იქა შემორჩენილ თამამ ყვავილებს.
მითხრეს, რომ ზვინის ასაგებად მივდიოდით ალაზნის გაღმა „ჩაკიდებულას"...
– ნეტავი რაა, რა ადგილია ჩაკიდებულა – ვბუტბუტებდი ჩემთვის ხმადაბლა,
რომ უცებ თვალწინ წარმომიდგა ორი ქარაფი
და მათ შორის დაკიდული სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდი,
ან იქნებ ხიდი მდინარეზე საცალფეხო წვრილი ხიდია,
ძაფივით რომ ჰკიდია და სუსტი სიოც ადვილად არხევს.
მაგრამ იქ ზვინს როგორ ავაგებთ?!
რაღაცა სხვაა, რაღაც იმგვარი – შეუცნობელ-მიუწვდომელი, –
ჩემს ბავშვურ ფიქრს და ფიქრს შორის რომ დაკიდებულა...

პოდა, წავედით, შემოდგომის იმ სავსე დილით
მთის მწვერვალებს რომ თოვლის პირველი ფიფქი ეყარათ,
კვირიონებიც რაღაც ზანტად მიაპობდნენ აღმოსავლეთით
რიბირაბოდ გაწოლილ ღრუბლებს,
ხელში ფინლებით ჩავუყევით ღორღიან ბილიკს, –
თითქოს საომრად მივდიოდით – მათი წვერები, –
როგორც წვრილი, ალესილი მახვილები მძიმე ბრძოლის წინ მზეზე ელავდა...
მერე დაიწყო უსიერი ტყე და მინდვრები, თავდაღმართები,–
ჩავდიოდით ბილიკებით დაბლა და დაბლა,
მალევე ჩვენს წინ, როგორც ზღაპრად
ქარაფსა და ქარაფს შორის ვრცელი ტაფობი გადაიშალა,
გათიბული ქორფა ბალახით, რომელსაც უკვე ოქროსფერი ფერი დაჰკრავდა.
აქა-იქა ძოვდნენ შავი ბედაურები,
იქვე მოსჩქეფდა პატარა წყარო ხავსიანი ქვების ქვემოდან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმის იქით კი ძველი სამრეკლო, ეკლესია გუმბათმოშლილი,
თითქოსდა ჩვენგან რაღაც იდუმალ, საიდუმლო ამბავს მალავდა...

ბინდისას ცაზე ვარსკვლავები რომ ინთებიან,
ასე თანდათან წამოიმართნენ,
„ჩაკიდებულას“ პატარა ველზე ოქროსფერი მწიფე ზვინები
(თითქოს სიცოცხლის ბილიკებად დაეკიდნენ ქარაფსა და ქარაფს შორის),
ავირბენდი ტაფობის მაღლა და ამ სურათს ასე ვზვერავდი:
გოლიათი მამაჩემი ანოდებდა თივას ქვემოდან
და ელოდა,
მწვანეთვალება დედაჩემი საიმედოდ, საგულდაგულოდ როგორ დაფენდა, ჩატკეპნიდა,
მერე დედა უყურებდა, თუ მისწვდებოდა ზვინის მწვერვალს
მამაჩემის ღონიერი ხელით აწვდილი თივის გროვა საიმედოდ, უდანაკარგოდ
(როგორც კოშკის მოდარაჯე ელის მშენებლის მარჯვე ხელით
საბოლოო სათოფურის ამოშენებას),
შორიდან კი მათი ფიწლები, როგორც ხმლები, ისე ელავდა...

შესვენებისას ახედა ცას, ხელი მოისვა
ოფლითა და მზით დამბალ შუბლზე, – მზე იკბინება, გაავდრდება – ჩაიბუხუნა, –
თქვა და იელვა, გაიკლაკნა ელვა ცაზე, ჩამობნელდა, დაიგრუხუნა,
რაც დარჩა თივა, წამოვხვეტეთ ფიწლებით ჩქარა,
მიტოვებული ეკლესიის თაღქვეშ შევყარეთ –
გუმბათამდე ავაგეთ ზვინი და იმის წვერზე მამაჩემმა გოლიათი ხელებით დამსვა.
მზერა მოვავლე სანახევროდ ჩამოშლილ ტაძარს,
ელვის შუქზე გაკრთებოდნენ, გაიელვებდნენ,
აქა-იქა შერჩენილი ფერგამკრთალი ანგელოზები,
ერთ-ერთს მხოლოდ ნაღვლიანი, ცალი თვალი შემორჩენოდა,
ამოთხრილი თვალის ფოსო კი გვაუწყებდა:
„ვაშა კომუნიზმს!!! ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი!“

ცა რომ მთლიანად ჩამოიქცა, ჩამოიწრიტა,
გავიდეთ მხრებზე ფიწლები და გავეცალეთ „ჩაკიდებულას“
(მეომრებივით, მძიმე ბრძოლის მოგების შემდეგ
ნადავლი რომ იქვე დაყარეს
და ახლა თითქმის უდანაკარგოდ ბრუნდებიან სახლში ჩვეულად),
ცაზე აღარსად ჩანდნენ ზანტი კვირიონები,
ხეობებიც მთებში ნისლებს ამოექოლათ.
აღარც ფუტკრები ფრენდნენ სადმე და ყვავილებსაც,
დილით გაშლილ თამამ ყვავილებს,
წაასხიპეს ძირში თავები ქარიშხლებმა და წვიმის სვეტებმა...

გავეცალეთ, გამოვშორდით „ჩაკიდებულას“, –
ამოვლიეთ ყველა ბილიკი, –
დაბლა მდინარე ბობოქრობდა, ნაპირს ლეჭავდა,
იქვე მშვიდი კამეჩები იდგნენ მდუმარედ გარინდულნი, თავაღერილნი,
და გავიგონე, ხიდი როცა გადმოვიარეთ
გოლიათმა მამაჩემმა ჩაიბუტბუტა:
ნეტავი რას აჰყურებენ, რას ეძებენ ამ მღვრიე ცაში,
ან ასეთი საშინელი წარღვნის მერე მშვიდად როგორ იცოხნებიან...
ავიხედე,
კიდევ ერთხელ ავზვერე ზეცას –
მზერა სადამდეც გავაწვდინე, სადამდეც მეყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სადღაცა შორს, ცისკიდურში გადაიკარა) –
იქამდე ვსდიე გრძნობითა და ფიქრებით სიტყვებს
და მერე მაინც კამეჩების ნაღვლიან თვალებს
ჩავაყოლე მზერა ზეცის მღვრიე ფსკერისკენ,
სადაც ჯერ კიდევ ღრიალებდა ქრიშხლის ექო
და ელვაც ისევ შემზარავად ილაკნებოდა...

**ზამთარი**

ზამთრის ერთ დღეს
ერთ მრუმე და ზანტ ალიონზე
(ცაზე ეცხო აქა-იქა ღრუბლის ლაქები),
როცა სუსხი ჰკბენდა ყველას ავი ძაღლივით,
მეზობლის ქალის მოძახილზე გამომეღვიძა –
სუსტი მზერით, ჩია ლანდზე ძაძით მოსილმა,
ბაღის უკანა, გაღმა მხრიდან მეზობლის ქალმა,
გოლიათი მამაჩემი როცა გაიხმო
თავის ეზოში
ორი, ვეება, ცის ტალღებში მოლივლივე ხის მოსაჭრელად.

ჩემი ბავშვური წარმოდგენით,
მეგონა, რომ იმ ქალის ეზო იყო უღრანი, –
მელიები, დათვები, მგლები, ციყვები და შველის ნუკრები
ცხოვრობდნენ და ხმებიც მესმოდა,
როცა აქეთ, რუს გაღმა ყვავილებს ვკრეფდი,
ანდა ფერად, ზურმუხტისფერ ნემსიყლაპიებს
მბზინავ ფრთებზე ალტაცებულ მზერას ვაჩვევდი
(სიმღერებს ვთხზავდი იმ უღრანებზე) –
შრიალებდნენ ვეება ხის მძიმე ტოტები,
იმათი ცის თაღს
არწივი თუ ძერა, ანდა შევარდენი გადასერავდა,
ბუ კიოდა, ბანს აძლევდნენ მიკიოტები.
გამოვრბოდი შეშინებული...

ზამთრის იმ დღეს,
იმ ლოპრიან, ზანტ ალიონზე,
გოლიათმა მამაჩემმა ნაჯახით რომ ჰკვეთა უღრანი
(შემზარავი ხმები ნისლებს აქეთ მოჰქონდათ),
თბილი საბნიდან ნამომაგდო
დათვების და მგლების ყმუილმა,
გადმოიფრინეს ბუებმა და მიკიოტებმა,
პრეისტორიულ ფრინველს ჰგავდა
განრისხებული შევარდენი ვეება ფრთებით...

მწვანეთვალება დედაჩემი ღუმელს ანთებდა,
იქვე ლეკვი წკმუტუნებდა დაფეთებული,
მე კი ვიდექი ფანჯარასთან, ნისლებს ვზვერავდი,
თითქოს თვალებს მიკორტნიდნენ ყინვის სუსხები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**აღდგომა**

დაბადება – საშოს ყულფიდან თავის დაღწევა.
„წვეთი ჰაერიც საკმარისია გადასარჩენად"
– გაიფიქრებს და ტირის ყოველი.
სიკვდილი ყულფზე – ნოსტალგიური ხალხის ხვედრია
(ოიდიპოსსაც ახსენებს ვინმე – ვერ გაამტყუნებ).
ვბერდებით.
სიბერე სეისმოაქტიური ზონაა,
სახეზე რომ აჩენს ბზარებს
და გვამსგავსებს ყავარჯნებზე დაყრდნობილ ავარიულ შენობებს.
ყოველდღიურობის პრელუდია – მოტორული სიმფონია, სამანქანო საცობში.
ფეხით ჯობია...
მიწისქვეშაში მუსიკოსები ბაგირივით ჩაგაბამენ გიტარის სიმებზე
და გაცილებენ მეორე მხარეს.
დაკვირვება ჩემი მუდმივი სამსახურია.
შეთავსებითი – თამბაქოს მუმიების გადასვენება სარკოფაგიდან
(წარწერით „მოწევა კლავს")
ჩემი ფილტვების კრემატორიუმში.
ხელოვანები იჩოქებენ ბოდვების კედელთან
და ნაპრალებში ტოვებენ სურვილებს...
ხოლო, მე ვხუჭავ თვალებს, რათა იქიდან ჩემმა სიზმრებმა
და ოცნებებმა არ ამოხეთქონ
და არ დატბორონ ეს ქალაქი,
რომელშიც ვიცი, ადრე თუ გვიან აკანკალებულს
ფოთლებივით გამცვივდება ბოლო სიტყვები.
ვხედავ, როგორ იძირება ეს ქალაქი
მთელი თავისი საპროტესტო ლოზუნგებითა და
შეპირებებით უკეთესი მომავლის შესახებ.
ვერ გავიქცევი.
ჩემი აქყოფნის განაჩენი მიცვალებულივით უპირობოა.
მე აქ დავრჩები,
ქალაქში, სადაც მე ვერ ვიცეკვებ შენთან ვერასდროს
ისე, რომ ტანზე შემოგახიო პარფიუმი და სუნამოს სუნი.
ქალაქში, სადაც ვარ მარტოსული
ქვის აკლდამაში გაღვიძებული იესოსავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ამის შესახებ
(დაკარგულთა)

ზოგჯერ, მგონია, რომ ჩემში სული უკუღმა ჩადეს
და ამიტომაც, როგორც ჯიბეში კალამი მელანს,
მეც ისე ვყონავ ფურცელზე ლექსებს.
ასეთ დროს, როცა მგლები ყმუიან
და ქარხნები დუმდებიან,
ვაცნობიერებ, რომ ბავშვობა სიბერეზე შორია
და დაუწერელი ლექსები ფანტომურად მტკივდება.
ჩემი ღამე სხვანაირად ბნელია...
მინდა ყველა გზა-კვალიანად დაკარგულის სახელით
დავწერო ორიოდ სიტყვა ამის შესახებ.

თავდაპირველად შეიქმნა იმედი.
იმედი გამდიდრების, წარმატების, გამოჯანმრთელების.
რაც მთავარია, იმედი იმის, რომ არ დაგეტოვებენ.
დააკვირდით, როგორ ცარიელდება
თქვენი ცხოვრების თბილი, ჯგუფური პორტრეტი,
როგორ გეცვლებათ ღიმილი სახეზე,
როგორ იზრდება ამ პორტრეტის დაწვის სურვილი...
ჰო, იმედის მერე შეიქმნა სიმარტოვე.
ჰო, ღვთისთვის ასეთი სამყარო აღმოჩნდა სრულყოფილი
და აღარაფერი შეუქმნია.
სხვა დანარჩენი ჩვენი უიმედო სიმარტოვის ნაყოფია.
აი, გაიღვიძებ ის, ვინც ქიპლარივით მაკლიხარ,
ვითაც ვსუნთქავდი,
ვითაც ვჭამდი...
გაიღვიძებ და წამწამების დახამხამებით
ჩამოიფერთხავ თვალებიდან უცნაურ სიზმარს,
სადაც მიხილე.
გაიღვიძებ და მოღიმარი მზერით გახედავ მეუღლეს,
რომელიც მე არ აღმოვჩნდი.
მე კი ქუთუთოებს ვიჭრი,
რათა ველარასდროს დავიძინო
და ვერ ვიხილო სიზმარი, რომელსაც „ნახვამდის" ჰქვია.
ზოგჯერ ბრმა ტყვიას ხელკავს გავუყრი,
ვაცილებ, ვიცავ, რათა არავინ გაჰკრას მხარი,
შემდეგ დაყინებით ვეპატიჟები ჩემს სხეულში,
ის კი მპასუხობს, თავი საშინლად მიხურსო და გამირბის.
ვის ვესაუბრო ამის შესახებ?
მხარზე რომ თავი დამადე და ამ მხარზე ყვავილები ამომივიდა,
ვის ვესაუბრო?
რომ ამ ყვავილებს უშენო დღეებს ვუყრი სასუქად,
ვის ვესაუბრო?
ყველაფერი რომ რიგზე იყოს,
მეც რიგში ვიყო
და შენი ფეხმძიმე სხეულის გატარება მომიწიოს,
ვის ვესაუბრო?

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ყველა შესაძლო იმედი
შენი ღიმილის ნაპრალებში ტბასავით დაგუბდა,
შემდეგ ეს ტბა ფულიანმა ინვესტორმა შეიძინა
და გარშემო ჩემი ტკივილები გააშენა.
ყველა გზა, რომელიც შენსკენ მიდიოდა – წავიდა,
მე კი ვერ დავეწიე.
მხარზე ყვავილი კი არა, ბაობაბი რომ ამომივიდეს,
მაინც ვერასდროს იხილავ...
მითხარი, ნიპილ...
ამის შესახებ ვის ვესაუბრო?

## ინერცია

როგორც ხრწნად გვამში, ქალაქში მუდამ
მწერებივით წრიალებენ ადამიანები
და სირენების გაბმულ კივილზე იწყებენ ჩოჩქოლს.
მათი ჩოჩქოლი სარიტუალო ცეკვას ჩამოჰგავს.
ქაოტურ ცეკვას,
ქაოსისავე გასაღმერთებლად.
ქალაქის თავზე მზე მხოლოდ ტყვეა
ხელფეხშეკრული სადენებით და სველი ტანსაცმლით.
ქალაქის თავზე მზე, ყასაბივით, მიჩვეულია
მყრალი ხორცის და სისხლის სურნელებს.

ასეთი მზის ქვეშ
ტკივილის ყოველი წამი,
მეძუძური ძაღლის მკერდივით, გაწელილია.
ასეთი მზის ქვეშ
ბავშვებს ჩვეულზე უკეთ მოუჩანთ
შიმშილის მიერ ამოკაწრული ნეკნები ტანზე.
ასეთი მზის ქვეშ
სულერთი არის: გიმღერებს ჩიტი,
თუ მომაკვდავი ახალგაზრდების ხრიალს მოისმენ.
ასეთი მზის ქვეშ
ბედნიერების ყველა მცდელობა
მორგში მოწყობილ წვეულებას ჰგავს.
ასეთი მზის ქვეშ
ყველა სიმართლე, ბაბილონელი ორატორივით,
ვერგაგებული კვდება.

## პილატეს წყევლა

ვუცქერ.
კიდია ჯვარცმა კედელზე.
– ბოდიში, ღმერთო, რომ ლურსმანს ახლაც ვერ აგაცილე.
ვახშამი მზადაა.
მეც ხელებს ვიბან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჩვენი ეგოების ექოები

მსგავს ამინდებში,
გაყინული ოთახების ღრიჭოებიდან უსტვენს ქარი –
ეს ღარიბების ჯაზია.
ხოლო, კანკალი – ამ ჯაზზე ცეკვა.
მსგავს ამინდებში, მსგავს ამინდებზე ნერაც
რა არის, თუ არა ისევ გაქცევისა და მალვის მცდელობა.
– აზრი არა აქვს.

ჩემი ყურების მღვიმეში ისევ
ექოებივით მეორდებიან შენი სიტყვები:
„ეს ბოლო იყო, უნდა წავიდე!"
და გლოვის ნიშნად დაშვებულ დროშას
ჰგავდა შენს ზურგზე გადმოფენილი შავი, გრძელი თმა.
კვლავ გულში, როგორც მეზობლის სახლში,
შემაწუხებლად ხმაურობს ვიღაც.
ვიღაც, ვინც ყვირის:
აზრი არა აქვს!
შენ მონდომებით დაგივიწყებენ,
როგორც ბავშვობისდროინდელ სირცხვილს.
აზრი არა აქვს.

## ხეტიალი

არის თუ არა ეს გაგრძელება იმ ყველაფრისა,
რაც ჩვენ დავიწყეთ?

ჩვილის ცრემლივით, მოულოდნელად,
დავარდა წვიმა დღეს ჩემს ქუჩაზე.
შიშველი ხიდან ყვავების ჯგუფი აფრინდა თითქოს,
ბაბუაწვერას აწვალებს ბავშვი.
ამწეკრანები დირიჟორობენ ქალაქს
– ყველა შესაძლო ხმაურს უკრავენ
და წრიული მოძრაობის გზები
გამონაბოლქვის ყულფით ახრჩობენ ვილაც „მენაგვეს".
ის კი კანკალებს, რათა სიცივე ჩამოიფერთხოს
და თავისივე სიცივეს ხვეტავს.
დაჟანგებული სახურავები, მზით გარუჯული ტურისტებივით,
ცას უყურებენ – ცდილობენ მასში იპოვონ რამე,
რამე, რაც სხვაგან არ შემჩნეულა.
ქარია.
ქარში დაცურავს ქალი – თევზის კუდივით მიაქნევს კაბას.
ღამდება.
ღამეს ნერვული წიკი აქვს და ათამაშებს ნეონის შუქებს.
მეხანძრეები, გულმავიწყი მზარეულებივით,
დასტრიალებენ დამწვარ შენობებს
და ბარის ბოლო კლიენტის მსგავსად
მოიზლაზნება ტელევიზია.
სასოწარკვეთამ ჩამოდო თავი დღეს ამ ქალაქზე,
როგორც დაღლილმა ქვრივმა საყვარლის მხარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბზარი

როცა ბზარები გიგროვდებათ, როგორ იმსხვრევით?
დამსხვრევის მერე, როგორ სწავლობთ ახალი ბზარების გაჩენას?
როცა იმსხრევით მტკივნეულია?
სული მონაწილეობს?
თვალებში ნაპერწკლები ჩნდება?
ეს შესამჩნევია?
შეიძლება მეზობელმა დამინახოს?
შეიძლება ეს ქუჩაში ყველას თვალწინ დაგემართოს?
წვიმაშიც?
პირველი ბზარი საგანგაშოა?
მედიცინა უძლურია?
საიდან ჩნდება, ვინ აჩენს, გარკვეულია?
ლექციებს კითხულობენ გაჩენილ ბზარებზე?
ბზარების შეხორცება მძიმე ასატანია?
შეიძლება, ვინმემ გაბზარული გნახოს და დაგემუქროს, რომ იტყვის?
ბზარების გამო თავს იკლავენ?
ვნების წყურვილი პირველი ბზარია?
ბზარი ღრიჭოებს აჩენს?
ღრიჭოებიდან შეიძლება გვითვალთვალონ?
გიფიქრიათ, რომ შეუღწეველი კედელი ხართ
და ბზარი ვერ მოგედებათ?
ჩვენ ბზარებიდან ვიხედებით?
ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება,
რომელიმე ბზარიდან გადმოვიღვაროთ და დამსხვრევას ავარიდოთ თავი?
ხმამაღლა გისაუბრიათ საკუთარ ბზარებზე?
მომავალ გაბზარვამდე მოითმენთ?
პოეზია ბზარების მხილებაა?
ბზარებს შორის ქარი დგება, თუ წყალი, თუ სიცარიელე?
შენი ხმა გაბზარულია?
შენი ყვირილი?
შენი თავისუფლება?
თვიდან თვემდე ბზარში ცხოვრობ?
საქართველო ბზარების ქვეყანაა?
ღმერთი ბზარშია?

პოლიტიკოსები იბზარებიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ხომ შეიძლება ოდნავ გესმოდეს,
მაგრამ არა, შენ საერთოდ არ გესმის პოეზია.
სკოლაში გაგონილ ავტორებს თუ დაასახელებ,
მეტი არ შეგიძლია, მეტი ვერ გააგრძელე.

ხოლო ერთ დღეს, როცა მე სახლისკენ მეჩქარებოდა,
შემთხვევით აღმოვჩნდით ერთ ქუჩაზე.
შენ იდექი მეგობართან,
მე მეჩქარებოდა, მაგრამ ლოტის ცოლივით გავშეშდი
იქვე, ხის ძირას.
არც ქარი მაქანავებდა,
არც წვიმა ხმაურობდა,
არც მზე იკლავდა თავს.
ამოდიოდი და მერეოდი,
მერეოდი და ამოდიოდი მარადიული აისივით.

რა აქვს საერთო ამ ყველაფერს პოეზიასთან?
ყველაფერი ხომ ასე დაიწყო – ერთი შეხედვით.
რამდენ ლექსში ხარ ამოსული, მე ვიცი მხოლოდ.
ვერ მოგაშორე გაზაფხული,
გვირილები ვერ მოგაშორე.

შენთან სხვა ხსნაა,
სხვა სანიერი, სულ სხვა სიზმარი...

ხომ შეიძლება ოდნავ გესმოდეს,
მაგრამ არა, შენ საერთოდ არ გესმის პოეზია!

## სხვა სიშორე

იყო ღრუბლები,
ქარიც იყო,
წვიმაც მოვიდა,
თოვლიც კი ენთო,
სხვა მხარეს და სხვა სიშორიდან.
მე იქ ვიდექი,
სადაც ბოლოს ჩვენი ჩრდილები
მზემ ამხილა და იდგნენ მორჩილად.
შენ აღარ ჩანხარ...
იყო ღრუბლები,
ქარიც იყო,
წვიმაც მოვიდა.

## ჩრდილის სიკვდილი

მოჭრილ ხეს
პეპლებმა გადაუფრინეს.

## გაზაფხული

დროა ხეებო აიფოთლოთ,
მოყვეთ სიზმრები,
რაც კი გადაგხდათ გაზაფხულამდე.

* * *

ის ყვავილები, ცაში რომ ჩარგე
ანგელოზებს მოისხამს,
მალე შემოდგომაც დადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროზა

ლუკა ბოხუა

ცოდნის მიღებით, სიბრძნესთან ერთად, უჭკუობაც გვემატება, რადგან ცოდნა თავის თავში მოიცავს საშინელ საფრთხეებსაც. მე გადავწყვიტე ცოდნით შეძენილი უჭკუობის სინთეზური გამოყენება, თანამედროვე მხატვრების მუზეუმიდან რომ გამოვედი. დრო მაინტერესებდა და სანთებელას დავხედე, როცა მივხვდი, რომ სანთებელა დროის საზომი არ იყო, სიგარეტს მოვუკიდე, რომელსაც ალბათ ჰგონია, რომ პროგრესული იდეებისთვის იწვის და იფერფლება, მე კი მისი აპოლოგიის გამო ხველა ამიტყდა. პარადოქსია, იქვე მათხოვარმა ხურდების ნაცვლად დროის გაგება მთხოვა და მეც დარწმუნებით ვუპასუხე, სამია-მეთქი. ამ მათხოვარს ვიცნობ, სულ ქუჩის ამ მონაკვეთზე დაბორიალობს. ერთხელ ასეთ ამბავს შევესწარი: პალტოში გამოწყობილი ვიღაც ორი ტიპი მანქანასთან ფასთფუდის საჭმელს მიირთმევდა. ეტყობოდა, დიდად არ ეჩქარებოდათ, თუმცა აშკარად საქმიანი ხალხი ჩანდა. მათხოვარი მანქანასთან მივიდა, მათ წინ დაიჩოქა და „მერსედესის" ლოგოს ემთხვია, თან ლოცვასავით რაღაცას ბუტბუტებდა, აქებდა და ადიდებდა პალტოიანებს, მერე მანქანის ნომრებს შეხედა და თქვა, ორი სამიანი, ოცდაცამეტი ბედნიერი რიცხვია, ყველა სურვილი უპრობლემოდ აგიხდებათო. ელიმებოდათ პალტოიანებს, მერე ერთმა მათგანმა, ალბათ ავტომობილის პატრონმა, საფულე გახსნა და ტკიცინა კუპიურა აჩუქა პროფესორ მათხოვარს.

ფეხით გავყევი გზას სახლისკენ. მუზეუმში არც ერთი ნახატი არ მომწონებია, მაგრამ გაეიცანი უილიამ გენდი. ამ ტიპზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი და გულში საკრალურ მნიშვნელობასაც ვანიჭებდი, ოღონდ არა იმ ამბების გამო, რასაც მასზე ყვებოდნენ, უფრო იმიტომ, რომ ის არავინ იყო, ნამდვილი არავინ! დავინახე თუ არა, მუზეუმის აურის, ეფექტური განათების თუ იმ ქერათმიანი, საყვარელი გოგონას გამო, რომელიც მიწეპებული ჰყავდა, უცნაური ილუზია შემექმნა: უილიამის პროფილს ვხედავდი პირში გაჩრილი მოუკიდებელი სიგარეტით, ყურები და თვალები თავთავის ადგილას, მზერა კედლისკენ მიპყრობილი, თუმცა ცხვირს უკან, კეფის მხარეს ალეიქვამდი. საკრალურობამ იმატა, შეუმჩნევლად ვცდილობდი მიახლოებას, ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას ვჩერდებოდით, ოღონდ ნახევარწუთიანი ინტერვალებით. მანამ ვსდიე ასე, ვიდრე სხეულზე მიწეპებულ ლამაზ გოგონასთან ერთად მუზეუმიდან გავიდოდა. ცოტათი გული დამწყდა, თან შვებით ამოვისუნთქე. ტილომ, რომლის წინაც აღმოვჩნდი, მისი გასვლისთანავე ფორმები და ფერები შეიძინა. აქ ეკლესიის ეზოში ორი ადამიანის ჩხუბი იყო გამოსახული.

– აღდგომას ულოცავს იმ მაღალ ტიპს, ისიც ალბათ პასუხობს ჭეშმარიტად! – უილიამი ამავე ნახატს უყურებდა. ვერ ვხვდები, ასე აწრაფად როგორ დაბრუნდა. დავიძაბე. არაფერი მიპასუხია, თან დარწმუნებულიც არ ვიყავი, რომ მე მომმართავდა, – სულით და გულით ულოცავენ, ეხუტებიან და კოცნიან ერთმანეთს, აღარ ამთავრებენ. ესეთი მილოცვა არსად გექნება ნანახი, გაუთავებელი, თუმცა აღფრთოვანებული. „ქრისტე აღსდგა!", „რა? ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა!", „შენი... ქრისტე აღსდგა ბიჭო!", ეს გინებასაც ჰგავს. მერე ხედავ? ამ მაღალი ტიპის კისერს სტუმრობს დანა და მასპინძელი ხარისხიან ღვინოს ატანს სტუმარს. მოგწონს ნახატი? ჩემი მეგობრისაა, მკვლელობა აქვს აღწერილი?

მომწონს-მეთქი, ვუპასუხე. უილიამი საუბრის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ უეცრად ვიღაც პიჯაკში გამოწკეპილმა, რომელიც ძალიან დაბნეული და აღელვებული ჩანდა, მას შემთხვევით მხარი გაჰკრა და სიტყვა გააწყვეტინა.

– მეგობარო, ფრთხილად, თითქმის გადამიარე, – უილიამმა ღიმილით მიმართა.

– თითქმის არ ითვლება! – აშკარად თავხედური და აგრესიული იყო პიჯაკიანის პასუხი.

– ჰო, კარგი, კარგი, შენი დედა მოვტყ...

– რა? რა თქვი? დედას მაგინებ?

– თითქმის შეგაგინე, მაგრამ თითქმის ხო არ ითვლება?!

აურზაურს ველოდი, მაგრამ პიჯაკიანმა რაღაც ჩაიბუტბუტა და სწრაფად გაგვეცალა. უილიამი, ვითომც აქ არაფერიიო, ისევ ნახატს მიუბრუნდა და განაგრძო: „ხო არი რა და საერთოდ რისთვის იქმნება შედევრები? ეს ვითომდა მარადიული, უკვდავი ცივილიზაცია, მეცნიერება, ხელოვნება რეალურად მხოლოდ 70 წელს ცოცხლობს, რადგან ერთ ადამიანს ემსახურება, თუნდაც გაშლილს რვა მილიარდში. მერე თაობა კვდება და ჩნდება ახალი კონკრეტული ადამიანი, ისიც გაშლილი მილიარდებში, რომელიც კვლავ ეზიარება ამ უკვდავებას. იგივე მოხდება ათასწლეულების შემდეგ, მაგრამ რეალურად მთელი ეს მონსტრი პერიოდი არ არის 70 წელსა და 2 მილიმეტრზე გრძელი. სწორედ ამდენ ხანს ცოცხლობენ შედევრები, თუმცა ეს შედევრიც არაა. რა დიადი აზრი აქვს ცხოვრებას, არა?... გამარჯობა მე უილიამი ვარ!"

ასეთი არაორდინარული იყო ჩემი და უილიამის გაცნობა. მისი თეორიების გაანალიზება არ დამიწყია, მალევე ჩემს ახალ მიგნებას მივუბრუნდი, როგორ მექცია ცოდნით შეძენილი უჭკუობა პოზიტივად და წამით გონებაში გამიელვა, რომ შესაძლო იყო ამ საქმეში უილიამიც გამომდგომოდა.

ამასობაში სახლსაც მივუახლოვდი. ერთი სული მქონდა, წინა ღამის უძინარი ტახტამდე როდის მივაღწევდი. ჩემი გათვლით 95 წამში კიბეები უნდა ამევლო და 420 წამში ლოგინში აღმოვჩენილიყავი, თუმცა გრაფიკი დამირღვია არკაში მდგარმა სამმა ნაცნობმა და ერთმა შეშინებულმა უცნობმა.

– ამას შეხედე, ვინ მოდის! – წამოიძახა საშუალო ტანის თავზე ქუდჩამოფხატულმა და გადამეხვია, – სად დაიკარგე, როგორ ხარ, რამდენი ხანია არ მინახიხარ, – მერე მეგობარს მიუბრუნდა და შეშინებულ ტიპზე ანიშნა, – ეს არ გაუშვა, ეხლავე მიეხედავ!

ის ორიც ჩვენკენ დაიძრა. ერთმანეთის მოკითხვაში ტყუილად იკარგებოდა ძვირფასი დრო. შეშინებულმა უცნობმა მობილური ტელეფონით საუბრის ფონზე გადადგა რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი, მერე ერთბაშად ადგილს მოსწყდა და თავს უშველა.

– მიდი გაეკიდე! – შეუძახა ქუდიანმა მეგობარს.

არ ვიცი, რას უპირებდნენ, ალბათ გაძარცვას.

– კარგი რა, გავუშვათ! – უპასუხა აშკარად მეტამორფოზირებულმა. არადა გაპარულის შეჩერება თუ არა, პოვნა სულ იოლად შეიძლებოდა, ასე უცებ სად გაიქცეოდა და დაიმალებოდა. ალბათ იმავე სიტუაციაში ჩემი გამოჩენა მსხვერპლის გადარჩენას ნიშნავდა, მაგრამ მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა... ქუდიანს თავადვე შეეძლო გაპარულისთვის მიებაძა, მობილური ტელეფონის მანიპულირებით გამშორებოდა და დადევნებოდა, მაგრამ ჩანს ვერ გაბედა და მეგობრის რჩევას დაეთანხმდა.

– რას ჩალიჩობ, მუშაობ? – ყალბი ღიმილით მკითხა.

ოდესღაც თავგამოდებით ვცდილობდი დაჩაგრულების დაცვას. ეს ქუდიანსაც უგემია საკუთარ თავზე, მაგრამ ახლა იმ ბიჭის ბედი ერთ გაბოლებაზე ნაკლებ მაინტერესებდა. წესით იქაც უნდა გამოხატულიყო ჩემი განწყობების ცვლილება, მაგრამ აქ გადაწყვეტილების მიმღები ჩვენ კი არა, ფაქტობრივად ალარარსებული პარალელური მეები გახლდათ! ადამიანს ისე უნდა დაეხმარო, როგორც შეგიძლია და რის საშუალებასაც თავად გაძლევს, მაგრამ შენ სიცოცხლე რომ შესწირო, მჩაგვრელმა კი მერე თუნდაც ასანთის კოლოფი აჩუქოს, მაინც უფრო მისი მადლიერი დარჩება. მივხვდი, ჩემს მიერ გაცემული სიკეთეების ღირსი არც მე ვიყავი და არც ის უსულგულო ხალხი, რომლებსაც ვეხმარებოდი!

ცოტა ხანს დიალოგი გავწელე, რათა გაქცეულისთვის დრო მიმეცა, სამშვიდობოზე გასულიყო და მერე დავემშვიდობე ბიჭებს.

სადარბაზო ატავიზმია, აჯობებდა კორპუსების ნაცვლად ჩვენი ენით წარმოთქმულ უხილავ სასახლეებში გვეცხოვრა, მაშინ ხომ ამცდებოდა შეხვედრა მეზობელ გოგონასთან, რომელიც წინა კვირას დანიშნეს. სწრაფად და ბანალურად მივულოცე გაბედნიერება. პირდაპირ სახეში ვუყურებდი და გამიკვირდა: ადრეც ხომ მილიონჯერ შევხვედრილვართ ერთმანეთს, მაგრამ არასდროს შემიმჩნევია მისი სილამაზე. გულიც კი დამწყდა, რომ თხოვდებოდა. ამ გაუთვალისწინებელმა გარემოებამ დამატებით კიდევ ასიოდე წამით დამაშორა სანუკვარ ლოგინს.

. . .

დილით დედაჩემმა გამომძახა, რა უკუღმართი ხარ, ექვსი საათია უკვე, მე კი ვიცი შენ რაც გჭირდებაო – სამსახურს გულისხმობდა. მძინავს-მეთქი, ვუპასუხე.

საერთოდ დღე და ღამე არეული მაქვს. ხან ვკითხულობ, ხან ვწერ, ხან ფილმებს ან გასართობ პროგრამებს ვუყურებ. იმ წუთას ლეპტოპში სტატიას ვკითხულობდი, უნარისა და ნიჭის მონეტიზირების, ანუ ფულად გარდაქმნის შესახებ. უამრავჯერ შემხვდა სიტყვა „წარმატება", კიდევ მსგავსი ფრაზები: „თავდაჯერებულები არ იბადებიან", „თქვენ ყველაფერს შეძლებთ", „კარგად შეისწავლეთ და დაიწყეთ...", „მოვიდა დრო". ამ თვეში ოთხ ადგილას ვიყავი გასაუბრებაზე. აქედან სამგან მიზანმიმართულად ისე მოვიქეცი, რომ დანამდვილებით ვიცოდი, არ ამიყვანდნენ. მეოთხედან, რა თქმა უნდა, ბანკიდან, რომ გამოვედი, ლამის სანთელი დავანთე – დადებითი პასუხით არ დამირეკონ-მეთქი!

შრომის ბაზარი თანამედროვე ეკლესიაა, ხოლო ის ტიპი, ოჯახის ნაცნობი, ვისაც დამსაქმებელთან ხმა მიუწვდება – წმინდანი. რელიგიურმა მოწიწებამ სამსახურის მიმართ, რაღაც

მონაჭორი ამბები მისტიკურ იგავებად აქცია ჩვენს ქალაქში, ასე მაგალითად: შავგვრემანი ბიჭი მოკვდა მეცადინეობის შემდეგ, პლასტელინით თამაშის დროს. ექიმმა მოსვლისთანავე თავი გადააქნია და თქვა: „სამწუხაროდ ბიჭი..." მას სიტყვა შეაწყვეტინა ბავშვის მამამ, დაიჩოქა, ხელები დაუკოცნა, ბღაოდა და თან უაზროდ ბოდიშს უხდიდა: „მაპატიე, მაპატიე, არ მომიკლა, გევედრები გადამირჩინე შვილი!..."

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ... ჰ.

თხუთმეტ წუთში მთელი სამეზობლო და სანათესაო იქ იყო. ბიჭის მამამ დახედა მაჯის საათს და სახლიდან უსიტყვოდ გავარდა. იმ დღეს ის სამსახურში მორიგე გახლდათ.

მონეტიზირების შესახებ სტატიის წაკითხვამდე ასე ვმუშაობდი: ტვინში ვუშვებდი მსგავს რეკლამებს: „მობრძანდით ჩვენს ენდოკრინოლოგიურ ცენტრში! პროფესიონალი გუნდის წყალობით, დიეტის შედეგი ხშირად არამარტო წონაში კლება, არამედ ორიგინალური იდეაა!"

საკუთარ გონებაში გაშვებული რეკლამის შემოსავალი კი მოწევის დროს ფილტვებში მერიცხებოდა. დაახლოებით ასევე იქცევიან სხვა, ჩემსავით უფულო ნაბიჭვრებიც: ზოგი ნახატების გამოფენას აწყობს ტვინში, ზოგი მუსიკით იპყრობს მსოფლიოს, ზოგი რულეტკას უგებს ხარისხებს, ზოგიც ბანკს აყაჩაღებს...

კიდევ ერთხელ გადავიკითხე სტატია და მივხვდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა!

მეძინებოდა, თან ჩაის დამთავრებაც მინდოდა. რატომღაც ისევ ის პროფესორი მათხოვარი გამახსენდა, „მერსედესის" ლოგოს რომ ეამბორა. ერთხელ ასეთი დიალოგი გვქონდა:

– უკაცრავად, ეს მონეტები მგონი თქვენია, აგერ აქვე ეყარა... – სინამდვილეში ხურდები ჩემი იყო, მაგრამ ძველი ცოდვის გამოსყიდვას ვცდილობდი: ერთხელ მათხოვარს იმიტომ არ დავეხმარე, რომ ზუსტად არ მახსოვდა, ფული რომელ ჯიბეში მედო და მოძებნა დამეზარა.

– ბაბუაჩემს მაგონებ! – ძალიან თამამად მომიგო თავისი სტატუსის კვალობაზე. ნათქვამი სასაცილოდაც ჟღერდა. უპრიანი იქნებოდა, „შვილიშვილს მაგონებო", მაგრამ როგორც მერე შევიტყვე, თურმე, შვილიშვილი არ ჰყავდა.

– მე მაინტერესებს ხურდა ფული ხომ ნამდვილად... – სიტყვა არ დამამთავრებინა, მონეტები ხელიდან გამომგლიჯა. აი, მებრძოლი ვინ არის!

– ერთხელ ბაბუაჩემმა ასეთი რამ მიამბო: უსამართლო, დესპოტი მეფის წინააღმდეგ აჯანყება იგეგმებოდა. შეთქმულები თურმე ერთ პატარა სოფელში აპირებდნენ შეკრებას, ამან მეფის ყურამდეც მიაღწია და მათი განადგურება ბრძანა... სიგარეტი გაქვს?

მივაწოდე.

– ისე, დღეში ოცდახუთ ღერზე მეტი არ უნდა მოწიო, თორემ სუიციდისკენ წაგიბიძგებს. შეთქმულების ზუსტი ადგილსამყოფელი რომ გაეგოთ, მეფის ჯარს იმ სოფლის მაცხოვრებელი კაცი აუყვანია, მაგრამ სიტყვა ვერ წამოაცდენინეს და ნამებით მოკლეს. ამბოხებულები გადარჩნენ და შემდეგ ტირანი მეფის დამხობაც შეძლეს. გაპარტახებული ქვეყანა გაძლიერდა, ხალხმა შვებით ამოისუნთქა... საინტერესო იცი რა არის? იმას, თურმე, შიშისგან ენა მუცელში ჩაუვარდა, დამუნჯდა და მაგიტომაც ვერაფერი თქვა... წარმოიდგინე, კაცს იმდენად შეეშინდა, რომ უშიშარ გმირად შერაცხა შთამომავლობამ! ნამდვილი გმირები კიდე ხშირად უსახელოდ კვდებიან... მართლა ძაან გავხარ ბაბუაჩემს, ისიც მჩუქნიდა ხოლმე ხურდებს.

არ ვიცი, ეს შეხვედრა რამ გამახსენა, მაგრამ ძალიან მწყდება გული, რომ ის მათხოვარია. მას შეეძლო წარმატებისთვის მიეღწია, შეეძლო გამხდარიყო ტოპ-მენეჯერი, პრეზიდენტი ან როკ-ვარსკვლავი, მაგრამ ასე მგონია, ყველაფერზე ნებით თქვა უარი, აქ რაღაც იმალება, რაც ასე გვაღელვებს და გვიზიდავს... საინტერესო ხმა, რომელიც გვიხმობს და გაურკვეველ ცნებებს მტკივნეულად უპირისპირებს ერთმანეთს.

რადგან თვრამეტი წლის გოგონა ხტება ფანჯრიდან, იმიტომ რომ მთვრალ ოთახს ერევა გული, რადგან აუტანელია მარჯვენა ტერფის და მარცხენა საფეთქლის ტკივილი, რადგან უსასრულო ძალაუფლებით აღჭურვილ ღმერთს უპირისპირდება ღმერთი ძალაუფლების გარეშე, რადგან „ტვინს კოლბაში" არ სჭირდება სხეული, რადგან ჩემი მეგობარი მკვლელობის ჩადენისგან თავის ასარიდებელ ლოცვებს ყოველ ღამე კითხულობს, რადგან გაბრაზებული ბავშვის რეჩიტატივი ატკაცუნებს ცეცხლს გეტოში, რადგან სახლებს აჩერებენ ძვირადღირებული მანქანების წინ, ეს ხმა მაცდურად ჩამჩურჩულებს: მკაცრი უარი წარმატებას, მკაცრი უარი ინსტიტუტებს, მკაცრი უარი იდეოლოგიებს, რელიგიებს, სახელმწიფოს!

საინტერესოა, სამაგიეროდ რა ალტერნატივას გვთავაზობს – კოსმიურ თავისუფლებას? თვითგანადგურებას მშვენიერებისთვის? წარმატების უარყოფა უნიჭოების, დაწუნებულების, არაქარიზმატულების და მიტოვებულთა თანადგომისთვის? განა წარმატების შემთხვევაში უფრო მარტივი არაა სიკეთეების კეთება? მაგრამ ნამახული ხმა ხომ სიკეთისა და ბოროტების მიღმაა. იქნებ უბრალოდ წარმატებაზე გადარევას და დაგეშილობას მიიჩნევს საცოდაობად და მიგვანიშნებს, რომ უმჯობესია მსოფლიოს ნაბილწვით და შეფურთხებით დავტკბეთ? ან, შესაძლოა, ახალი წესრიგის დამყარებაც სურს. მაგრამ სად არის თავად, რატომ იმალება, მხოლოდ არაცნობიერში რომ ჩნდება მშვენიერების ფრაკით მორთული და საზარელი ჩურჩულით რეალურ ცხოვრებას გვინგრევს. იქნებ ალეგორიაა, რომელიც ჭეშმარიტების შეცნობაში გვეხმარება და მხოლოდ ჩვენშია პრობლემა, რადგან მას არასწორად ვიაზრებთ? იქნებ უბრალოდ დაგებული მახეა, რომელიც მხოლოდ სუსტი და მოტყუებული ხალხით იკვებება?!

პროფესორი მათხოვრის გამო ეს ბუნდოვანი იდეა ჩემში ასევე დაულაგებლად შემოიჭრა,

ბოლომდე მისი არსიც ვერ გავიაზრე, თანაც მე ხომ ის ბიჭი ვარ, ვისაც უნდა, რომ წარმატება მიაღწიოს! ამ აბდაუბდამ ხასიათი გამიფუჭა, თუმცა იმას კი მივხვდი, რომ ჩემს ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებების დრო დადგა.

მეორე ჭიქა ჩაიც დავისხი. მალე ჩემებიც გაიღვიძებდნენ, ფხიზელი ვერ დავხვდებოდი, მიხვდებოდნენ, რომ ღამე გავათენე. ცოტა დრო კიდევ მქონდა, სიგარეტი აღარ:

„კოჭლობით შევდივარ მაღაზიაში. ჯიბეში ზუსტად ის მონეტები მიყრია, შენ რომ მომეცი. ხორცის ყიდვა მინდა და მაცივარში ვიჭყიტები, მაგრამ იქ მხოლოდ საკუთარ სხეულს ვხედავ. ჰიპერმარკეტი, სადაც შენი ხორცით ვაჭრობენ. მერე მოდის კონსულტანტი და სეილის შესახებ ინფორმაციას მაწვდის. შეიძინეთ თქვენი თავი 579-ის ნაცვლად 399-ად. არნახული ფასდაკლებაა! მე სწრაფად ტკბილეულობის განყოფილებაში გავდივარ, მაგრამ შოკოლადზეც არ მყოფნის ფული." – ამ ანეკდოტის შემოსავალი, რომელიც ფხიზელს მესიზმრა, ფილტვებში ვერ დამერიცხებოდა, რადგან სიგარეტიც არ მქონდა. მესამედ გადავიკითხე სტატია ნიჭის მონეტიზირების თაობაზე.

ერთადერთი, რაც გამაჩნია, ჩემი მწერლობა, უფრო სწორად, ნაწერებია, რომელიც სტაფილოსფერ ყუთშია ჩაკეტილი. ძალიან ცუდად ვიყავი, გამომათაყვანა, დამანგრია წამახულმა ხმამ. ზოგჯერ, ჩემს თავს შორიდან რომ ვუყურებ, ვფიქრობ, ეს უძილო, საშიში ღამეები იმიტომ ხომ არ მევლინება, რომ გენიალური ნაწარმოები შევქმნა? იქნებ ასეთი ტანჯვის ფასად იწერება ჩემი დიდებული ბიოგრაფია კანონზომიერების ლამაზი კალიგრაფიით, მაგრამ ვეჭვობ, რომ არა, ან კი ღირს საერთოდ ამაზე ფიქრი? სტატიის მიხედვით სწორედ ეს, ჩემი გამოგონილი მწერლობა უნდა მექცია ფულად. მე ეს ნაწერები მიყვარს ყველაზე მეტად. ავდექი, ყუთი გადმოვიღე, გადავამოწმე, ხომ არ დაიკარგა-მეთქი. ელექტრონული ვერსია მხოლოდ ერთი ფრაგმენტის მაქვს, ამიტომ გამიჩნდა ნაწერების დაკარგვის წამიერი შიში.

რაღაც იმალება!

ორნი სასტუმროს ოთახში და გარეთ მთელი ცივილიზაცია. ის ყოველწამს მეპრანჭება უხამსი აზრებით შეფერადებული ტუჩებითა და ლამაზი ტან-ფეხით. მან არც კი იცის, რომ მისი სხეულის ეს განუმეორებელი, საოცრად მიმზიდველი ფორმები მისივე ქვეყნის დამსახურებაა. მის სამშობლოში მის წინაპარს რომ არ დაეწერა ის, რაც დაწერა, არ შეექმნათ მრავალფეროვანი ფოლკლორი, არ აეგოთ ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები, მაშინ არც მისი მკერდი იქნებოდა ასეთი სათუთი. ეს მგონი მანაც იცოდა, რადგან მითხრა, მუსიკის გარეშე სექსიც კი არასასიამოვნოაო...

ეროვნული

რაღაც იმალება!

მაშ ასე, მხატვრული ლიტერატურის მონეტიზირება! ვგრძნობდი, რომ სულ მალე ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლებოდა. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დაახლოებით თორმეტ წუთსა და ოცდაათ გრამში უკვე მეძინა. ზერელე ძილსა და ნახევრად სიზმარ-ცხადშიც გაგრძელდა მკაცრი თეორიის განსჯა:

გავკარი ახალგაზრდებს, მხოლოდ კარიერაზე და უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე რომ ფიქრობენ, გავკარი თანამედროვე მხატვრების მუზეუმს, სელებრითობას მონყურებულებს, რომლებიც იმას ლაპარაკობენ და აკეთებენ, რისი თავადაც არ სჯერათ. პალტოებიან ბიზნესმენებს, რომლებიც ყოველ წამს ფულზე ფიქრობენ და იყვარებენ კიდეც იმ ნაგავ პროდუქტს, რასაც გვტენიან, განცდა რომ ჰქონდეთ, საზოგადოებრივ, კაი საქმეს ვაკეთებთო და თვითკმაყოფილები იყვნენ. გავკარი ცივსისხლიან, თავზეხელაღებულ ქუდიან თუ უქუდო ნაცნობ-უცნობებს, სიკეთის კეთების კომპლექსი რომ აქვთ და მუდამ სუსტებსა და უმწეოებს ჩაგრავენ. გავკარი გაპარულსაც, რა აზრი აქვს მის საცოდავ ცხოვრებას. ლაჩარ მეოცნებეებს, რომლებსაც იმისიც კი ეშინიათ, ეს ოცნება რომ მართლა აუხდეთ. ვითომ და პატიოსან, პრაქტიკულ ადამიანებს, ყველგან რომ ახერხებენ შეძრომას. ამპარტავან, თავდაჯერებულ, ვითომდა თავისუფალ ნაბიჭვრებს... მე ამ სოციუმს მეტი თავდაუჯერებლობისაკენ მოვუწოდებ. გავკარი გამარჯვებასაც, თუ ის მხოლოდ ულირსთა ხვედრია! რა წარმატება, რა მონეტიზირება – რა ხდება ჩემს აფორიაქებულ სულსა და ტვინში? ტკივილები გრავიტაციული, ცრემლები პროფესორ მათხოვრიანი, რომელმაც აქეთ ჩაუგდო ჭიქაში ხურდა სხვას და გავარდა. მერე გაშეშება: თხუთმეტი წამის დაგვიანებით გადახდილი მადლობა, რომელიც მას უკვე აღარ ესმის. გაურკვეველი ცრემლები, ნამდვილი სიკეთე: პატარა ბიჭი უფროსმა დაჩაგრა. მოვიდა მესამე, მჩაგვრელს შეუტია. პატარა ბიჭის თვალებში კი შურისძიებით მიღებული სიხარულის ნაცვლად მიტევების ცრემლი ბრწყინავს. მარტივი ამაღლება გარემოებაზე: ებრალება უფროსი ბიჭი, რომელიც ახლა, ალბათ, თავად გრძნობს თავს დაჩაგრულად. მხოლოდ თვალების მოძრაობა. ინტუიციის სამინისტრო, ძვლიანი საზამთრო... მკაცრი უარი წარმატებას, ის ჩვენ თავისუფლებას გვართმევს.

. . .

მეორე დღე კვირაა. სამის წუთებზე ვდგები. დედაჩემი თავისივე ინიციატივით მიდუღებს ყავას. მაღაზიაში ჩავდივარ სიგარეტზე. იმ პატარა გზაზე პოლიცია მაინც ასწრებს ჩემს გაჩხრეკას. გაზეთი არ პალინდრომდება – ითქმება, ამიტომაც აღარავინ კითხულობს, სამაგიეროდ პოლიცია იქცა პალინდრომად – „აიცილო პოლიცია". ამის გამო სამი წუთით გვიან ვბრუნდები სახლში, თავისუფლად შეიძლებოდა სამი წლით ან მეტით დამეგვიანა. აივანზე სიგარეტს ვეწევი. დედაჩემს რამდენიმე სიტყვას ვუცვლი, ტელევიზორს ვრთავ და ზუსტად ამ დროს რეკავს მობილური.

– ალო, სემ, შენა ხარ? ჯეისონთან? კარგი, ჩავიცვამ და მოვალ, – რა დამემართა? რა „ჩავიცვამ და მოვალ", ისედაც ხომ მეცვა, თუმცა თეორიულად შეიძლებოდა არც მცმოდა. ერთ წუთში, ალბათ, ორასამდე დავითვალე, რითიც მისტიკური ჩაცმის პროცე-

სი გამოვხატე. არადა უნდა გამხარებოდა ზარი, ერთი სული მქონდა, სახლიდან როდის გავვარდებოდი... ისტორიული მეტამორფოზა, დედამიწა თავისთავად, უდანაშაულობის პრეზუმფცია. ნეტარ არიან სულელნი, რამეთუ მათ აჯობეს სიბრძნეს! შიშის და უნდობლობის მიგრაცია ვიგრძენი მთელ სხეულში. ჯერ კიდევ აულაგებელ საწოლში შებრუნება მომინდა. ტანსაცმლის დიზაინერები მადლიერნი უნდა იყვნენ მეფისტოფელის პაპიდის, გველის... ისევ აივანზე გავედი მოსაწევად: რასაკვირველია, დროს ვწელავდი. ჟილეტი, ჟილეტი, ჟილეტი და უცებ ყველაფერს მივხვდი:

მგონი გაიგო, არადა მხოლოდ წამით გავიფიქრე. შესაძლოა კი არ ვფიქრობდი – ვჩურჩულებდი. ან რა ეწყინა ასე ძალიან, ამის გამო უნდა ვიჩხუბოთ? არ უნდა მეთქვა, რომ უგემოვნოდ ეცვა, თან როგორი დენდია. მისი შეყვარებულიც იქ იყო, ეწყინებოდა, აბა რა იქნებოდა. დენდი? ღმერთო ჩემო, როდის იყო მსგავსი სიტყვებით ვფიქრობდი – მათი ადგილი მხოლოდ ლექსიკონებში და დიალოგებშია, თანაც იშვიათად.

უკვე ეზოდან გამავალ არკაში ვიყავი...

ისე მართლაც საშინელი ჟილეტი ეცვა სემის, მაგრამ მაინც არ უნდა მეთქვა, თან მისი საცოლის გასაგონად. სემი ბანდიტია, დაუნდობელი და გამჭრიახი, მაგრამ ბავშვივით მგრძნობიარე. გაგიჟებით ვუყვარვარ, ამიტომ ჩემგან უმნიშვნელო რამეც წყინს. ხშირად უთქვამს, რომ მე საშინლად ბოროტი ვარ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა სულ ესეთი წმინდა უნდა დარჩეს. მე და შენ ხომ სულ სხვა სულიერი კავშირი გვაქვსო. ბევრჯერ მოუხდია ბოდიში ისეთი მცირე დეტალის გამო, რისთვისაც მე ყურადღებაც არ მიმიქცევია. ასეთია სემი.

ინსტინქტურად უკან, სახლისკენ გავბრუნდი. სადარბაზო ატავიზმია. ძალიან ნელა, ლიფტიც ფეხით ჩამოდიოდა ტკივილებთან ერთად. ავაღწიე. კარი დედაჩემმა გამიღო, მობილური დამრჩა-მეთქი, ვიცრუე. სწრაფად გამოვალე კარადა და ყველაზე ცუდი ტანსაცმელი ავიწეპე ტანზე. გამოცვლა გდომებიაო, მიმიხვდა. ჯეისონიც იქ იქნებოდა, მას არ უნდა დაეშვა ჩვენი ჩხუბი. ჯეისონი სემის შესაძლო განვითარებაა, სემი – ჯეისონის. სემი იგივე ჯეისონია, ჯეისონი – სემი, მე კი ორივე ვარ!

ტაქსიდან გადმოვედი, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ უჩხუბრად ვერ გადავრჩებოდი. ისიც გამახსენდა, ერთხელ „გინებობანას" თამაშის დროს რომ მითხრა, მორალური ადამიანი აუცილებლად მკვლელი უნდა იყოსო.

დინჯად, აუჩქარებლად, ფეხით ჩამოდიოდა ლიფტი, მეგობრობის შეუძლებლობასთან ერთად.

სარკეში გულდასმით გადავამოწმე საკუთარი თავი. მესიამოვნა: შერჩეული ტანსაცმელი ზუსტად გამოხატავდა აღსარებას უტაქტო ჩურჩულისთვის. არ მინდოდა სემი ნაწყენი დარჩენილიყო, მეც ძალიან მიყვარს ის, მაგრამ არაფრის დათმობას არ ვაპირებდი. მივაჭირე მესამეს.

კარი ღია დამხვდა. ტელევიზორთან ჩასაფრებული ვინსენტი ყოველკვირეულ ლოტოს გათამაშებას ელოდებოდა. ელეგანტური ჯეისონი და სემი დაბალ მაგიდასთან ღვინოს წრუპავდნენ. უცებ გონებაში გამიელვა, რომ სწორედ გარეგნობა განსაზღვრავდა ადამიანის ბედს, პროფესიას, ჰობს, მსოფლმხედველობას, ამიტომაც ვერ გავბედე სემისთვის სახეში შემეხედა, არ მინდოდა მის თვალებში მოძალადე ან მკვლელი დამენახა. ადრე, ბავშვობაში, როცა მან ჩვენი ერთი თანატოლი უბრალოდ გაანადგურა, შინ მისული კედელს ძლიერად ვურტყამდი თავს, იმიტომ რომ იმ დროს მეც სემი ვიყავი.

ჯეისონს შევხედე. დამშვიდებული ჩანდა: თმა დავარცხნილი, ყურები პრაგმატული, ცხვირი იგავური, წარბები ტაქტიანი. მისი პირი ნელა მოძრაობდა, მაგრამ სიტყვები თითქოს უფრო ადრე მისწვდა ჩემს ყურთასმენას.

– როგორ ხარ, სად ხარ საერთოდ?

– თქვენ როგორ ხართ?

– არა გვიშავს, ნაბახუსევზე, – სწრაფად მომიგო ჯეისონმა.

– სვეგერინსტრიტზე ვიყავით გუშინ, – განმარტა სემმა, – დავლიეთ. სხვათა შორის, იმ ტიპზეც ბევრი ვილაპარაკეთ, რა ქვია? ჰო, შენ არ იცნობ... მისი ბიძაშვილი თუ ვიღაც ბავშვობის ძმაკაციც იქ იყო თურმე და შეეძლო გაეგონა. კარგს არაფერს ვამბობდი!

– გაეგო მერე! – თავდაჯერებულად გამოსძახა ვინსენტმა და მე ხელის აწევით მომესალმა.

– შენ ლოტოს მიხედე მანდ, რამდენი ბილეთი გაქ?

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ.... პ!

შვებით ამოვისუნთქე, ჩხუბს გადავურჩი. ანკი საერთოდ რატომ, რისი გულისთვის? ოთახში ჩვეულებრივი მშვიდი, ძმაკაცური ატმოსფერო სუფევდა.

– მგონი ვიგებ, მესამე მარტივი რიცხვია უკვე!

– 29, მეოთხე ციფრიც გაარტყი, ჰა, ჰა, ჰა, ვმდიდრდებით, – სემი ტელევიზორს მივარდა, ჩვენც ფეხზე წამოვხტით, – რა რასკლადია, ორას დოლარამდე ხოა უკვე?

– კი მეტიც, დაიცა!

ყველა თამაშობს აზარტულ თამაშებს, ყველა აგებს და მერე დანანებით იხსენებს დამარცხებულ ტუზ-კაროლს ან გაჭრილ მალიუტკას.

დანარჩენი ციფრები ვინსმა ვერ გამოიცნო.

ეს მარტო მე შევნიშნე – მეოთხე ციფრის გამოცნობის შემდეგ, ვინსენტს ისე შეეშინდა, სახეზე ფერი გადაუვიდა, გაშეშდა. ოთახი საავადმყოფოს დაემსგავსა. იმ წამს ჩვენ, ყველანი, უკურნებელი სენით ვიყავით შეპყრობილი. ეს აზარტი იყო, ნევროზი, ეგზალტაცია, რადგან სხვა ამქვეყნად აღარაფერი არსებობდა: არც გეომეტრია, არც სამყაროს შექმნის თეორიები, იქნებ, მართლაც ის ჯერ არც შექმნილა და ჩვენ შეუქმნელ სამყაროში ვცხოვრობთ, უფრო სწორად – ვცხოვრობთსავით, რაკიღა არარსებობაც უბრალოდ არ არსებობს. მე მოვისმინე ხელოვნების დონეზე აყვანილი სემის გინება, იმედგაცრუებული ჯეისონის ხელის ჩაქნევა და ვინსენტის ფარული სიხარული, იმის გამო, საშინელება რომ აიცილა თავიდან და მილიონის

ნაცვლად, მხოლოდ რამდენიმე დოლარი მოიგო! მას დიდი ფულის მოგების ეშინოდა, თუმცა თავად ამას ვერ აცნობიერებდა, იმ წუთას მაინც...

რა ხდება? ესენი ვინ არიან, ჩემი მეგობრები, ან საერთოდ, მე ვინ ვარ? შეუმდგარი პატრიარქები, მეცნიერები, ვარსკვლავები, წინასწარმეტყველები, პრეზიდენტები, უნიჭო გენიოსები, რომლებმაც თავის დროზე ვერ მოიცალეს. დაეზარათ... მიზეზი ლოგიკურად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. დიდი წვალებით მიღებული გამოცდილებით ვხვდებოდი რაღაც-რაღაცებს. მესმოდა მორწმუნე ჯეისონის მიერ ღმერთის უარყოფა, უზენაესთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულება დროებით დაშორების შესახებ, რათა მერე კვლავ დაბრუნებოდა სრულყოფილი რწმენითა და თვითობით. რეჟისორობა სურდა და მისი აზრით, თუ ღმერთს ცოტა ხნით მაინც არ განაგდებდა, მარტოოდენ მისი მორალით შექმნილი მხატვრული ნაწარმოები ორიგინალობას, დამაჯერებლობას დაკარგავდა და მღვდლის ქადაგებას დაემსგავსებოდა. სულით და გულით სწამდა ღმერთის არსებობა, ეთაყვანებოდა კიდეც იესოს მორალს, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა მისთვის. ჯეისონი გულმემატკივრობდა კანტს და მასთან ერთად ცდილობდა დაემტკიცებინა შემოქმედის არსებობა სწორედ მისი არსებობის თეორიული დაუსაბუთებლობის პირობებში! ერთხელ მითხრა კიდეც, ჩემი და კანტის მთელი ეს პროცესი ღმერთის არსებობის ონტოლოგიური არგუმენტის გამყარება იყოო... მესმოდა დამნაშავე სემის, რომელმაც თავისი ნამდვილი სიყვარული, სოფია, რაღაც უაზრობის გამო მიატოვა. ვიცოდი, რატომ კითხულობდა ღამღამობით მკვლელობის ჩადენისგან თავის ასარიდებელ ლოცვებს, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ თავს ვერ მოერეოდა, ცდუნებას ვერ სძლევდა და ბოლოს მაინც მოკლავდა... ისიც ვიცოდი, რომ ვინსენტს ის ნამახული ხმა უხმობდა უფსკრულისაკენ და სწორედ მან გადაახაზინა მილიონი, რომლის არ მოგებას ალბათობა ისედაც მიხედავდა. სამაგიეროდ მოიგო 400 დოლარი, რომელსაც ფული ნამდვილად არ ჰქვია და ძალიანაც გაიხარა... დიახ, ეს ყველაფერი კარგად მესმოდა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ მე მთავარმა, მე არავინმა, არ ვიცოდი, რა ხდებოდა გარესამყაროში.

– როგორა ხარ, ერთი მომიყევი?

– არამიშავს. ჩემს სადიპლომოს განახებ, სანამ ისინი მოვლენ, – ვინსენტი და სემი მოგების გასანაღდებლად იყვნენ წასული. შარვლის ჯიბიდან ფლეშკა ამოიღო და ტელევიზორთან მივიდა.

– რამდენ წუთიანია? ოცი? – ეს შეკითხვა ძალიან ტაქტიან ჯეისონს შეიძლებოდა სწყენოდა, მიხვედრილიყო, რომ მისი სადიპლომო არ მაინტერესებდა და თვალი გაქცევაზე მეჭირა, ამიტომ კონტექსტი შევცვალე. – ხო ოციანია, გამოვიცანი ხო უეჭველი?

– წინასწარმეტყველება იოლია, მაგრამ თვრამეტ წუთიანი და ოცდაერთ წამიანია, – გაიღიმა ჯეისონმა.

– ოცია რა! – საათს განზრახ არ დავხედე.

დროის ჭეშმარიტი საზომი და რეალობა ტვინის ანდამატია, რომელსაც არ შეუძლია მოისაზროს ის, რაც მანამდე არ ძალუძდა. აწმყოში მიმდინარეობს მომავალიც. „წინასწარმეტყველება იოლია", მართალი იყო ჯეისონი. მე ვხვდებოდი, რომ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლებოდა.

– ვინსენტი დიდად გახარებული არ ჩანდა, მოგების მიუხედავად, არა?

– ისევ შეყვარებულია. ფენილ-ეთილ-ამინ! ძლივს არ მოიგო! ტიპი სულ ლოტოს თამაშობს, ქუდსაც იმიტო არ იხდის, რომ თავი ციფრებით აქვს აჭრელებული, ჰა როგორია?

– აუფ, რა ხუმრობაა, სადიპლომოც თუ ამ დონეზე გაქ გადაწყვეტილი, აშენებულხარ და ეგაა!

– იუმორი, თან სასაცილო, ეგრე სად არის!

– უილიამ გენდი გავიცანი.

– სად?

– მუზეუმში.

– ხო, მაგას ხელოვნება უყვარს. პოკერი მოუგო სემის!

– სად, როდის? – სხეულში მღელვარების მიგრაცია ვიგრძენი და კიდევ ის, რომ გენიოსები რაღაცას მალავენ.

– თავის სახლში, ამას წინათ. სემი ეხლა ნიღბით დახვედრას აპირებს, მაგრამ გადავაფიქრებინებ... ყველაფერზე თამაშობს ის ნაბიჭვარი, იცი რატომ ველარაა ჩვენი ძმაკაცი პუნქტუალური?

– რატო?

– დრო ნააგო!

– რა?

– საათი წააგო! დავიწყოთ სადიპლომო? სათაურად „ასვენება" ქვია.

– შენი ნაჩუქარი?

– ხო.

– ეს უილიამი, საერთოდ, რა ტიპია?

– კაი, დაიკიდე... ისე დიდი შებერტყილი ვინმეა, ყველას უგებს, თან რაღაც ბიზნესი წამოუწყია, დიდი ფული აქვს. ნაკითხიც არის. დავიწყოთ?

– რა?... ხო, კი, მიდი!

დაიწყო:

პირველი კადრი – კუბო. სიშავე, მანქანები, პიჯაკები, სიგარეტის ბოლი, საფერფლე სადარბაზოში, რომელიც ატავიზმია, უმნიშვნელო ნაწყვეტ-ნაწყვეტი კადრები. კუბო ხუთს მიაქვს, მათ შორის ერთი ძმაა. წესით, გასვენებაში ოჯახის წევრი კუბოს არ უნდა ნევდეს, მაგრამ ეს ხომ გასვენება კი არა, „ასვენებაა". მსახიობები – ჯეისონის მეგობრები, ზოგიერთს მეც ვიცნობ. გადალაპარაკება: „მალალჩინოსანმა შეუკვეთა მკვლელობა." დიალოგი ჩურჩულით: „სასაფლაოზე წამოვალ, ქელეხში არა." „მე შინ წავალ", „მართლა იმან მოკლა?" ტრაგედია, უსამართლობის განცდა. ხელოვნურად მოტანილი ტკივილი, სიმძაფრე. ფილმი სიზმარს უფრო ჰგავს. სიურეალისტური გამოსვლაა, ხარისხიც არ ვარგა. მგლოვიარე გოგონები ცუდად თამაშობენ. ვცდილობ,

რაღაც დეტალი მაინც დავიჭირო, რომ მერე ჯეისონს მთაბეჭდილება გავუზიარო. ძალიან არ მომწონს. ნეტა რამდენი წუთი დარჩა? მგონი რაღაცეები გამომრჩა... ბოლო კადრი, ეპიკური – ასვენება, ფილმსაც ხომ ასე ჰქვია. კუბო სადარბაზოში შეაქვთ. ხალხი დაბნეულია, თუმცა ცდილობენ, არ შეიმჩნიონ. მეხუთე სართულზეააქვთ, მოკლულის ძმა ხელს უშვებს კუბოს, ღილაკს თითს აჭერენ. ბინიდან ისმის ზარის განუწყვეტელი, ყრუ ხმა. შემაძრწუნებელი სიჩუმეა, მოლოდინი. მერე ისმის მოახლოებული ნაბიჯების ხმა და დიასახლისი აღებს კარს... მსახიობი აქ მართლა კარგად თამაშობს გაოგნებული, თავზარდაცემული ქალის როლს, რომელიც აზლავლებული უკანვე გარბის და მეუღლეს უხმობს. ამასობაში კუბო დერეფანში შეაქვთ, შემდეგ კი შუაგულ სასტუმრო ოთახში ასვენებენ, სახეშეშლილი, აძაგძაგებული ქალის და იქვე მდგარი გაქვავებული კაცის წინ. ეს ის მაღალჩინოსანია, ვინც მკვლელობა შეუკვეთა. „შეკვეთა" კუბოთი მიართვეს შინ, მსხვერპლის გამწარებულმა ჭირისუფლებმა. შემდეგ გასროლა და მუსიკა, რომელიც რაღაც გაუგებარს გამოხატავს.

– ფუ, ეს რა საშინელება გამომსვლია, ამის დედამოვტყან! – აღელვებულია, მაგრამ მაინც რესპექტაბელური ჩანს, თმა – დავარცხნილი, ყურები – პრაგმატული, ცხვირი – იგავური და პირიდან საოცარ ბგერებს უშვებს, – იხი, ხიხი, ხიხი!..

– დედა კი არა, უფრო გადამღები, ჰა, ჰა, ჰა... – მხარს ვუბამ.

– ხი-ხი-ხი! ამას ჯობდა რამე კომედია გადამეღო! – ამდენი არასოდეს გვიცინია.

– ან ეროტიკა! – ვეუბნები სიცილით. კიდევ კარგი ასე დამთავრდა სადიპლომოს ჩვენება, თორემ აზრზე არ ვიყავი, რა მეთქვა.

– დროზე მაინც მოვიდნენ, სასტიკად უნდა დავლიო. ეს არ უნდა გადამეღო... შენ რას მიკეთებ? – შემომიბღვირა. პირველად ვიგრძენი, რომ ჯეისონი მოუხეშაობის, ტაქტიანობის მიღმა სიგიჟეს მალავდა. ასეთი არასოდეს მენახა.

– მე გიკეთებ, მეე?...

– ანნას უნდა დავურეკო! სადაა მობილური? – ჯეისონი საძინებელ ოთახში გავარდა.

ანნა ოცდაორი წლის საკმაოდ ლამაზი გოგოა. ხშირად მოდის და ხანდახან რჩება კიდეც ამ სახლში, ეწევა ყველაფერს, სვამს. აგდებულად ექცევიან, მაგრამ ამას მოთმინებით იტანს. ჯეისონს ანნასგან მარტო სექსი სჭირდება. არავინ იცის, რას ფიქრობს, დაუხვეწავი მანერები აქვს, სულ სხვების ფრაზებით საუბრობს: სემის გიჟებაში ბაძავს, ვინსენტს – იუმორში, ჯეისონს – არც არაფერში. ზოგჯერ საყურადღებო აზრებსაც გამოთქვამს, მაგრამ არა თავისი სიტყვებით. ის თავის თავს მალავს. მხოლოდ ერთხელ დავინახე მისი სულის მცირე ნაწილი:

ერთ დღეს სემიმ თავისი წინა შეყვარებული სოფია მოიყვანა ჯეისონის სახლში შეკრებაზე. იმ პერიოდში ანნა განსაკუთრებით განადგურებული გახლდათ. ყოველდღე ყლაპავდა რაღაც ტაბლეტებს. სახლიც არეული იყო. ავადმყოფ ოთახს სურდო აწუხებდა, არც ფარდები იყო ცხვირსახოცად, არც მზის სხივები ანათებდნენ იატაკს და კედლებს, რადგან იმ დღეს მზე საერთოდ არ ამოსულა. ღამენათევეები ვიყავით, ანნას დაქალები ნახევრად შიშვლები დატანტალებდნენ სახლში. სოფია ლამაზი, დახვეწილი, კარგი ოჯახის შვილი, თავს უხერხულად გრძნობდა. არ დამჯდარა. ანნა და გოგოები ზიზღით შეჰყურებდნენ, ხვდებოდნენ, რომ სოფიას სძაგდა ეს გარემო. მათ შურდათ მისი, თან უპირატესობასაც გრძნობდნენ, რომ მისებრ ანგელოზები არ იყვნენ. სოფია კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან, ყურადღებას არავის აქცევდა, მერე მოტრიალდა და თქვა: „რა ლამაზი კარალიოკებია!" ჩვენც გავიხედეთ და დავინახეთ ჯეისონის სახლის წინ მდგარი, მწიფე ნაყოფით დახუნძლული კარალიოკის ხე, რომელიც მანამდე არასოდეს შეგვიმჩნევია. მერე კარის ჭრიალის ხმა გავიგონეთ და შევნიშნეთ, ანნა რომ ოთახიდან გავიდა. ყურადღება არ მივაქციეთ. სემიმ სოფიას ხელი გადახვია, ჩვენთან მოიყვანა, გაგვაცნო. ვცდილობდით თავდაჭერილობით, წესიერი ქცევით და იუმორით გაგვემხიარულებინა... უცებ კარი გაიღო და გამოჩნდა ანნა, ხელში კარალიოკის ტოტი ეჭირა, ფოთლებში შემალული სამი ქარვისფერი ნაყოფით და სოფიას გაუწოდა. „ძალიან დიდი მადლობა", უთხრა მან და ტუჩები აუთრთოლდა. ანნა იშვიათად იპრანჭებოდა, მაგრამ მაშინ ჩანთა გახსნა, პატარა სარკე და პომადა ამოიღო... ანნა იფერადებს კარალიოკებს პომადით, რომ საკუთარ ცხოვრებას კოცნით დასცინოს...

ვინსენტი და სემი დაბრუნდნენ. მოიტანეს ორი ლიტრიანი არაყი და მზა საჭმელი. დათვრნენ. მე ცოტ-ცოტას ვსვამდი. მღეროდნენ, ჩხუბობდნენ, კამათობდნენ. გაშიფრეს პოლიტიკა, სიყვარული, ადამიანები, სიკვდილი, სპორტი, ეკონომიკა, ტერორიზმი. ჯეისონი იუნგსაც გადასწვდა. ყველამ ყველაფერი სხვაზე უკეთ და დანამდვილებით იცოდა. ვინსენტმა ბიტი წაითხოვა და გარეპა...

– ძაან მაგარია, ჩაწერე რა, ბიტს აგერ ჯეი გაგიკეთებს, – ღრიალებდა გახარებული სემი, – ხო გაუკეთებ?

– რა თქმა უნდა! – ჯეისონი რეჟისორობასთან ერთად მუსიკოსობდა კიდეც.

– დაჟე შეიძლება მეც გავრეპო! კლიპიც გადავიღოთ, ჩემს რკინასაც გათხოვებ თუ გინდა!

– კაი, ვნახოთ! – ცალყბად თქვა ვინსენტმა.

– ბავშვობას გაუმარჯოს – ჯეისონი წეამბოხე ფილოსოფოსს ჰგავდა, – დიდები პრაგმატულ, უხალისო, არაკრეატიულ პროდუქტებად იქცნენ, თავისუფლები მარტო ბავშვები არიან. ბავშვობას გაუმარჯოს: ბიჩოკების მოწევას, გარაჟებზე სირბილს, შუშების მტვრევას, გოგოების გამო მერხის კანტისგან გაკეთებული კასტეტებით ჩხუბს, ინტერნეტ-კაფეში ციფრული რევოლუციების მოწყობას, ჟუაჩკების მოპარვას, ღამეების თევნებას, მეძავებისთვის ფულის გროვებას, ფეხბურთის თამაშს, პირველ სიყვარულს!

— ჩვენ რევოლუციონერი ბავშვები ვართ!

— და ბავშვებად დავრჩებით აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! — ჩავერთე მეც.

„გინებობანაც" ვითამაშეთ, ერთ-ერთი ჩვენი საყვარელი გასართობი: ვსხდებით წრეში და ვაგინებთ ყველაფერს, რიგრიგობით, ისე, რომ ეს პროტესტის გამომხატველი და სასაცილოც უნდა იყოს, რასაც დიდი ოსტატობა სჭირდება. ილები, თავისუფლდები, შხამის და გესლის ნთხევა საუკეთესო თერაპიაა. გამარჯვებული თავისთავად ვლინდება, უხილავი თითის მიშვერით. მას უფლება აქვს წუთიანი მონოლოგი წაიკითხოს, ოღონდ გინება უკვე აკრძალულია. იმ დღეს სემიმ ყველას გვაჯობა. გამარჯვებულის მონოლოგი კი ასეთი იყო:

„იმ ზაფხულს ხ-ში ვისვენებდით. შუადღე იყო და იქაურ ბიჭებთან ერთად პატარა სკვერში, სადაც ბიუსტი იდგა, ორდროშობანასავით რაღაცას ვთამაშობდით. დამპყრობლებად და დამცველებად ვიყავით დაყოფილი. დავრბოდით, ერთმანეთს ვურტყამდით, ვაგინებდით. დამპყრობლებს ევალებოდათ ქვეყანა აეოხრებინათ, მეორე გუნდი თავს იცავდა. ეხლაც თვალწინ მიდგას ერთი ბიჭი, როგორ დამისხლტა, აძვრა პედესტალზე, ჯიბიდან ქვა ამოიღო და ბიუსტს ცხვირი მოატეხა. როლები რომ შეიცვალა და დამპყრობელი გავხდი, მეც იგივე გავიმეორე, უფრო მოზრდილი ქვით ყურები დავალეწე ბიუსტს. ახლაც არ ვიცი, ვინ იყო ის, მწერალი თუ ვინმე სხვა საზოგადო მოღვაწე, ან რას ვერჩოდით. მეორე დღეს დიდი აურზაური ატყდა, პოლიცია გამოიძახეს, მაგრამ გადავრჩით. მაგის მერე მეზიზღება ბიუსტები. სულ იმას ვცდილობ, რამე ისეთი არ ჩავიდინო, რომ ძეგლი დამიდგან!"

დავიღალე, თან არ ვსვამდი და სახლში წასვლა გადავწყვიტე. სემი და ვინსენტი ჯეისონთან დარჩნენ. ანნა არ მოსულა. ძლივს დავიხსენი თავი, არ მიშვებდნენ. მთელი გზა ნიჭისა და იდეის მონეტიზირებაზე ვფიქრობდი. ვაანალიზებდი ჟილეტს და ლატარიასთან დაკავშირებულ ვინსენტის ფენომენს. ამ აბსურდმა კიდევ უფრო მომანდომა ფული, რომელსაც ჩემი პარადოქსულობით ვიშოვნიდი.

გამახსენდა, რომ უილიამ გენდიმ, სხვათა შორის, თავისი მობილურიც ჩამაწერინა...

უკვე ჯერ არარსებული ფულის განაწილებაც დავიწყე: ნაწილს მათხოვრებს ჩამოვურიგებდი, ნაწილს მშობლებს და მეგობრებს ვაჩუქებდი. მერე სადმე ლამაზ კუნძულზე გადავფრინდებოდი, კარგად დავისვენებდი, როცა დავბრუნდებოდი, შევუდგებოდი ახალ ცხოვრებას, შესაფერის სამსახურს ვიშოვნიდი და წერასაც, რაღა თქმა უნდა, გავაგრძელებდი. ჰო, კიდევ დაოჯახებასაც ვაპირებდი. ერთი გოგოა, ვიოლეტა, საერთო მეგობრები გვყავს, მომწონს, მგონი მიყვარს კიდეც. როცა ვხვდები, სიხარულის გრძნობა მეუფლება. ვცდილობ, გავარკვიო, აქვს თუ არა ჩემდამი სიმპათია. სხეულის ენ[illegible] ხოლმე, მაგრამ ეს უფრო მაბნევს. ერთი სიტყვით, პერიოდული, მოჩვენებითი მეგობრები ვართ, აი, ისეთი, შემთხვევით რომ შეხვდები და მერე განშორება აღარ გინდება. ორიოდე კვირის წინ მარტო აღმოვჩნდით შუადღის სკვერში. სკამზე ჩამოვჯექით, ვისაუბრეთ. ქალაქგარეთ წავიდეთ-მეთქი, შევთავაზე. ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია, მერე ბავშვები მიდიხართ სადმე, მკითხა, ენამოსწრებულად გამოუვიდა. არა მარტო მე და შენ წავიდეთ, ისე, უბრალოდ, ავდგეთ და წავიდეთ-მეთქი. „სად უნდა წავიდეთ მე და შენ?" ეს ინტონაცია ეხლაც მესმის. ქალაქგარეთ კი არა ვიოლეტა, საზღვარგარეთ, სადმე ლამაზ კუნძულზე, როგორც საქორწინო მოგზაურობისას დადიან-მეთქი. ჩემმა ამ ნათქვამმა დაძაბულობა მოხსნა, გაიღიმა. თავისუფლად შეეძლო ეფიქრა, რომ ეს შეთავაზება უბრალო ხუმრობა იყო. პირდაპირ ხომ არ მომახლიდა, რას ბოდავ, კარგად არც ვიცნობთ ერთმანეთს და ასე უცერემონიოდ სად მეპატიჟებიო, ამიტომ მითხრა, არ გეწყინოს, უნდა წავიდე, ხვალ დილით გამოცდაზე ვარ გასასვლელიო. მეც აქვე, მაღაზიაში უნდა შევიარო, ანკესის ნაწილები მაქვს საყიდი-მეთქი, მოვატყუე. ერთმანეთს ძალიან უბრალოდ და თბილად დავშორდით.

ვიოლეტას გახსენებამ გამახარა, ხასიათი გამომიკეთა. სამწუხაროდ, მას შემდეგ აღარც მინახავს. გუნებაში გადავწყვიტე, როგორც იმ ამბავს მოვამთავრებდი, დავურეკა, შევხვედროდი და მომავალზე დაველაპარაკებოდი.

შინ გვიან დავბრუნდი. მთელი ღამე ლოგინში ვწრიალებდი, ვბორგავდი. დანამდვილებით არ შემიძლია თქმა, მეძინა თუ არა, თუმცა თავს მაინც მხნედ ვგრძნობდი. გათენებისთანავე დავურეკე უილიამ გენდის. შევთანხმდით ასი ათას დოლარზე, ოთხშაბათს, საღამოს რვაზე, მის სახლში.

. . .

დღეს ოთხშაბათია, ურიცხვო დღე. უნდა მოვუგო. სტაფილოსფერი ყუთი არაა მძიმე. ალბათობაც ვიცი, ბლეფიც. იღბალი მინდა. ასი ათასი დოლარი და ახალი ცხოვრება. გავდივარ კარში. „დაიკეტეთ". არ ვიცი, რა მაცვია. გავანადგურებ. მარჯვენა ტერფის და საფეთქლის ტკივილი ბრჭყალებში მსვამს და უარმყოფს მე. სადარბაზოდან გამოვედი — ატაეიზმიდან. ტაქსით წავალ... რო წავაგო?.. როდის ააშენეს? სამი ახალი კორპუსი, აგურით ნაგები ენდორფინი. ეს ყვითელი ისეთი მაღალია, რო გადმოხტე, მაინც სიბერით მოკვდები. როდის ააშენეს? სიგარეტს მთხოვს უცხო. ვაწვდი. ორი კოლოფი მაქვს, მოვიმარაგე. ათი საათისთვის ასი ათასი დოლარი უნდა მქონდეს. არ გამიჩერა, დაკავებულია, ტაქსში ჩაჯდომას რაღა უნდა, სხვა ჩამოივლის. სემის მოუგო, მაგრამ სემიმ თამაში არ იცის! ვჯდები ტაქსში, უკანა სავარძელზე. ტაქსისტს დიქცია არ უვარგა. სველ „ზ"-ს ხმარობს. მარიამ უკვე გამოასწორა, საერთოდ აღარ ხმარობს: „ძაან ლამაია", „არი გომომიშვა." მახსენდება ფანჯრიდან დანახული: ბიჭი დასდევს გოგოს, დაჭერობანას თამაშობენ, არადა ამ ასაკიდან გამოსული ჩანან. საერთოდ, რა არის ასაკიდან გამოსვლა? გოგო მოქნილი და ლამაზია, ბიჭი — დონდლო. მანქანების გარშემო დარბიან. „დამიჭირე!" „დაგიჭერ!" გოგოს უნდა, რომ დაიჭირონ, მაგრამ საპირისპიროს ცდილობს...

ვგრძნობ, როგორი წმინდაა ჩემი სიყვარული ვიოლეტასადმი, თუმცა მასზე ბევრი არაფერი ვიცი. მისმა დაქალმა მითხრა, ხატავს და არავის აჩვენებს, დიზაინერობა სურს, ოღონდ ამაზე ვერ დაელაპარაკებით.

ერთადერთი გზაა სწორი, მაგრამ იქნებ ის ერთადერთი არაა. ხომ არ დავბრუნდე?.. არა, დამშვიდდი! დასამშვიდებლად და უილიამთან მისვლამდე დროის მოსაკლავად, ინტერვიუ საკუთარ თავთან, მორისონივით. „რა გინდა იცოდე?" „მინდა ვიცოდე, შენობით მიემართო თუ თქვენობით." „კაცობრიობის უდიდესი გამოგონება?" „დამწერლობა და ძილი." „მოქალაქეობა?" „ჩემს სამშობლოს სახელი არ აქვს." „საყვარელი ფეხბურთელი?" „ფოლკნერი და ფაქი."

ტაქსისტი ცდილობს დაკონტაქტებას, ფრთხილად, შეპარვით ყოფილი მთავრობის გინებას იწყებს. მერე ახლის ლანძღვაზე გადადის. ბოლოს იმედგაცრუებული დასძენს, რომ ყველა ხელისუფლება უვარგისია. ცუდ სიმღერებს მასმენინებს, თან სიგარეტს ეწევა და ასლოკინებს. სლოკინის რიტმით ალბათობას ვიხსენებ, ამოცანას ვადგენ... კანონი აკრძალავს მოხარშული პარკის ჭამას! რა სისულელეა? განა მარტო იმას ჭამენ, რაც პარკშია! გამოჩნდებიან პარკიჭამია კრიმინალები, პროტესტის ახალი ფორმა. სამყარო აპათიურია ჩვენი გულწრფელი ოცნებების მიმართ, ჩვენგან მარტო მწარმოუბლურობას ითხოვენ!

როდის გავხსენი ბოლოს ეს ყუთი? არა უშავს, რომც წავაგო, მაინც ზეპირად მახსოვს. ბლეზ პასკალ, მეც არასდროს დამვიწყებია ის, რისი დამახსოვრებაც მსურდა. ნიჭის მონეტიზირების ასეთ მეთოდს მხოლოდ მე მივაგნებდი, ალბათ დაწყევლილი ვარ! დღეს ჩემი ბედი წყდება, შეცდომას ხომ არ ვუშვებ, მოყატრიალო ტაქსი? შინ დავბრუნდები და მშვიდად გავაანალიზებ ყველაფერს. უილიამთან მისვლას მერეც მოვასწრებ...

„აი, ეს ადგილია ჯიგარო!"

მოვედი. პირველი სართულია. „გამომართვი!" „ამის ხურდა არ მაქვს. დაიცა, მაღაზიაში დავახურდავებ." „არ მინდა, სულ შენი იყოს!" „გაიხარე, ღმერთი შენკენ, ჯიგარო!"

სხეულის ენის კონტროლი. დამშვიდდი, მოიგებ, აღელვება არ უნდა შეგეტყოს. გოგონა ხტება ფანჯრიდან, რადგან მთვრალ ოთახს ერევა გული! „ვინ იგლოვოს ის, რაა სიკვდილი?" არა, პოეტო? მობილიზება... ავდივარ კიბეებზე, ერთ ღერს მოვწევ!

აღწერე აქაურობა, დაამტკიცე, რომ ჯერ კიდევ მწერალი ხარ, იქნებ უკანასკნელი წუთებია! კარგი: კედლებს არ აქვს ტატუ, არც ერთი ნახატი, მინანერი, სახლი ახალაშენებულია. არც მე მაქვს ტატუ, ყველაფერთან შეიძლება საერთოს გამონახვა. ღმერთო ჩემო, რა უაზრობას ვამბობ, საერთოდ რას ვაკეთებ? არ უნდა გადამეგდო, აჯობებდა სიგარეტით შევსულიყავი ეფექტის მოსახდენად!

ვაკაკუნებ...

კარს სათვალიანი მიღებს. მეპატიჟება. გავიარეთ დერეფანი. აი, უილიამიც. ოთახი უცნაური, წითელი განათებით. მაგიდაზე კარტი. ოთახში ორი მთელი ერთი მეასედი კაცია.

– გამარჯობა, როგორ ხარ? – უილიამის საყურე ჰგავს დროს, ოთახში საათი არაა, – დალევ? ცოტა დაისვენე და დავიწყოთ.

სტაფილოსფერ ყუთს მაგიდაზე ვდებ.

– რას იხსენებდი? – უილიამი მიმართავს, საშინელი ტიპია სათვალიანი.

– პირველად რო შეგხვდი, იმას, რანაირი ბავში იყო, – თითქოს მე მომიბრუნდა, – უფროსმა კაცმა სიგარეტის მოტანა სთხოვა. ამან უარი უთხრა. რას ვერ მომიტან, მიდი ეხლავე [illegible] და ქაღალდის ფული გაუწოდა. უილიამმა ჯიბიდან სანთებელა ამოიღო, მაშინ უკვე ეწეოდი უილ?.. ამოიღო და ფულს ცეცხლი მოუკიდა... კაცს ხელში ეჭირა, არ უშვებდა, ისე გამომტერდა. ეტყობა ხარბი იყო, ლოთი. ხელიც დაეწვა! უნდა გენახა, მერე რა ამბები დატრიალდა, ჰა, ჰა!

– ჩვენ მუზეუმში შეხვდით, ხო? დიდებული მწერალი ხარ, კარგი ქენი, რომ იმეილზე ტექსტი გამომიგზავნე. ჰობი: უნიჭო ავტორების კითხვა, არა? ჰა, ჰა, ძალიან მომეწონა!

ნამდვილი ხელოვანი ცდილობს, არ შექმნას გენიალური ნაწარმოები. გულგრილ თუ მოყვარულ მკითხველს მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ რამდენიმე წუთი შეიძლება გამოადგეს ტექსტი, მაგრამ უსაზღვროდ!

– ბილიარდიც გყვარებია, ეგეც ვითამაშოთ! – იღიმის. თავდაჯერებულია. სათვალიანი დამსწრეა, – კარგი დავიწყოთ, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. თუ მომიგე, ეხლავე მიიღებ ასი ათას დოლარს, თუ წააგე, ეს შენი ნამუშევრები, ნაწერები, რომელიც, როგორც მივხვდი, ამ ყუთშია, ჩემი გახდება. იმეილზე რაც გამომიგზავნე, ის შეგიძლია დაიტოვო. მე ამას გამოვაქვეყნებ ხვალვე ან ზეგ, ან როცა მომინდება, ჩემი ან სხვა პიროვნების სახელით, ან დავწვავ. გავარკვიე, რომ არასდროს არაფერი გამოგიქვეყნებია... თუ რამე გაქვს ჩაფიქრებული, ლეგიტიმური იქნება, რომ მოგკლა.

– რაში გჭირდება? – მაგათი ელექტროვერსიებიც არ მაქვს, ნუ დარდობ უილიამ.

– რაში მჭირდება? რა, ნაწერები? – იღიმის, – მეგობარს დაბადების დღეზე მწერლობა უნდა ვაჩუქო, დიდი ხანია წვალობს და არაფერი გამოსდის, – სათვალიანი იცინის, – ანუ შენ მეთამაშები ფულზე, მე ხელოვნებაზე, წარმატებას გისურვებ!

– მადლობა!

– ისე, საინტერესოა, სადაც ლიტერატურას რისკავ, მილიონის სანაცვლოდ, სიცოცხლეს თუ გახვიდოდი ფსონად?

– გააჩნია ოპონენტს.

– დაახლოებით შენი დონის მოთამაშესთან?

– კი, ჩემი დონის ოპონენტთან აუცილებლად, რადგან მე ძალიან ცუდად ვთამაშობ!

– ჰა, ჰა! კარგი დავიწყოთ!

კედლების ჰედონიზმი, გართობის ხარისხი. უილიამი არიგებს, დამსწრე თვალს გვიკრავს, უფრო სწორად, სათვალეს. პირველი რიგება: ტუზი და ვალეტი, პატარა რეიზი, ფლოპი, არაფერი, სტანდარტულად ბანკი და წვება.

სიზმარია. უილიამი ლიფეციფერზე ბორო-

ტია, მე კიდე არ მეშინია. ასეთი რამ მხოლოდ სიზმარშია შესაძლებელი.

მეორე რიგება: ეგრევე ყრის. ნინ ვარ.

მესამე...

მეოთხე...

შანსი არაა, რომ ნავაგო. ყოველი კარტი: ეს მეფეები, დედოფლები, აგურები, ყვავები, ორიანები, ეს ქაოსი ხომ ცხოვრების ფრაგმენტებია. ვერ ვხვდები, რატომ გავრისკე, რა შეგრძნებები მქონდა? მახსოვს, თითქოს გამარჯვებას რაღაც უნდა შეეცვალა. რაში მჭირდება ასი ათასი?

შემდეგი რიგება: კარტები იძლევიან პასუხებს, ამიტომ და ამისთვის რისკავ ხელოვნებასო. რატომ დამთანხმდა უილიამი? რაში სჭირდება ეს ნაწერები? ისე მადლობა მას, რომ ამათ ასი ათასად აფასებს. მე ვარ ის უილიამი, რომელიც უილიამი არაა თავისთავში. იქვე ახლოს დიდ ლარნაკთან სათვალიანი დგას და კითხულობს:

– ამ შენობაში შეგიძლია შეიტანო სიგარეტი, ფანქარი, პრეზერვატივი, იარაღიც კი, მაგრამ უსაფრთხოება მაინც უმაღლეს დონეზეა დაცული. შესვლამდე გარეთ უნდა დატოვო პირადი ბედნიერება, სულის სიმშვიდე, მეხსიერება, გამოცდილება, რაციონალურ-ლოგიკური აზროვნება, ალგებრა, სამაჯური, ეტიკეტი და კიდევ რაღაც-რაღაცები. არქონაც ხომ ქონაა უკვე თავისთავად, ანუ გაქვს ის, რომ არა გაქვს, ჰოდა, ძალიან მდიდრები არიან შენობის მკვიდრნი... ბრწყინვალეა, უილ, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი საყვარელი, – რა ქვია, ნოველა თუ რომანი... – მოკლედ, ჩემი საყვარელი ისა... ხო წიგნია. თუ ხელს არ შეგიშლი, გკითხავ, როდის დაწერე?

– ამას წინათ. მიხარია, რომ მოგწონს. შესანიშნავად კითხულობ! – უილიამი აჰყვა ხუმრობას. მაკვირდება, ეს ჩემი ტექსტია.

– აუცილებლად უნდა გავაგრძელო კითხვა, – სათვალიანი არტისტი როლშია, ხელებს შლის მორიგი ჟესტის შესასრულებლად და ლარნაკს ტეხავს... ჩემი ლიტერატურა ოთახმა უილიამის შემოქმედებად მონათლა, არადა ჯერ არ წამიგია. ფსიქოლოგიური ზეწოლაა? დამცინიან? თუ ამოწმებენ, რა მოვიტანე ყუთით? ლარნაკი გატყდა, უილიამს რეაქცია არ აქვს... მსხვრევა მუსიკაა... იჭრიან თითებს და როიალზეც დაუკრავენ მალე... ოთხმოცდამეათე... რომელი დამკვიდრებულს არს შენევნითა მაღლისაითა... ზეცათაისა... აზარტული თამაშის წინ ლოცვა გულწრფელია, ეს სჯობს ძილის წინ მექანიკურად გადაკითხულს, ღმერთამდე შორია მაინც!

– პატარა ბავშს რაღა უნდა აქ. – სათვალიანი აგრძელებს კითხვას ნამსხვრევებში, – დიდს ვერაფერს დატოვებდა გარეთ, იმდენი რა უნდა ჰქონოდა. „რამდენი ხანია აქ ხარ ბავშვო?" არ მპასუხობს, იმიტომ რომ შია. ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს უპრობლემოდ ატანენ, თუმცა არის გამონაკლისიც. ის ქალი ბიჭის დედაა. საჭმელი არის სახლში, მაგრამ ცოტა, ცოტა მათთვის, თორემ... უცნაურად ჩაცმული დედა შედის საკუჭნაოში, ხელში წითელტარიანი დანა უჭირავს. აქეთ რა ხდება? ჯამბაზს ალყა შემოარტყეს, ფოკუსს ატარებს, აიღო ოთხი კარტი, გაჩერდი, გავიგე რო გშია, გამაგონე! რაო? ოთხიანს ამოვიღებ ოთხში ოთხჯერო. ამოიღო. მერე შეურია ამოღებული იმ სამს, აჭრა. კიდევ ამოიღო, კიდევ... სულ ოთხიანს იღებს, პარანოიდული სიცილი, ყიჟინა, ტაში, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცის, ოთხივე კარტი ოთხიანია!

– ვისკის თუ დალევ? კი? – როგორც ჩანს, დავთანხმდი, ან მან იპოვა სადღაც ჩემი თანხმობა. ადგა. მოაქვს, – მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ვისკი ჩემი, ძალიან ძვირფასია, მიირთვით, – სათვალიანმა უარის ნიშნად ხელი გაიქნია.

ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე! საერთოდ ვინაა, რა უტრიალებს გონებაში, რა მიზნები აქვს? ჯერ არ დავლევ: შეიძლება უნდა, რომ დამათროს! ვთქვათ მოვიგე, რა გარანტია მაქვს, რომ პირობას შეასრულებს, ფულს გადამიხდის, არ მომკლავს და ჩემს ნაწერებს არ მიითვისებს? შევცდი, სემი უნდა წამომეყვანა ან ეს განზრახვა გამენდო, მისამართი დამეტოვებინა. დანა მაინც მედოს ჯიბეში!

არ მინდა მკვლელი გავხდე. მეც ისევე მალულად ვლოცულობ, როგორც სემი. წმინდა და მიმზიდველია მკვლელობის იდეა ჩადენამდე, განხორციელებული სიბინძურე და ტანჯვაა, მაგრამ უილიამმა თუ ჩემი გაცუცურაკება მოინდომა, რა უნდა ვილონო?

არა, ეს ყველაფერი სიზმარია! მე ახლა ჩემ ხელოვნებაზე ვთამაშობ, მათ შორისაა ის ტრაგიკომედიაც, ჯეისონს ფილმისთვის რომ დავუწერე ქილერებზე.

ჩემი ხელები ჩიპებს არ ათამაშებს...

მათ „ა" და „ბ" ერქვათ. კიდევ იმდენი პერსონაჟი მყავდა, მთელი ანბანი გავხარჯე. „ა" გამოცდილი ქილერი იყო, მისი ახალგაზრდა მეგობარი „ბ" ამ საქმეს მხოლოდ ახლა იწყებდა, იმიტომ რომ ავადმყოფ შვილს გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროებოდა. „ბ"-ს ფული წინასწარ გადაუხადეს და გადასცეს კონვერტი, შიგ ჩადებული მომავალი მსხვერპლის სურათით, რომელიც მხოლოდ მას უნდა გაეხსნა. „ა"-მ ის მკაცრად გააფრთხილა, რომ დაკვეთა აუცილებლად უნდა შეესრულებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთები მას მოკლავდნენ. „ბ"-მ სახლში სულის ფანცქალით გახსნა კონვერტი, სადაც მისი მეგობარი „ა"-ს სურათი და მისამართი დახვდა. ის იძულებული გახდა შეესრულებინა დავალება, რათა ბავშვი გადაერჩინა. შვილის ოპერაციის შემდეგ „ბ"-მ თავი მოიკლა.

ორი სამიანი მყავს, ორივე წითელი. უილიამი მირეიზებს და სათვალიანს თავაზიანად სთხოვს კითხვის გაგრძელებას. ერთი სამიანი მინდა ფლოპზე და ეგაა!

– ეხლავე, მოითმინეთ, – ეძებს ადგილს, სადაც გაჩერდა. იპოვა, – დედა კოჭლობით მივიდა შვილთან და თეფშით რაღაც შემწვარი კერძი მიართვა. ბავშვმა მადიანად შეჭამა და დაწყნარდა. დიალოგი: „დედი, მადლობა, მარა ეგ რო მცოდნოდა, მოვითმენდი, ახლა სულ ასე უნდა იკოჭლო?" „არა, ძალიან გშიოდა, ვერ მოითმენდი!" შუბლზე აკოცა და დაამშვიდა: „არა უშავს, ამ ფეხზე მაინც ექვსი თითი მქონდა, ლაწირაკო!" ფუუუუ, რა საშინელებაა! ინ-ფან-ტი-ლური... ეს რას ნიშნავს, უილ?

– ინფანტილური ნიშნავს, ხო, აი შენნაირ საყვარელ ტიპს, – მიღიმის, – მაინც რამ მოგაფიქრა ამნაირი რამ?

– ალბათ ფული მჭირდება, – მეც მეღიმება, უცბად განვიმუხტე, – კარგია, რო დამეთანხმდი...

– მე უფრო გამახარა შენმა შემოთავაზებამ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამქვეყნად ყველაფერი იყიდება!

– ცხადია...

– ოღონდ არ დაგავიწყდეს, თუ მოგიგე, ეს ტექსტები შენი სახელით აღარ გაიყიდება, მე წაგების შემთხვევაშიც შემეძლება მისი მოხმარება, როცა გამოაქვეყნებ, მაგრამ ძალიან ძვირი კი მექნება გადახდილი. სხვებს კაპიკი დაუჯდებათ!

– მეც ეგ მაკვირვებს! გიღირს ამხელა რისკის გაწევა, როცა არც კი იცი სტაფილოსფერ ყუთში რა დევს?

– თუ ხარისხი იგივეა, რასაც ეხლა ვისმენ, მიღირს... – ისევ მიღიმის, – მე მოვასწარი გაკითხვ-გამოკითხვა და რაღაცეები შევიტყვე შენს ნაწარმოებზე – „ჰეტეროსკედასტურობა გენიალურობაში".

– დამცინი?...

– როგორ გეკადრება! და რას ნიშნავს ჰეტეროსკედასტურობა?

– თავს ნუ იკატუნებ, გეცოდინება!

– კარგი, კარგი. ლექსიკონში ჩავხედავ, – უილიამი სემისთვის მოგებულ მაჯის საათს უყურებს!

თამაშს ვაგრძელებთ.

რივერიც გაიხსნა უსამიანოდ, ბანკი დიდია!

– ოლინ, – ვუღრენ, სემის სახელითაც! ჩემი წითელი სამიანები. არ ვიცი რას ვშვები. ხუთივე კარტი სამიანზე მაღალია.

დაყარე, დაყარე, გევედრები დაყარე!

აქამდე ყველაფერი: ცოდნა, შეგრძნება, დაკვირვება, სიყვარული, ტანჯვა ამ წამისთვის ხდებოდა, რომ თავდაჯერებულად, გამარჯვებული დავმარცხებულიყავი... იქნებ სულაც არ არსებობდა ჩემი მიზნები, ჩემი აზრები, სიკეთეები, დეპრესიები, სურვილები, ბედნიერება, სიყვარული, ბოროტება და ეს ყველაფერი შემოტენილი ტყუილი იყო? იქნებ ეს დამარცხებაა ჩემი პირველი რეალური ქმედება, რომელმაც უნდა განმათავისუფლოს და გამანამდვილოს?

დაყარე, თუ გამისწორა, აუცილებლად წავაგებ, დაყარე, დაყარე, დაყარე...

უილიამი გაშეშებულია, თვალებში მიყურებს! გამოიცნო ჩემი ბლეფი, მაგრამ მასაც ხო სუსტი კარტი ჰყავს!

დაყარე, ოღონდ ახლა დაყარე, დაყარე!

მისმა ხელის მოძრაობამ უნდა გადაწყვიტოს ჩემი ბედი. ოთახი შენელდა, ხმაც დაენია, მხოლოდ გულის ფეთქვა ისმის, გულის, რომელიც არც ჩემია, არც უილიამის და არც სათვალიანი ჯამბაზის!

დაყარე, დაყარე, დაყარე, დაყა...

უილიამი მთლიანად შემოდის ჩიპებს და ხსნის კარტს!

თამაში მორჩა, ყველაფერი დასრულდა, წავაგე! ერთი ფრაზის პროპორციული ჩიპიც არ დამრჩა. წავაგე ლიტერატურა, მწერლობა, შემოქმედებითობა, წარსული, მომავალი, იმედი, სიყვარული! რა სუსტ კარტში გამომყვა – შვიდიანებში, ეს სიზმარია!

აწი რაღა ვქნა, რა მეშველება?...

გაშეშებული ვიჯექი და უაზროდ დავცქეროდი მაგიდაზე დაყრილ კარტებს. გამანადგურა წაგებამ.

ყველაფერი ილუზიაა. ვერ შევძელი განზრახვის რეალობად ქცევა. არ არსებობს სიკეთე, ბედნიერება, ლამაზი კუნძული ოქროსფერი პლაჟით. არ არსებობს პასკალი, კანტი, ფოლკნერი, კობი ბრაიანტი, ტაქსისტი, რომელსაც ნეიროლინგვისტური ტექნიკით აიძულებ ჰელფსტრეტამდე ხუთ დოლარად გაგიყვანოს. არ არსებობს მტერი, არ არსებობს მეგობარი, არ არსებობს განცდების გაზიარების შესაძლებლობა, არ არსებობს გენური ინჟინერია, არ არსებობს სამშობლო, ახალი წელი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. არ ჩადის და არ ამოდის მზე. არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს პერსპექტივა! არსებობ მხოლოდ შენ, მარტოდმარტო, დაბნეული ღიმილით, ჰეტეროსკედასტურობით და დროდადრო სულისშემძვრელი, განწირული ღრიალით...

გამიკვირდა, რომ უილიამ გენდი, რომელიც მაგიდაზე ხელებდაკრეფილი იჯდა და უხმოდ შემომცქეროდა, გამარჯვებას არ ზეიმობდა. იქნებ ქვეცნობიერად მასაც ისევე არ სურდა მოგება, როგორც ვინსენტს, მაგრამ რა ექნა, ძალად ხომ არ წააგებდა? ნაღდად არ მძულდა, არც მტრად და მონსტრად მივიჩნევდი... აი, მაშინ კი სულ სხვა განზომილებას შეიძენდა ჩემს თვალში, სტაფილოსფერი ყუთი რომ დაებრუნებინა და ეთქვა – აჰა, შენ ეს ტექსტები და ამგვარი სისულელე გონებაში აწი აღარასდროს გაიელო, ნიჭის მონეტიზირება მაშინ ხდება, როცა შემოქმედი ხელში კალამს, ფუნჯს ან საქრეთელს იღებსო, მაგრამ ასე არ მოქცეულა. სათვალიანის მიერ იქვე სახელდახელოდ გაწყობილ მაგიდასთან მიმიპატიჟა, მაგრამ უარი ვთქვი.

ძალიან განვიცადე წაგება... სტაფილოსფერ ყუთში შემოქმედებად გარდასახული ჩემი სული და გული დევს, რაც კი ღირებული მიფიქრია და შემიქმნია სიცოცხლეში, მსგავსს ვეღარასოდეს შევქმნი... არსებობს მიუტევებელი შეცდომა! ღირსეულად დაისაკუთრა ჩემი ლიტერატურა. ბლეფითაც ვცადე ბოლოს უილიამის გაცურება, მაგრამ არ წამოეგო. გამოცდილი და ჭკვიანი მოთამაშეა! თუმც არ მჯერა, პლაგიატობა იკადროს! უფრო მოსალოდნელია, იმ თავის მომწერლო მეგობარს აჩუქოს, თუმცა ჩემთვის რაღა მნიშვნელობა აქვს, დაე, ეს დებიუტი მისთვის წარმატებული აღმოჩნდეს! მთავარია, მართლა არ დაწვას, მთავარია არ შეცვალოს... ოღონდ ამ დაწყევლილმა შემოქმედებამ დღის სინათლე იხილოს! მკითხველისთვის ნაწარმოებია მთავარი, ავტორს რა მნიშვნელობა აქვს.

მეც თამაშის წესს ვიცავ და ვინაობას არ ვამხელ, არ მინდა მომავალში პლაგიატ ავტორს პრობლემა შევუქმნა.

ძალიან მწყდება გული...

თუმცა, მიჭირს დაჯერება, რომ სტაფილოსფერმა ყუთმა ფეხი არ აიდგა, არ გამომეკიდა და უილიამთან დარჩა. მე ეს ყუთი მუდამ ცოცხალი მეგონა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვახტანგ კომახიძე*

საღამოობით იოსები ლამპას ანთებდა ხოლმე. მბჟუტავი ნათელი არათანაბრად ეფინებოდა ფანჯარასთან მიდგმულ სარწეველა სავარძელს, მიმორეულ საწერ მაგიდას და თაროებიან კარადას, რომლის მოორნამენტებული კიდეებიც კორინთული ორდენის სვეტებივით იყო ჭერზე მიბჯენილი. თაროებზე ბროკჰაუზისა და ეფრონის ოქროსფერყდიანი ტომეულები ეწყო. წიგნებზე კუთხეში მუყაოს ფოტოგრაფია იყო მიყუდებული, რომელზეც იოსები და თეთრკაბიანი ქალიშვილი იყვნენ გამოსახულნი იმპერიული ოპერისა და ბალეტის თეატრის ფონზე. პეტროგრადელმა ფოტოგრაფმა შეყვარებულები მარიინსკის თეატრის მხოლოდ პლაკატის ზედაპირზე აღბეჭდა, მაგრამ შენობა ისეთი ბუნებრივი ჩანდა, რომ ფოტოგრაფიიდან თითქოს გლინკას და მუსორგსკის მუსიკა მოისმოდა. იოსებს ეს ფოტოგრაფია, ტვიდის პალტო, ორიოდე ყელსაბამი, მონოკლი და რამდენიმე პირადი ნივთი ჩამოჰყვა იმპერიის ცენტრიდან მშობლიურ მაზრამდე. ახლა იგი საღამოობით ფანჯარასთან სავარძელში ირწეოდა და წითელ იზაბელას შეექცეოდა. ლამპის მკრთალი სინათლე კი მოგონებებთან ერთად ღამის პეპლებს და ქინქლებს იზიდავდა.

ზამთრის სასახლეზე თავსდამტყდარი ბოლშევიკური ძალმომრეობის შემდეგ იოსები უკანასკნელად ეწვია შეყვარებულს. მას გრძელი, პოლ პუარეს აღმოსავლური შთაგონებით შექმნილი იისფერი კაბა-ხალათი ემოსა მაქმანებიანი საყელოთი. მოშიშვლებულ ყელს თივთიკის ყელსახვევით ითბუნებდა. ხელის მტევნები კი სიცივისგან მთლიანად გაფითრებოდა.

– შეშა ისე გაძვირდა, ღუმელს მხოლოდ საღამოობით ვანთებთ, – კეკლუცად გაიღიმა გაფითრებულმა ქალიშვილმა, როცა იოსები ხელებზე შეეხო. – თუმცა, მამაჩემი ამას პოლიტიკური მიზეზებით ხსნის, – ახლა ყოველი კაპიკი, რომელსაც ამ ქვეყანაში დავხარჯავთ, ბოლშევიკებს გაამდიდრებსო.

– დარწმუნებული ვარ, ამ გათოშილი ხელების შესახებ რომ შეიტყონ, შეშას გააიაფებენ, – უპასუხა იოსებმა, – მე კი, მე შეშის გარეშე გავათბობდი ამ ხელებს, ამ თითებს, სხეულის ყველა იმ ნაწილს გაგითბობდი, სადაც სიცივეს შეიგრძნობდი...

– არა, ეს ხუმრობა არაა, მამა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ რუსეთი უნდა დავტოვოთ. ყველგან ბოლშევიკები ელანდება. ამბობს, რომ ყველა პატიოსან ადამიანს, ვინც ვერ გაასწრებს, სულს ამოხდიან. მთავარი კი ისაა, რომ ახლა ჩემს ქორწინებაზე მას ვერავინ დაელაპარაკება...

– ბოლშევიკები შენს თავს ვერ წამართმევენ და ვერც პატიოსან ადამიანებს ამოხდიან სულს, – თქვა იოსებმა, – მე შემიძლია სანდო და კეთილშობილ ადამიანებთან ერთად წარვსდგე თქვენი ოჯახის წინაშე... მე დავარწმუნებ მათ, რომ სიყვარულით, მზრუნველობითა და საიმედოობით ალსავსე ადამიანთან იცხოვრებ!

– მამას, რა თქმა უნდა, სწამს კეთილშობილი ადამიანებისა. საიმპერატორო ჰოსპიტალში მამასთან დაჭრილი სამხედროების ოპერაციებზე თვით იმპერატრიცა ასისტირებდა. შეიძლება ითქვას, მამა თავს ალექსანდრა ფიოდოროვნას გარემოცვას მიაკუთვნებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმპერატრიცა ალექსანდრევსკის სასახლიდან ტობოლსკში გადაბარგდა, მამა ამბობს, რომ სწორედ კეთილშობილთა გულუბრყვილობაა თავი იმ უბედურებისა, რომ ბოლშევიკები მოექცნენ იმპერიას სათავეში! როცა მამა შინ ბრუნდება ხოლმე, მხოლოდ იმპერიიდან გამგზავრებაზე ლაპარაკობს. ვიცი, რომ მისი ყოველი შინ დაბრუნება შენს თავს მართმევს, მაშორებს. ვგრძნობ, რომ მხოლოდ შენ გეკუთვნი, მაგრამ არ ვიცი, არსებობს თუ არა რამე ძალა, ჩემს მშობლებს რომ შეასმენინოს ჩემი სიყვარული, ან ადამიანები თუ არსებობენ, ვისაც ეს ხელეწიფებათ!

იოსებმა პიჯაკის ჯიბიდან მუყაოს ფოტოგრაფია ამოიღო და მას გაუწოდა.

– მე ჩვენი ფოტოგრაფია მოგიტანე. მინდა, შენ გქონდეს, სანამ მშობლებისგან ქორწინების ნებართვას მივიღებთ.

– ეს ჩემი ბედნიერი წუთებია და პირიქით, შენ მინდა იგი გეკუთვნოდეს ქორწინებამდეც – უპასუხა აფორიაქებულმა ქალიშვილმა ფოტოგრაფიის ყურების შემდეგ და მართკუთხა მუყაო იოსებს პალტოს ჯიბეში ჩაუდო.

ამ შეხვედრის შემდეგ იოსებმა წერილი მიიღო მისგან:

*(ფრაგმენტები წერილიდან)*

წერილს მატარებლიდან გწერ. ჯერ არც ის ვიცით, სად მივემგზავრებით და არც ის, სადამდე შევძლებთ ამ მატარებლით მგზავრობას. ირგვლივ ქაოსია. ყველგან შეიარაღებული ხალხია. მე უშენობის ფიქრები მიტაცებენ... იმ ძალებს მოვუხმობ, შენთან რომ მომიყვანენ. რატომაა სამყარო ასე მოწყობილი, რომ შენ მინდა გეკუთვნოდე და შენი საწინააღმდეგო მიმართულებით მივყავარ მატარებელს?! შენი სიტყვები მახსენდება, ბოლშევიკები შენს თავს ვერ წამართმევენო... მატარებლის გამცილებლები მძარცველებისგანაც ვერ გვიცავენ... მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ შენი სიყვარულისგან ვერავინ განმძარცვავს! რომ სიყვარული შენ მოგიძღვენი და მარადიულად, უცოდველად შემიძლია შენზე ვილოცნებო... ჯერაც არ ვიცი, ამ წერილს როგორ გამოგიგზავნი... ან შენ სად მომწერ...

იოსები თბილისში რომ ჩავიდა, ფეოდალური და იმპერიული გადმონაშთები ჩოხაზე დაბნეული საიმპერატორო არმიის ეპოლეტებივით ანაქრონიზმის გამოვლინებად მიიჩნეოდა, მაგრამ იმპერიული დენთის სუნი ისევ ტრიალებდა. ბოლშევიკები რევოლუციურ მარქსიზმს ქად-

აგებდნენ. სოციალისტ-ფედერალისტებს დენთის სუნი ნაკლებად სცემდათ – რამდენიმე წარმომადგენელი ჰყავდათ დამფუძნებელ კრებაში და რამდენიმე ემისარი – პარიზსა და ბერლინში. ეროვნულ დემოკრატებს ყველაზე მეტად ღმერთის სწამდათ. წიგნიერი საზოგადოება საბანკო და საგანმანათლებლო საქმიანობაში იყო ჩართული. ისინი დენთის სუნს ყველაზე ნაკლებად გრძნობდნენ.

მალე ბოლშევიკების მეთერთმეტე არმიამ ამიერკავკასიაში ინტერვენცია წამოიწყო. ქვეყნის დასავლეთში კი ოსმალეთის საჯარისო ნაწილები შეიჭრნენ და ბრესტის ზავის პირობების აღსრულება მოითხოვეს. ხელისუფლებაში მყოფ დაბნეულ სოცდეკებს საერთაშორისო მხარდაჭერის არანაირი მოლოდინი არ ჰქონდათ – დიდ ბრიტანეთს რეგიონისადმი ინტერესი დაჰკარგვოდა, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია კი უბრალოდ, დაუძლურებული იყო...

*(ფრაგმენტები წერილიდან)*

– იმაზე მინდა, გელაპარაკო, როგორ დავეძებ შენს ხატებას აქ, ჩემს მხარეში, იქ, სადაც არ ხარ და სადაც მხოლოდ შემიძლია წარმოგიდგინო! რა ბედნიერებაა, რომ ადამიანს წარმოსახვის უნარი დაჰყვა. ჩემ სამყაროში, წარმოსახვების ჩემ სამყაროში ისე არსებობ, როგორც იქ, სადაც ნამდვილად დააბიჯებ, სადაც სუნთქავ და შენი არსებობა შეუძლიათ დაადასტურონ ადამიანებმა. და მეც, იმ ადამიანთა მსგავსად ვადასტურებ, რომ შენ მარადიულად არსებობ წარმოსახვათა ჩემს სამყაროში. იმაზე მინდა გელაპარაკო, როგორ ვგრძნობ ისევ შენს ფერმკრთალ ხელისგულებს და ჩემი წარმოსახვების ზედაპირი როგორ იორთქლება მოახლოებული შენი ტუჩებით! ბოლშევიკებმა შენი თავი წამართვეს, მაგრამ შენს სიყვარულს ვერ წამართმევენ, იმის მიუხედავად, რომ აქაც შემოვიდნენ. ახლა ქაოსია... გაზეთები არ გამოდის. არავინ იცის, რა ხდება... და ჯერჯერობით ისიც არ ვიცი, სად შევძლებ შენი საპასუხო წერილის მიღებას...

ბოლშევიკები სწრაფად მკვიდრდებოდნენ როგორც შს სახალხო კომისარიატის სტრუქტურებში, ასევე ეკონომიკური და კომუნალური მეურნეობის სფეროებში. ისინი ვერ ეგუებოდნენ ვერც რელიგიურ და ვერც მეცნიერულ გადმონაშთებს. არისტოტელე, ქრისტე, კოპერნიკი, პუანკარე ან უბრალო აზნაური – ყველა, ვინც წარსულში ექსპლუატირებული არ იყო, არაფრად ფასობდა! ექსპლუატირებულები ამაღლდნენ. ისინი ვერ ეგუებოდნენ და არ ითავსებდნენ არაფერს, რასაც ექსპლუატირებულთა ოფლის სუნი არ ასდიოდა... ამიტომ ყრიდნენ და წვავდნენ წიგნებს, რომლებიც რევოლუციური შთაგონებით არ იყო შექმნილი, კონფისცირებას უქვემდებარებდნენ ყველა მატერიალურ ფასეულობას, რაც რევოლუციური სოციალიზმის განხორციელებისთვის იყო საჭირო და ლიკვიდირება ემუქრებოდა ყველა სოციალურს, რომელიც რევოლუციურ მიზნებს არაფერში ესაჭიროებოდა... რევოლუციის მტრად გამოსაცხადებლად და ათვალწუნების მიზეზად კი ისეთი უბრალო აქსესუარებიც შეიძლებოდა ქცეულიყო, რომლებსაც ექსპლუატატორებად შერაცხული საზოგადოება მხოლოდ საყოფაცხოვრებო საჭიროებებით მოიხმარდა – ფრაკი, შლაპა, ან მონოკლი... რევოლუციური სოციალიზმისთვის ეს ყველაფერი წარსულის გადმონაშთი იყო და საჭიროების შემთხვევაში კონტრრევოლუციური ჩანაფიქრების მტკიცებულებადაც კვალიფიცირდებოდა.

იოსები მშობლიურ მაზრაში დაბრუნდა. ხავსმოკიდებული სამკვიდრო სახლის მისახედად და საშინაო საქმეებისთვის ქალი აიყვანა, ოთახები გაანიავებინა და მოაწესრიგებინა. ტვიდის პალტო ტანსაცმლის კარადაში შეინახა, მონოკლი – საწერი მაგიდის უჯრაში. დილაობით შლაპას იხურავდა, მაზრის ცენტრში მიდიოდა ხოლმე და სალამს შლაპის მოხდით იძლეოდა. შინ დაბრუნებამდე ქალი სადილს ამზადებდა, სავარძელშიც ირწეოდა. როცა თაროებიან კარადასთან ჩაივლიდა, წიგნებზე მიყუდებულ ფოტოგრაფიას უყურებდა. ხანდახან იღებდა და ახლოდან აკვირდებოდა. ფოტოგრაფიას ხელისგულს ისე უსვამდა, თითქოს მტვერს აშორებდა, თითქოს სწორედ მტვრის მოსაშორებლად იღებდა მას თაროდან... ფოტოგრაფია გუმბათოვანი, კოლონებშემოწყობილი შენობის ფონზე იყო გადაღებული. უყურებდა ფოტოგრაფიას და იოსებზე ფიქრები იტაცებდა... ხან იოსების თანმხლები მანდილოსნის მხრისკენ გაურბოდა მზერა, რომელიც იოსებს ეხებოდა, ხან კი – მისი კაბის მაქმანებისკენ. სურათის უკანა მხრიდან გრავიურა ჰქონდა ამოტვიფრული შიშველმკერდიანი ნიმფით, პალიტრიანი ყრმით და პალმის რტოებით. ფოტოგრაფიის ამ მხარესაც მოაშორებდა ხოლმე სახელოთი მტვერს და თაროზე აბრუნებდა.

მაზრის რევოლუციურმა საბჭომ მარქსისტული სოციალიზმის გაფართოების აუცილებლობიდან გამომდინარე საგანმანათლებლო კერის დაფუძნება გადაწყვიტა. გამოცხადდა მობილიზაცია და პალიასტომიდან ხის მორების ჩამოსატანად მაზრის თითქმის ყველა ურემი შეაგროვეს. საბჭოს წევრებმა ურმებზე პლაკატები დაამაგრეს – „ჩვენ ამ ურმებით მოგვაქვს განათლება". ურმები პალიასტომის სანაპიროზე ჩაამწკრივეს, დატვირთეს და გამოსამგზავრებლად იყვნენ გამზადებულები, როცა ისე განვიმდა, რომ ატალახებული გზების გამო პალიასტომიდან მხოლოდ რამდენიმე ურემი მორის ჩატანა მოხერხდა მაზრის ცენტრში. ჩაზიდული მორები ფიცრებად დახერხეს, მაგრამ სამშენებლო მასალა სკოლის ასაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ მშენებლობის დასასრულებლად ფიცრები დაპატიმრებული სოცდეკელი ოფიცრების და მიქელგაბრიელის საყდრის დეკანოზის სახლებს დააძრეს და სკოლის მშენებარე ტერიტორიაზე გადაზიდეს.

მაზრის საბჭომ მასწავლებლების შესარჩევ სხდომაზე იოსების მოწვევის შესახებ იმსჯელა. საბჭოს ზოგიერთი წევრი მის კანდიდატურას მიუღებლად მიიჩნევდა ფეოდალურ–ბურჟუაზიული მიდრეკილებების გამო. გაიხსენეს, რომ პეტროგრადში ახლო ურთიერთობა ჰქონდა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლ ანარქისტებთან და ისიც ახსენეს, რომ მაზრაში დაბრუნებულმა შინამოსამსახურედ ქალი დაიქირავა,

რაც არ შეესაბამებოდა თანამედროვე, პროლეტარიატის მიერ დამკვიდრებულ სოციალურ ღირებულებებს, მაგრამ მეორე მხრივ, აღნიშნეს ისიც, რომ რევოლუციური მარქსიზმი არსად არ ეწინააღმდეგებოდა განათლების სფეროში ბურჟუაზიულ გადმონაშთთა ინტელექტის გამოყენებას რევოლუციური სოციალიზმის სასარგებლოდ.

სკოლაში მასწავლებლად მიწვევას იოსები დათანხმდა. იგი ყოველ დილით შლაპას იხურავდა და სკოლისკენ მიეშურებოდა, სალამს ჩვეულებისამებრ შლაპის მოხდით იძლეოდა. პატარა პროვინციული მაზრის მაცხოვრებლებში მისი მანერები ცნობისმოყვარეობას აღძრავდა, სკოლის კოლეგებში – ცნობისმოყვარეობას და უფრო მეტ ცნობისმოყვარეობას...

პროლეტარიატის დიქტატურის საიუბილეო დღეს მაზრის საბჭომ საზეიმო ღონისძიების ჩატარება ახლადაშენებული სკოლის ეზოში გადაწყვიტა.

„პროლეტარიატის დიქტატურას ვუძღვნით ამ სკოლას, რომელიც მომავალი რევოლუციონერი ბავშვებისთვის ჩვენ ავაშენეთ", ეწერა წითელ პლაკატზე, რომელიც შენობის ფასადზე იყო გადაჭიმული. პლაკატის ცენტრში სისხლისფერი რევოლუციური დროშა ფრიალებდა და დროშის გვერდით მოწყობილ ტრიბუნაზე სიტყვით გამოსვლაში ერთმანეთს მაზრის საბჭოს წევრები ენაცვლებოდნენ. მაყურებელთა პირველ რიგებში მაზრაში არსებული კანტორების მოხელეები იყვნენ ჩამწკრივებული მასწავლებლებთან ერთად. შემდეგი რიგებიდან მაცხოვრებლები შესცქეროდნენ ტრიბუნაზე გამომსვლელებს. შეკრებილთა რიგებს კი შს სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების და შაშხანიანი სალდათების მწკრივი ასრულებდა.

მეორე დღეს სკოლის დირექტორმა იოსები კაბინეტში გამოიძახა.

– გუშინ პროლეტარიატის დიქტატურის საიუბილეო ღონისძიება ჩავატარეთ, – თქვა დირექტორმა. – თქვენ კი არ დაესწარით.

– სრულიად მართალი ბრძანდებით, – მიუგო იოსებმა.

– ღონისძიებამ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას მივუძღვენით, თქვენი ყურადღება ვერ მიიპყრო? თქვენი არდასწრება სკოლის უპატივცემულობად მივიჩნიეთ, ამხანაგო!

– მე ამ სკოლაში ვასწავლი, ამხანაგო დირექტორო, – უპასუხა იოსებმა, – ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლის მნიშვნელობას სრულად ვაფასებ... თუმცა, ერთი მოსაზრებაც მინდა გაგიზიაროთ: დაპატიმრებული ოფიცრების და მღვდლების სახლებით სკოლების აშენება, როგორც ჩანს, შესაძლებელია, მაგრამ იმდენი მღვდელი და ოფიცერი ნამვილად არ გვყავს, რომ მათი დაპატიმრებით და სახლების კონფისკირებით ქვეყანა ავაშენოთ.

სკოლის დირექტორმა კიტელის ჯიბიდან ჯერ პაპიროსის ამოღებით, შემდეგ ასანთის მოძიებით, ასანთის ღერის კოლოფზე გაკვრებითა და პაპიროსის მოკიდებით გააგრძელა პასუხგაუცემლობა. მერე ღრმა ნაფაზის ხაზგასმულად მშვიდი შეკვამლებით და პროლეტარული უპირატესობის გამჭოლი მზერით არავერბალურად გამოხატა აზრი, რომ პასუხი მის გამონათქვამზე სიტყვებით არ გამოითქმებოდა.

მეორე დღესვე მაზრის პოლიტიკურ საბჭოში განიხილებოდა იოსების კონტრრევოლუციური შეხედულებების სკოლის მასწავლებლის საქმიანობასთან შეუთავსებლობის საკითხი. სკოლის დირექტორის მოხსენების შემდეგ მაზრის საბჭოს მიერ მიღებული დასკვნით რევოლუციური სოციალიზმისთვის მავნებლური შეხედულებების მქონე იოსები პედაგოგიკური საქმიანობისგან უნდა ჩამოეშორებინათ. საბჭოში გაჩნდა აზრი, რომ სკოლაში იოსების ნაცვლად მასწავლებლად დროებით მაზრის საბჭოს ბუღალტერიიდან რომელიმე მოხელე გაეშვათ.

– იოსები ისტორიას ასწავლიდა, – განაცხადა საგანმანათლებლო საკითხების ზუსტი გაცნობიერებისთვის სკოლის დირექტორმა.

– ისტორიას ახლა ჩვენ ვქმნით, – უპასუხა მას საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა.

– რა თქმა უნდა, ჩვენ ვქმნით, – მაშინვე დაეთანხმა სკოლის დირექტორი.

– რაც სწავლას შეეხება, უმჯობესია, ჭკუა ვასწავლოთ, ვისაც ჭკუის სწავლება ესაჭიროება, – თქვა ისევ საბჭოს წევრმა.

– რა თქმა უნდა, – ისევ დაეთანხმა სკოლის დირექტორი, – ჭკუის სწავლა ისევ ჩვენს ისტორიას მოხმარდება.

– ჭკუის სწავლება დღევანდელი დღის საჭიროებაა, ისტორიას კი ისე დაწერენ, როგორც დაგვჭირდება! – განაცხადა ისევ საბჭოს წევრმა კატეგორიული გამომეტყველებით ჭკუის სწავლების საჭიროებაზე.

იოსები არ დაუპატიმრებიათ, რადგან მოულოდნელად მაზრის საბჭოს ბუღალტერიის რამდენიმე მოხელის დაპატიმრება გახდა საჭირო, თან მათი სახლების დაშლა და მაზრის საბჭოსთვის თავლის აშენებაც დაიგეგმა. ამიტომ იოსების განსჯის და მისი ეგზისტენციალური საკითხი მოკლე დროით გადაიდო.

იოსები წერილს კითხულობდა:
*(ფრაგმენტები წერილიდან)*

ევროპამ თვალი გაახილა. როგორ წარმოგიდგენია, ღმერთი ქმნის მილიარდობით ადამიანს იმისთვის, რათა საბოლოოდ საკუთარ სამსჯავროზე დააყენოს და გაასამართლოს?! რა სარგებელს მიიღებდნენ ამით ან ღმერთი ან ადამიანები?! ევროპაში დაინახეს, რომ არც რელიგიური და არც პოლიტიკური მესიები არ არიან ჭეშმარიტების გზამკვლევები, მაგრამ არ უარჰყოფენ, რომ ისინი სურვილს გიღვივებენ, უფრო მონდომებით ეძებო ჭეშმარიტება. და მხოლოდ ისინი, ვინც ამ სურვილს აჰყვებიან, იპოვიან რეალურ ჭეშმარიტებებს, ან ისინიც ვერ იპოვიან...

ვიცი, რომ საზღვრის გადაკვეთა ბოლშევიკების მხრიდან თანდათან მკაცრად იზღუდება, მაგრამ არ ვკარგავ იმედს... არანაირ იმედს არ ვკარგავ"...

იოსები ბუხრის ახლოს სავარძელში იჯდა ხოლმე და წითელ იზაბელას სვამდა. საღამოობით გზაზე გადიოდა, შემხვედრებს შლაპის მოხდით ესალმებოდა და მათ თავშეკავებულ საპასუხო მისალმებებს გაურკვეველ მოსალოდნელობებთან აკავშირებდა. შემხვედრები იოსებზე ფიქრს აგრძელებდნენ, მიაჩნდათ, რომ დანაშაული მას არ ჰქონია, მაგრამ უნდა წასულიყო, ან ბოლშევიკები ყველაფერს აპატიებდნენ, ახოებში მხარზე ჩაფას თუ გაიდებდა.

იოსები რომ დაბრუნდა, უკვე ბნელოდა. ქალი ფანჯარასთან იდგა, ლამპა აენთო, ვახშამი მოემზადებინა და ჭურჭელი მაგიდაზე გაენყო... იოსებმა ღვინის ბოთლს საცობი ამოაძრო.

– მაზრაში ამბობენ, რომ საბჭოს წევრები ცუდი თვალით გიყურებენ, – უთხრა ქალმა.

იოსებმა ღვინო დაისხა და სავარძელში ჩაჯდა.

– ყველა ფიქრობს, რომ უნდა წავიდე. აქ დაგაპატიმრებენ!

– ყველგან ბოლშევიკები არიან, სად უნდა წავიდე?!

– ღმერთია ყველგან, ღმერთზე უნდა იფიქრო, – უთხრა ქალმა, – თუ ბოლშევიკებს არ გაეცლები, ღმერთზე უნდა იფიქრო!

ღია ფანჯრიდან ოთახში პლანტაციის სუნი იჭრებოდა. მაგიდაზე, ლამპის გარშემო, მწერები დაღოღავდნენ და ღამის პეპლები დაფრენდნენ.

– ვფიქრობ, – უპასუხა იოსებმა.

– შენ ბოლშევიკებზე ფიქრობ, – უთხრა ქალმა, ბოლშევიკები კი შენზე ფიქრობენ! ღმერთზე რომ ფიქრობდე, იქნებ ღმერთმაც იფიქროს შენზე!

იოსებმა მაგიდაზე მღოღავ მწერს თვალი გააყოლა, მერე ქალს ახედა, რომელიც მაშინვე შეკრთა გამბედაობის გამოვლინების გამო მობოდიშების ნიშნად...

– შეიძლება იფიქროს! უთხრა იოსებმა და ღვინო მოსვა, – მაგრამ როცა ღმერთზე ფიქრობ, ბოლშევიკები უფრო მეტად ფიქრობენ შენზე, და როცა შენზე ბოლშევიკები ფიქრობენ, ღმერთი უძლურია!

მთელი მაზრა ალაპარაკდა, რომ იოსები საბჭოში დაიბარეს...

ამბობდნენ, დასაპატიმრებლად ჯერ არავინ დაუბარებიათო... რომ სოცდეკელი ოფიცრები შს სახალხო კომისარიატის შამხანიანმა სალდათებმა ღამით სახლში დააპატიმრეს, დეკანოზი კი ამბიონიდან ტყავის ქურთუკიანმა შინსახკომელებმა გადმოათრიეს.

სათათბირო დარბაზში საბჭოს ხუთი წევრი იმყოფებოდა. იოსები რომ შევიდა, მდივანმა ქალმა მიუთითა, სად უნდა დამდგარიყო. იოსებმა შლაპა მოიხადა და თავი დაუკრა დამხვდურთ.

– საბჭომ იმსჯელა შენი კონტრრევოლუციური შეხედულებების შესახებ, – უთხრა იოსებს საბჭოს თავმჯდომარემ, – იმსჯელა და გადაწყვიტა, გაპატიოს ეს შეხედულებები, რადგან რევოლუციისთვის უფრო მეტად საჭირო ხარ, ვიდრე საშიში და რევოლუციურ მოთხოვნილებებს ესაჭიროები, რომ მას ემსახურო!

– დიახ, გაპატიეთ, რათა ახალი რევოლუციური თაობა აღზარდოთ! – გამოთქვეს აზრი საბჭოს სხვა წარმომადგენლებმაც...

ღია ფანჯრის რაფაზე წვიმის წვეთები ხმაურობდა. ლამპის გარშემო ღამის პეპლები წრიალებდნენ. იოსებმა მწერები დახოცა. მაგიდაზე ფურცელი და საწერი კალამი გაამზადა.

*(ფრაგმენტები წერილიდან)*

ბოლშევიკებს შეუძლიათ დაგაპატიმრონ და ისიც შეუძლიათ, არ დაგაპატიმრონ, ეს მათთვის სულ ერთი გახდა. დასაპატიმრებელი ადამიანისთვის კი – ერთი და იგივე. დაპატიმრებულებიც და დაუპატიმრებლებიც ტყვეობაში იმყოფებიან... ცხოვრება რთულია დაპატიმრებულებისთვის, ვიდრე დაუპატიმრებლებისთვის, მაგრამ დაუპატიმრებლები ბევრად ადრე კვდებიან მორალურად...

ბოლშევიკებს არა მხოლოდ სიყვარულის, სიცოცხლის წაგლეჯაც უნდათ. ეს მათი ფილოსოფიაა, თუ სიყვარულს ვერ გგლეჯენ, გართმევენ სიცოცხლეს და ჰგონიათ, რომ ამით სიყვარულს დაგათმობინებენ...

გაზაფხული მოდიოდა, გზისპირებზე ჭინჭარი, ყვავყვილა და მსგავსი ბალახეული მოზრდილიყო, როცა ხმა გავრცელდა, ტყედგავარდნილი აჭარელი თათარი საბჭოს დაეცა და მარტოხელამ რევოლვერით საბჭოს წევრი ოთხ შამხანიან ბოლშევიკთან ერთად ჩააძაღლაო. მერე გაიძახოდა, ამ რევოლვერით ნაგანიანი საბჭოს წევრი ოთხ ბოლშევიკთან ერთად ჩავაძაღლე და ამ რევოლვერით დასაღვრელი სისხლი კიდევ დაიღვრებაო...

ამ ამბის შემდეგ შს სახალხო კომისარიატის და შინსახკომის წარმომადგენლები სულმოუთქმელად მანამდე ცდილობდნენ კონტრრევოლუციონერის ადგილსამყოფელის დადგენას, სანამ იარაღი ისევ გავარდებოდა და ტყის პირას მკვდარ აჭარელს იპოვიდნენ. სროლაზე ყანებიდან გლეხები და მოსახლეები გამოიშალნენ და გვამს შემოეხვივნენ. აჭარელის ყაბალახი საფეთქლიდან გადმოშხეფებულ სისხლს დაესველებინა და რევოლვერიც იქვე ეგდო...

საბჭოს წევრები, შს სახალხო კომისარიატის და შინსახკომის წარმომადგენლები ცხენებით მოვიდნენ, ჩამოქვეითდნენ, აჭარელს ყაბალახი შემოახიეს, დახედეს და თვალები მზერა უსიცოცხლო თვალებში გაუყარეს...

გვამის თვითმხილველებმა თქვეს, ეტყობა, აჭარელმა ჩახმახი შეაყენა, ნაგანი საფეთქელზე მიიდო და სასხლეტს გამოკრაო...

– შესაძლებელია, ტყეში გავარდნილობას ვერ გაუძლო და ცხოვრებას დანებდა, – ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

– უფრო შესაძლებელია, ბოლშევიკებს ვეღარ გაუძლო, – ჩუმად გადაულაპარაკა მას მეორე თვითმხილველმა... ერთ-ერთმა ბოლშევიკმა ნაგანი შეათვალიერა, ცარიელი მასრის ნაცვლად ახალი ჩასვა და იარაღი ქამარში გაირჭო. შს სახალხო კომისარიატის და შინსახკომის წარმომადგენლებმა თვითმხილველებს თვალი თვალში გაუყარეს, მაგრამ თვითმხილველებმა თავები

დახარეს. აჭარელი აქვე, ტყის პირას ჩამარხეთო, თქვეს საბჭოს წევრებმა. ცხენები აფრუტუნდნენ, გლეხები გაუნძრევლად იდგნენ. საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა იქვე მდგომ გლეხს ნიჩაბი გამოართვა და სანიმუშოდ რამდენიმე ბელტი თვითონვე ამოთხარა. გლეხები ნიჩბებს მაინც არ ეკარებოდნენ.

– ადამიანი სასაფლაოზე უნდა დაიმარხოსო! – ამბობდნენ ისინი.

– ის სასაფლაოს ღირსი არ არის, იგი ჩვენ რევოლუციას დაუპირისპირდა! – ყვიროდა საბჭოს ერთ-ერთი წევრი...

– ახლავე, აჭარელი აქ, ტყის პირას ჩაფალითო", – მოითხოვდნენ საბჭოს წევრები, გლეხები კი ნიჩბებს არ ეკარებოდნენ.

– როგორ დაეასაფლავებთ აჭარელს ჩვენს სასაფლაოზე, – ჩაილაპარაკა იოსებმა, – მუსლიმისთვის ხომ ჩვენი სასაფლაოც ტყისპირიაო.

გლეხებმა იოსების სიტყვების შემდეგ ერთმანეთს გადახედეს და თაედახრილებმა ნიჩბები მოიმარჯვეს...

იმავე საღამოს, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა იოსების ღობესთან ცხენი შეაჩერა, ჩამოქვეითდა, ალვირი ტრიფოლიატის ტოტს გამოაბა, მერე სახლს მიუახლოვდა და კარზე მიაკაკუნა. იოსებმა კარი გააღო. ლამპით განათებულ მაგიდასთან დასხდნენ. საბჭოს წევრმა პაპიროსი ამოიღო, ჯერ იოსებს შესთავაზა, შეთავაზებაზე უარის მიღების შემდეგ თავად გააბოლა და იოსებს მადლობა გადაუხადა.

– რისთვის? – ჰკითხა იოსებმა.

– იმისთვის, რომ აჭარელის ტყის პირას დამარხვაში დაგვეხმარე, – უპასუხა საბჭოს წევრმა.

– მე სულაც არ მინდოდა, რომ აჭარელი ტყის პირას დაგეკრძალათ!

– შენ არც ის გინდოდა, აჭარელი ჩვენს სასაფლაოზე რომ დაგვემარხა, – თქვა საბჭოს წევრმა... – სინამდვილეში, ვიცით, რასაც გულისხმობდი, რასაც ახლა ფიქრობ, იმასაც ვხვდები, მაგრამ მადლობის თქმა არ გვენანება, რადგან სამსახური მაინც ჩვენ გაგვიწიე.

იოსებმა თავი დახარა და ლამპის ძირას მლოლავ მწერებს დააცქერდა, საბჭოს წევრმა პაპიროსი გააბოლა, ტყიდან ღამის ფრინველის ხმა გაისმა. ლამპის სინათლის გარშემო ღამის პეპლები წრიალებდნენ. საბჭოს წევრმა ხელი მოიქნია და ერთ-ერთი პეპელა მაგიდას დაასრისა.

– პეპლები ისედაც ხანმოკლე დროით ცხოვრობენ – თქვა საბჭოს წევრმა, – ისევე, როგორც ჩვენი მტრები ცხოვრობენ ხანმოკლე ცხოვრებით! პაპიროსი კიდევ ერთხელ გააბოლა და ოთახიდან გავიდა. მერე ღობესთან ცხენმა დაიფრუტუნა და ჩორთით გაუყვა ტრიფოლიატის ბუჩქებს.

იოსებმა ფანჯარა გამოაღო. ოთახში მწერების რაოდენობა თანდათან მატულობდა...

*(ფრაგმენტები წერილიდან)*

ტყვიაც და მადლობაც სიკვდილის ტოლფასია, როცა ისინი ბოლშევიკებს ეკუთვნის... ბოლშევიკებს მიწა ყოველთვის შეუძლიათ მოგაყარონ და შეუძლიათ, მიწის მოყრის გარეშეც დაგმარხონ...

თუ გინდა, დახუჭავ თვალებს და ეს ყველაფერი გაქრება, გაქრება მათი მტარვალი სისასტიკე! და, თან თვალებს როცა გინდა, მაშინ დახუჭავ, მაგრამ ბოლშევიკებსაც როცა უნდათ, მაშინ გაგაქრობენ! შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ თითქმის თანაბარი ძალები გვაქვს... მაგრამ ადამიანები სიყვარულისთვის საჭირო სიცოცხლეს ვკარგავთ, ბოლშევიკები კი არაფერს კარგავენ, რადგან სიყვარული არ გააჩნიათ...

მეორე დილით სკოლის შენობასთან ხალხი შეაქუჩეს. ბოლშევიკები ხალხის რიგებში ამბობდნენ, აჭარელი ჩვენ ჩავაძაღლეთო. საბჭოს ერთ-ერთი წევრი ტრიბუნაზე ავიდა და გაიძახოდა, – ტყუილია, რომ აჭარელმა ჩახმახი თვითონ შეაყენა და ნაგანი საფეთქელში დაიხალა; ტყუილია, რომ მან დახოცა ჩვენი შაშხანიანი რევოლუციონერები! მეორე ბოლშევიკი გაჰყვიროდა, – დანარჩენების სასაფლაოც ჩვენი ტყისპირები იქნებაო.

იოსები სავარძელში იჯდა და იზაბელას სვამდა. წვიმამ გადაიღო. იოსებს მონოკლი გაახსენდა და კარადის უჯრაში იპოვა. ლინზა გააპრიალა და თვალში ჩაიდგა. ჯერ ოთახი შეათვალიერა, მერე ფანჯარასთან მივიდა და პლანტაციებს გახედა. გახუნებული ლინზიდან ყველაფერი ბუნდოვნად ჩანდა.

– არა უშავს, – გაიფიქრა მან, – ეს ქვეყანა ისედაც ბუნდოვანია...

მან ისევ იზაბელა მოსვა, შლაპა დაიხურა და კარის გახურვას აპირებდა, შინამოსამსახურე რომ შემოესწრო.

– ბოლშევიკები ყველას გასაგონად მადლობას გიცხადებენ, – უთხრა მან.

– ვიცი, – უპასუხა იოსებმა.

– ღმერთზე უნდა იფიქრო, – უთხრა ქალმა...

იოსები შემხვედრებს ჩვეულებისამებრ შლაპის მოხდით ესალმებოდა. მასაც სალმითვე პასუხობდნენ. ქალი დიდხანს უყურებდა ქუჩის სიღრმეში მიმავალ იოსებს.

ქალს კარადის კუთხეში მიყუდებული ფოტოგრაფია ახსენდებოდა – თეთრკაბიანი ქალისა და იოსების.

საბჭოსთან ხალხი შექუჩებულიყო. კედელზე პლაკატი გაეჭიმათ. ნიავი უბერავდა და ნაბლის ხეები შრიალებდა. გუბიდან მაწანწალა ძაღლი წყალს სვამდა. საბჭოს წევრები პაპიროსს აბოლებდნენ.

გაზაფხული მოდიოდა. გზაზე ჭინჭარი და ყვავყვილა ამოზრდილიყო. იოსები ნელ-ნელა მიაბიჯებდა და სიძველისგან დანისლული მონოკლიდან გზას გაჰყურებდა.

საბჭოს წევრები ამაყად მოჩანდნენ შენობაზე გადაჭიმული პლაკატის წინ. იოსებმა შეუჩერებლად ჩაიარა, უნდოდა უკან აღარ მოეხედა, მაგრამ შეჩერდა, პლაკატისკენ შებრუნდა და მონოკლი მოიხსნა.

„პეპლები და ჩვენი მტრები ცხოვრობენ ყველაზე ხანმოკლე ცხოვრებით" – ამოიკითხა პლაკატზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალის ჩაქოლვა

## (ნაწყვეტი რომანიდან „ნიშანი“)

*ბექა ახალაია*

ღუმელში ახლადდანთებულ ცეცხლს ოთახის გათბობა ვერ მოესწრო, მხრებზე შალშემოხვეული თეჯი ბაწაში ფანჯარასთან იდგა და კლდეების თავზე შენითლებულ ალმოსავლეთის ცას გასცქეროდა. მიცვალებულთა განთიადი გათენებულიყო, დაჩის ხელში წყალგარეული ღვინო (რადგან ღვინო ცოტა ჰქონდათ) ეჭირა და სასაფლაოს გალავნის გასწვრივ ასხამდა, ხანდახან გაჩერდებოდა და მოიყუდებდა. თეჯი უყურებდა ამ შუახნის, პატარა კაცს, რომელსაც მისი ქმარი ერქვა და საოცარ ზიზღს გრძნობდა მისდამი. როგორც წესი, ეცოდებოდა ხოლმე, მაგრამ დღეს ზიზღის დღე იყო და საერთოდაც, ორსულობის მერე ეს ზიზღის გრძნობა უფრო და უფრო ხშირი და ძლიერი ხდებოდა. ღმერთს ყოველდღე მადლობას სწირავდა იმის გამო, რომ მის ოდნავ წამოზრდილ მუცელში მყოფ ნაყოფთან ამ კაცს არაფერი ჰქონდა საერთო. ქმარს ატყუებდა, გავსუქდი და მუცელი მაგიტომ წამოთმეზარდაო და მასაც სჯეროდა, მაგრამ სხვას ვერ მოატყუებდა და, როცა სადმე მიდიოდა, წელზე შალს მჭიდროდ შემოიხვევდა ხოლმე, რომ მუცელი შენეულიყო.

დაჩიმ რიტუალი დაასრულა და სანამ შინ შემოვიდოდა, დერეფანში, ხის იატაკის კიდეზე ტალახიანი ჩექმები გაიწმინდა.

– არ იქნა და არ მოვიდა ზაფხული. არაუშავს, მალე დათბება და ცეცხლის დანთება აღარ მოგვიწევს! – ცარიელი დოქი იატაკზე დადგა, ხელების ფშვნეტით ღუმელს შეშის ნაპობი შეუკეთა და გაშლილ საუზმეს მიუჯდა.

– მოდი, დაჯექი, არ უნდა ჭამო?!

– ახლა არ მინდა, მერე შევჭამ! – თეჯიმ შალი მჭიდროდ შემოიხვია მხარზე. აღიზიანებდა ყურება, როგორ ილუკმებოდა მისი ქმარი, ამიტომ მასთან იშვიათად ჭამდა ხოლმე.

– გრცხვენია ჩემთან ჭამის, იმიტომ, რომ ბევრს ჭამ, მაგიტომაც გასუქდი! – ქირქილებდა დაჩი ჩარდიში და პიტნით გადაზელილ ხაჭოში მჭადის ნატეხს აწობდა.

– წავალ, ძროხას მოვწველი! – თქვა თეჯიმ და გარეთ გავიდა, დერეფნის კედელზე მიჭედებული ლურსმნიდან თუნუქის სათლი ჩამოხსნა, ცოტა წყალი ჩაასხა და ბოსლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა.

ბოსელში ბნელოდა, შუაბოძზე ჩამოკიდებული სანათი აანთო და ხბოს დაუწყო ძებნა. ხბო კუთხეში, პატარა შემოლობილში, ნახევრად დამპალ ფიცრებზე იდგა. თეჯიმ ძროხას ჯიქანი მობანა და შემოღობილის კარი გამოაღო, ხბო გამოვარდა და ჯიქანს ეცა. თეჯი ხბოს ღიმილით უყურებდა, ამ ბოლო დროს ყველაფერი პატარა შეუყვარდა, არათუ სულიერი, ნივთებიც კი. ამას წინათ სარდაფში რაღაცას ეძებდა და გატეხილ ორშიმოში წრუწუნები ნახა, წრიპინებდნენ და უთმო, ვარდისფერი სხეულებით ერთმანეთს ეკვროდნენ. სხვა დროს კივილით გავარდებოდა და ქმარს სადმე გადააყრევინებდა, მაგრამ ახლა ისე შეეცოდა, რომ ლამის იყო, ხელში აეყვანა ისინი და მოფერებოდა. ხელი არ უხლია, სარდაფიდან უკან გაძვრა, სულ გადაავიწყდა, რას ეძებდა და კიბეზე მჯდარი, დიდხანს ტიროდა, ოღონდ ვერ მიხვდა, ეს ბედნიერების, თუ მოსალოდნელი უბედურების წინასწარ გაცნობიერების ცრემლები იყო. მანამ ტიროდა, სანამ ქმარი არ წამოადგა თავზე.

– რა მოგივიდა, ცუდად ხარ?! – ეკითხებოდა შეშინებული დაჩი.

თეჯი უარის ნიშნად თავს აქნევდა და უფრო და უფრო უმატებდა ტირილს, ვერაფრით ჩერდებოდა. დაჩიმ წყალი მოურბენინა, მაგრამ სად ჰქონდა წყლის დალევის თავი.

– რამე გტკივა, თუ ვინმემ გაწყენინა?! – თავზე და მხრებზე ეფერებოდა დაჩი და ამან მთლად ბოლო მოუღო.

– შემეშვი, თავი დამანებე! – მთელი ძალით უკივლა ქმარს და ადგომა სცადა, მაგრამ ვერ ადგა და მოაჯირზე მიიყუჟა.

– წავალ, დედაშენს მოვიყვან, ახლავე გავიქცევი, რამეს გიშველის! – თქვა ბოლოს დაჩიმ, როცა გაოგნებისგან გამოერკვა და სანამ თეჯი რამეს ეტყოდა, კარისკენ გაიქცა. ცრემლით დაბინდული თვალებიდან უყურებდა, როგორ მირბოდა პატარა ბიჭივით მისი ქმარი და სლუკუნებდა: „დაბრუნდი, კარგად ვარ, დაბრუნდიო.“

თეჯიმ თავს ძალა დაატანა, დამშვიდდა, საწოლ ოთახში ავიდა და მხარზე შემოხვეული შალი ტანსაცმლის ქვეშ, მუცელზე მჭიდროდ შემოიხვია, ზემოდან სქელი ხალათი მოიცვა და გულამოვარდნილ დაჩის, ქეთევანს და

თირთეს (მამაჩემმა დაინახა, როგორ ჩაირბინეს ორღობეში), მინაშენის დერეფნის კიდეზე ჩამომჯდარი დახვდა.

– არაფერია, ფეხსაცმელში თაგვი ჩამიძვრა და მაგან შემაშინა, ყველაფერი რიგზეა! – დაამშვიდა შეშინებული დედა.

– ჯანდაბა შენს თავს, გამიხეთქე გული! – თქვა ქეთევანმა, მის გვერდით ჩამოჯდა და შვებით ამოისუნთქა.

– კარგი, დაწყნარდი. ხომ გახსოვს, თაგვების ყოველთვის ეშინოდა! – დედის წინ დაიხარა თირთე და კალთაში ჩაწყობილ ხელებზე ხელები მოკიდა.

– ამაზე დაგვანიოკე?! საქმესაც მომაცდინე. – პაპიროსს მოუკიდა დაჩიმ.

– სად გარბოდი მერე, ვინ გთხოვა?! – ახედა ქმარს თეჯიმ.

– რომ წავალ, მერე იჩხუბეთ თუ გინდათ, მომასვენეთ ორი წუთით. – თქვა ქეთევანმა და თავშლის წვერით ოფლიანი შუბლი და საფეთქლები მოიწმინდა. დაჩიმ ცოტა ხანს ცოლს უყურა, მერე კი თავისი სახელოსნოსკენ გაემართა, შუა გზამდე არ იყო მისული, როცა ისევ უკან დაბრუნდა.

– მე ხომ ვცადე შენი დამშვიდება, როგორც შემეძლო?! – ჰკითხა ცოლს და პასუხს არ დალოდებია, გატრიალდა და წავიდა.

თეჯის გაახსენდა, როგორ ეფერებოდა ქმარი თავზე და მხრებზე, თვითონ კი როგორ უკივლა. ახლა საკუთარი თავი შესძულდა, ცრემლები მოაწვა და ლამის მეორედ აუტყდა გაუჩერებელი ტირილი, მაგრამ დიდი ძალისხმევის ფასად თავი შეიკავა.

– არანაირი თაგვი არ ყოფილა, არა?! – ჰკითხა თირთემ დას, როცა ქეთევანი წავიდა.

– თაგვი არა – ნრუწუნები, მაგათ როგორ უნდა შევეშინებინე, უბრალოდ. ძალიან შემეცოდნენ.

– რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე თაგვები შეგეცოდებოდა. მერე მაგიტომ იტირე?!

– ხო, ისეთი დაუცველები იყვნენ. გინდა, განახო?! აქვე არიან, სარდაფში.

– შემეშვი, რა. მეტი საქმე არ მაქვს, თაგვებს ვეფერო და მერე სიბრალულის ცრემლები ვღვარო!

თეჯის გაეცინა და თირთეს მხარზე თავი ჩამოდო.

– შენ დასვენებული უნდა იყო ემოციურად და ფიზიკურად, მთელი დღე წყლით და ნაკელით სავსე ვედროებს რომ დაათრევ!

– შენ რა ხუთი შვილის დედასავით მელაპარაკები?! – გალიმებულმა შეხედა თეჯიმ უმცროს დას. – ხომ არ იცულლუტე სადმე და მე არ ვიცი?! ჰა?! იქნებ პატარა, დიაშვილებიც მყავს?!

– ჩუ, ხმას დაუწიე, სირცხვილია! – პირზე ხელი ააფარა თირთემ და ორღობეში ჩავლილ მეზობელს გააყოლა თვალი.

თეჯის ორსულობის ამბავი მარტო თირთემ და ბედისამ იცოდნენ. მამიდა ბაწაშს არც გაკვირვებია ეს ამბავი, ან რა იყო გასაკვირი ქმრიანი ქალის დაორსულებაში, მაგრამ მან იცოდა, რომ წლები იყო, რაც თეჯი ქმართან არ წოლილა. ამის მიუხედავად, დაჩი მასთან გაყრას არ აპირებდა, ყველაფერზე იყო თანახმა, ოღონდ სხვების დასანახად ცოლ-ქმარი რქმეოდათ.

– სულელი კაცი, სულელი კაცი! – ეუბნებოდა ხოლმე მამიდა ბაწაში თეჯის. – ძალიან უყვარხარ და ყველაფერზეა წამსვლელი. ებღაუჭება ხელში შემთხვევით ჩავარდნილ მარგალიტს. ბავშვის ამბავი იცის, ვითომ?!

– არა, საიდან უნდა იცოდეს.

– იმ ცხონებულმა თუ იცოდა?!

– არც მან იცოდა! – დის მაგივრად პასუხობდა მამიდას თირთე.

– კი მაგრამ, რატომ არ უთხარი?! – ეკითხებოდა ბედისა ძმისშვილს.

– არც მე ვიცოდი, მისი სიკვდილის მერე მივხვდი. – თავჩაღუნული იჯდა თეჯი.

– ორი თვე თვიური არ გქონია და ვერ მიხვდი, რომ ორსულად იყავი?! ტვინი არ გაქვს?!

– მას რომ სცოდნოდა, იქნებ ეს არ მომხდარიყო! – ცრემლებს ვერ იკავებდა თეჯი.

– გამიგონია, რომ შვილის სიყვარული ბევრ რამეს შეაძლებინებს ადამიანს, მაგრამ არა მგონია, ტყვიის ასხლეტის უნარი მიანიჭოს. თავს ნუ იდანაშაულებ და ეს ჭამე. – კალთაში ალუჩას უყრიდა ბედისა.

დიდი ხანი იყო, რაც თეჯის და ბექას გაქცევა და საცხოვრებლად ქალაქში გადასვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი, წასვლას ნაალდგომევს გეგმავდნენ. თეჯი თავს იმიტომ იდანაშაულებდა, რომ ბექას ორსულობის შესახებ რომ სცოდნოდა, იქნებ ადრე გადაეწყვიტა წასვლა.

– არ დაგელაპარაკებია?! ქალაქში, ცოტა ხნით, შენთან ვაპირებდით დარჩენას! – უთხრა თეჯიმ მამაჩემს გასვენების დღეს. მამაჩემიც თავს დამნაშავედ გრძნობდა, რადგან ორჯერ მოერიდა ბავშვობის მეგობრის ნახვას: პირველად მაშინ, როცა მდინარეზე ჩადიოდა და მეორედ აღდგომის დღეს, როცა ფანჯრიდან უყურებდა, როგორ იდგა ეზოში ბებიაჩემის საფლავიდან გამოსული ბექა ლაზაში და სახლისკენ იყურებოდა, ვერ გადაეწყვიტა, დაეძახა თუ არა. მამაჩემი რომ გასულიყო, იქნებ ახმედის საფლავზე წასვლაც გადაეფიქრებინა ბექას, ან ერთად წასულიყვნენ და არ მოეკლათ, თუმცა შეიძლებოდა ყველაფერი სხვანაირადაც მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, მამაჩემს თავის

დადანაშაულების მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. ყველაფერი კი ბავშვობაში, გაფუჭებული ძუკნა ძაღლით დაიწყო, რომელიც ბედისა ბაწაშმა გაატანა ბავშვებს. მამაჩემი დღემდე ვერ ხვდებოდა, რატომ გააკეთა ეს ბედისამ, მას შეეძლო, ვაყა დადემისთვის ბოთლი არაყი მიეცა და ისიც ერთი გასროლით უყოყმანოდ გააფრთხობინებდა სულს იმ ძაღლს, მაგრამ ასე არ მოქცეულა. მამაჩემს, ბექას და ახმედს, რომლებიც მდინარის პირას, გვიმროვანში, შურდულებით ნადირობდნენ გველებზე და ხვლიკებზე, თეჯი და თირთე მიუგზავნა.

– ხვლიკების ხოცვას ძაღლის მოკვლა არ ჯობია?! – ჰკითხა მათ ბედისამ.

– ჯობია! – ერთხმად უთხრეს ბექამ და ახმედმა, ბედისამ აივნის ბოძებს შორის გასაშრობად გაბმული ხურმის ჩირები ჩამოგლიჯა და ახმედს და ბექას მისცა, მამაჩემს ხმა არ ამოუღია, უბრალოდ ხელი გაიწოდა.

– ჯობია, თუ არა?! – ბედისამ მამაჩემისთვის განვდილი ჩირები ისევ უკან გასწია. – შენ თუ არ გინდა, ესენი წაელენ!

– მინდა! – ხმადაბლა თქვა მამაჩემმა.

– მაშინ მიპასუხე, ჯობია თუ არა?! – იკივლა უცებ ბედისა ბაწაშმა, ბავშვებმა ჩირების ჭამა შეწყვიტეს.

– ვიხუმრე, რა მოგივიდათ! – ღიმილით თქვა ბედისამ, რადგან მიხვდა, რომ ბავშვები შეაშინა, მერე მამაჩემს ჩირი გაუწოდა და თავზე ხელი გადაუსვა.

ბედისა ხის ტახტზე ჩამოჯდა, აივნის კედელს მიეყრდნო და ცოტა ხანს ბიჭებს უყურებდა, უცნაური სახე ჰქონდა, მხოლოდ თვალებით იღიმებოდა, ეს შეიძლება სულაც ბავშვური წარმოსახვის ნაყოფი იყო, მაგრამ მამაჩემს დღემდე ახსოვდა. ახმედს ჩირები ჯიბეში ჩაეყარა, შურდული ყელზე ეკიდა და აივნის მოაჯირზე იჯდა, მამაჩემს და ბექას კი შურდულები ქამარში ჰქონდათ გარჭობილი.

– გამომყევით! – თქვა ბედისამ და კიბეზე ჩავიდა, ბავშვებიც მიჰყვნენ. სახლის უკანა ბოკონზე ძაღლი იყო მიბმული, შიგნით, მშრალზე იწვა და თავი თათებზე ედო, თითქოს წინასწარ გრძნობდა, თუ რა საშინელებაც ელოდა. თავი არ აუწევია, ისე ამოხედა წირპლიანი, მილულული თვალებით. თეჯი და თირთე თავიდან ვერც ხვდებოდნენ, რომელ ძაღლზე, ან საერთოდ, რაზე იყო საუბარი, რადგან ბედისასგან ასეთ უცნაურ საუბრებს შეჩვეულები იყვნენ, მაგრამ ახლა რაღაცა იეჭვეს.

– დაბმული რატომ არის?! – იკითხა თეჯიმ, რადგან მამიდამისი ძაღლს არასდროს აბამდა.

– იმიტომ, რომ კვერცხებს და წიწილებს ჭამს!

– ჩვენ წავიყვანთ სახლში, ჩვენთან იქნება! – თქვა თირთემ და ძაღლისკენ გაიწია.

– ხელი არ ახლო! – უბრძანა მამიდა ბაწაშმა. – თქვენთან რა, წიწილებს და კვერცხებს არ შეჭამს?!

– გადავაჩვევთ, აუცილებლად გადავაჩვევთ! – მუდარაჩამდგარი თვალებით შეხედეს დებმა.

– ძაღლს ერთხელ თუ წაცდება პირი წიწილის ხორცისკენ, მერე ველარ გადაეჩვევა. ვერ გაგატანთ, დედათქვენის ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა.

– დაბმული გვეყოლება, წიწილებს და კვერცხებს ვერ მიეკარება!

– არა-მეთქი, მოვრჩეთ ამაზე! წაიყვანეთ და მოკალით! – მიუბრუნდა ბედისა ბიჭებს, რომლებიც ხმაამოუღებლად იდგნენ, რადგან არც მათ ეგონათ, რომ წელანდელი საუბარი სიმართლე იყო და მართლა მოუწევდათ ძაღლის მოკვლა. – რას დაგიღიათ პირი, თოკი ჩახსენით ბოძს და წადით.

ახმედმა ბოძს თოკი ჩახსნა და ოდნავ მოქაჩა, ძაღლი მორჩილად ადგა და უკან აედევნა, ბიჭებიც გაჰყვნენ.

– ჩვენც წავიდეთ?! – იკითხა თეჯიმ.

– აუცილებლად. თუ მომატყუეს და არ მოკლეს, უნდა მითხრათ! – ბედისამ წინსაფრის ჯიბიდან ჩირი ამოიღო და ძმისშვილებს მისცა.

დაღმართზე უხმოდ იარეს, არავის ხმა არ ამოუღია. როცა გაივაკეს, თეჯიმ უკან მიიხედა, ზევით, ჭიშკართან, ბედისა იდგა და მათ უყურებდა. ბეწვის ხიდზე რომ გავიდნენ, ძაღლი შეჩერდა, ახმედმა მოქაჩა, მაგრამ ძაღლი ადგილიდან არ იძვროდა, ხიდის ამოტეხილი ფიცრიდან წვიმისგან მოდიდებულ მდინარეს ჩაჰყურებდა, თითქოს ემშვიდობებოდა, მერე ხმადაბლა ჩაჰყეფა და გზა გააგრძელა. გაჩერებულ ახმედს ჩაუარა და ახლა თვითონ მოქაჩა. ამჯერად ის მიდიოდა წინ და ბავშვები უკან მიჰყვებოდნენ.

ხიდი რომ გადაიარეს, ძაღლმა მარცხნივ გადაუხვია და მდინარის გასწვრივ, ფლატეს გაუყვა. ბავშვებიც მიჰყვებოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ და რა უნდა ექნათ. კარგა ხანს იარეს. უცებ მამაჩემმა ბალახებიდან ოვალური, თეთრი კენჭი აიღო, შურდულის ტყავში ჩადო, მაგრად მოჭიმა და წინ მიმავალ ძაღლს ესროლა. ძაღლს ქვა უკანა ფეხში მოხვდა და წკავწკავი დაიწყო, თან ფეხი აწეული ჰქონდა და წრეზე დადიოდა. ახლა ბექამ აიღო კენჭი, ესროლა და ფერდში მოახვედრა, ძაღლმა უფრო უმატა წკავწკავს.

– გეყოფათ! – იკივლეს თეჯიმ და თირთემ, მაგრამ მამაჩემმა და ბექამ კიდევ თითო კენჭი აიღეს და ესროლეს. ძაღლი გაქცევას ცდილობდა, ხან თოკს ქაჩავდა, ხან მიწაზე წვებოდა და წკაეწკავებდა.

– მეც მასროლინეთ, თოკი დაიჭიროს ვინმემ! – თქვა ახმედმა, მაგრამ მისთვის ყურ-

ადღება არავის მიუქცევია, მამაჩემი და ბექა, გოგოების წინააღმდეგობის მიუხედავად, ესროდნენ და ესროდნენ კენჭებს შურდულიდან. ახმედმა თოკი მიწაზე დადო, ზედ შედგა და შურდული კისრიდან მოიხსნა, კენჭი ახლომახლო რომ ვერ იპოვა, ხურმის ჩირს თავი მოაძიძგნა და კურკები დაუშინა ძაღლს, მაგრამ მიხვდა, რომ კურკები ძაღლს ვერაფერს აკლებდნენ.

– კენჭი მომანოდეთ, მეც მინდა სროლა! – ყვიროდა ახმედი, მაგრამ არავინ უსმენდა. უცებ ბექას შურდულის რეზინა გაწყდა.

– მათხოვე შენი შურდული, მაინც ვერ ესვრი! – მიუბრუნდა ბექა ახმედს.

– რა ჭკვიანი ხარ! მოდი და თოკი დაიჭირე! – უთხრა ახმედმა, ბექა თოკს დასწვდა და მაგრად ჩაბღუჯა. ახმედმა რამდენიმე ზედიზედ ესროლა, ერთ-ერთი ნასროლი ძაღლს თვალში მოხვდა, წკავწკავი ყმუილში გადაეზარდა, ყმუილი – გაავებულ ყეფაში, ყეფა – უცნაურ ღრენაში და პირდაპირ ახმედისკენ წამოვიდა, შეშინებული ბექა გვერდზე გახტა, მაგრამ თოკისთვის ხელი მაინც არ გაუშვია. ძაღლს მისთვის არ ეცალა, სხვებისკენ იქაჩებოდა, არც გოგოებს ინდობდა, თეჯის ლამის ფეხზე უკბინა, გასიებული, დახუჭული თვალიდან ცრემლი სდიოდა და თოკწაჭერილი ყელიდან ხროტინნარევი ყეფა ამოსდიოდა. სხვებს რომ ვერ მისწვდა, ახლა ბექას მიუბრუნდა, მაგრამ, ამასობაში, ახმედმა გრძელი, ორკაპა ჯოხი იპოვა, კისერზე დააჭირა და თავით მინდორზე გააკრა, ჯოხის წვერები მიწას ჩაესო, უფრო და უფრო აჭერდა, ძაღლი ხროტინებდა და უკანა ფეხებით ადგომას ცდილობდა.

– ახლა რაღას იზამ?! ჰა?! ახლა როგორღა გვიკბენ?! – დაჰყვიროდა ახმედი. შეშინებული ბავშვები შორიშორს იდგნენ, ბოლოს ძაღლი დაიღალა და დაწვა, უბრალოდ პირი ჰქონდა ღია, მიწით მოსვრილი ენა გადმოეგდო და ქოშინებდა.

– კიდე გეცოდებათ?! ვერ დაინახეთ, კინაღამ ყველა დაგვკბინა! – უყვირა გოგოებს ბექამ, ძაღლს ზურგში წიხლი ჩააზილა და უკანვე გახტა, ძაღლი არც განძრეულა.

– ის რა შუაშია, თქვენ დაიწყეთ! – ხმადაბლა თქვა თირთემ.

– ხო, მაგრამ თქვენ ხომ არ გისვრიათ, შენს დას რატომ გაექაჩა?! ლამის ფეხი მოაჭამა! ღირსები იყავით, რო ორივესთვის ეკბინა! – იყვირა მამაჩემმა, თეჯის და თირთეს მკლავებზე წაავლო ხელები და ძაღლისკენ წაათრია. გოგოებმა კივილი მორთეს, მამაჩემმა ხელი გაუშვა, ისინი მიწაზე დაეცნენ და ხმამაღლა ატირდნენ.

– რა გჭირს, რამ გაგაცოფა?! – ჰკითხა გაკვირვებულმა ბექამ მამაჩემს.

– ცოფიანი მე კი არა, ეს ჩათლახია! ნახეთ ახლა რა ვუქნა! – თქვა მამაჩემმა, წვრილი ჯოხი იპოვა, ძაღლს კუდი აუწია და საშოში შეთხარა. ძაღლმა ერთი დაიწკმუტუნა, გაიბრძოლა და ისევ დაწვა. კუდი საშოდან გადმოღვრილ, სისხლგარეულ შარდში ამოესვარა.

– ნახეთ, ნახეთ, რაღაცა გადმოუვიდა! – იყვირა მამაჩემმა. ბექა ახლოს მივიდა, ახმედმა ჯოხი ცალ ხელში დაიჭირა და თავი გადმოჰყო.

– ფუ, რა საზიზღრობაა! ერთი კვირა საჭმელს ველარ შევჭამ! – გადააფურთხა ბექამ. გოგოებმა ტირილი შეწყვიტეს და ინტერესით დააცქერდნენ წითელ სითხეს. ძაღლი მისავათებული იწვა, არც ეტყობოდა, სუნთქავდა თუ არა.

– მოკვდა?! – იკითხა თეჯიმ და ოდნავ წაჰკრა ცერი მუცელზე. ძაღლი არ განძრეულა. ახმედმა ჯოხი ნელ-ნელა აუშვა და რეაქციას დააკვირდა, მერე ორკაპი საერთოდ მოაშორა.

– ცოცხალია! – იყვირა უცებ მამაჩემმა, ყველამ უკან გაიწია. ძაღლმა ცალი საღი თვალი გაახილა და ცოტა ხანს ასე იწვა, მერე თავი წამოსწია და წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და თავი ისევ მიწაზე დადო. მთელი შერჩენილი ენერგია მოიკრიბა და წამოდგა, სამ ფეხზე ძლივს იდგა, მერე თავი მოაბრუნა და ამაოდ სცადა საშოდან გამოშვერილი ჯოხის კბილებით გამოძრობა, ვერ მიწვდა და ნელა, წკმუტუნით დაიწყო წრეზე ტრიალი. ბოლოს გაჩერდა, ცოტა ხანი იდგა, მერე კი ლასლასით გაუდგა გზას. ცოტა რომ გაიარა, თავი მოაბრუნა, ბავშვებს ულონოდ შეუყეფა და გზა განაგრძო.

– ეს ნახე, კიდევ აქეთ გვიყეფს! – იყვირა ახმედმა, გამოეკიდა, ორკაპი ნეკნებში აძგერა და მარცხნივ დიდ, წვიმის წყლით და ტალახით სავსე ორმოში გადააგდო. ძაღლი დამრეც კიდეზე ამობობღდა და ამოსვლა სცადა, ახმედმა ჯოხი უბიძგა და ისევ უკან ჩააგდო.

– ნაპირიდან ქვები მოიტანეთ! – უყვირა ბექა ლაზაშმა გოგოებს.

თეჯი ფლატედან ნაპირზე ჩახტა და მუჭისხელა ქვებს ზემოთ, მინდვრის კიდეზე ყრიდა, თირთეს კი მაისურის უბით ორმომდე მოჰქონდა.

– საკმარისია! – გასძახა ბექამ.

– ვერ ამოვდივარ, დამეხმარეთ! – თეჯი მაღალ ფლატეზე ამაოდ ცდილობდა ასვლას, ბოლოს მამაჩემმა და ბექამ ამოიყვანეს. ახმედი ჯოხით ისევ უკან აგდებდა ძაღლს. ყველა ხვდებოდა, ქვები რისთვის იყო მოტანილი, მაგრამ არავის აულია, ყველა ამ იდეის ავტორს ელოდებოდა.

– აიღეთ ქვები! – თქვა ბოლოს ბექა ლაზაშმა და ყველამ ქვა აიღო. ორმოს ირგვლივ გამწკრივდნენ. ძაღლს ყველა

მხრიდან ჩრდილები რომ დაეცა, ამოიხედა, ქვები რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა და მისი მდგომარეობისთვის სრულიად შეუფერებელი გააფთრებით სცადა ზევით ასვლა, მაგრამ ყოველი მისი მცდელობა ამაო იყო.

პირველი ბექამ ესროლა, თუმცა ააცილა. სხვებმაც ააცილეს, მხოლოდ მამაჩემის ნასროლმა გაჰკრა ოდნავ კისერზე. ტალახიდან მარტო თავი ჰქონდა ამოყოფილი და რთული სამიზნე იყო. ხელმეორედ დასწვდნენ ქვებს, ძაღლი ისევ ნაპირისკენ მოიწევდა, მაგრამ ახმედი მარცხენა ხელში ჩაბღუჯული ჯოხით იგერიებდა, მარჯვენაში ქვა ეჭირა. ბექას ნასროლი ამჯერად ზუსტი აღმოჩნდა, მუშტისხელა ქვა ძაღლს პირდაპირ თავში მოხვდა, ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს თავის ქალა პლასტმასის ყოფილიყო. სისხლმა იფეთქა. მამაჩემი მერე ვერ იხსენებდა, ნამდვილად დაინახა თუ არა ტალახიდან ამოშვერილ თეთრ ქვაზე შერჩენილი სისხლი, მაგრამ ის ქვა მის ხსოვნაში ასეთი დარჩა.

– სისხლი! – იკივლა თეჯიმ, ქვა გადააგდო და ქვევით ჩასვლა სცადა, მაგრამ თირთემ დაიჭირა. ქვები კი ტალახში წვიმასავით ცვიოდა და, ძირითადად, მიზანს ხვდებოდა, ძაღლი უხმოდ იქნევდა თათებს. მიუხედავად იმისა, რომ ახმედის ორკაპი ხელს აღარ უშლიდა, აზელილ, გასქელებულ ტალახში კიდისკენ ველარ მიდიოდა. შემდეგ, მოზრდილობისას, როცა მამაჩემი ამ ამბავს იხსენებდა, თავისი თავი იმ აზარტის გამო სძულდა, რომელსაც იმ დროს განიცდიდა.

ქვები გამოილია და გაჩერდნენ. ზედაპირზე მხოლოდ ძაღლის მარჯვენა პროფილი ამოწეულიყო, ისევ ცოცხალი იყო, რადგან კარგად თუ დააკვირდებოდი, ჩანდა, რომ დრუნჩთან სისხლიანი ტალახი ძლივს შესამჩნევად იბუშტებოდა. ბექა ლაზაშმა გოგოებს გახედა, ყურებზე ხელებაფარებული თეჯი ტიროდა და, თვალდახუჭული, უმცროს დას ეხუტებოდა. ბექას რიყეზე ჩასვლა დაეზარა და იქვე, მიწაში ნახევრად ჩასულ უშველებელ ქვას დაეჯაჯგურა, ვერ მოერია და ბიჭებს გამოხედა.

– დაანებე თავი, მკვდარია! – უთხრა მამაჩემმა. ბექა მიტრიალდა, ამჯერად ქვა ლაჯებში მოიქცია, მთელი ძალით მოქაჩა და შეარყია, მერე კიდევ მოქაჩა, გადმოაბრუნა და გამარჯვებული სახით გახედა ბიჭებს, მაგრამ ისინი მინდორზე ისხდნენ და მისკენ არ იყურებოდნენ.

– ნახეთ, რა გემრიელი სადილი მოგიმზადეთ! – უთხრა ბექა ლაზაშმა ქვის ნესტიან ძირზე მიმსხდარ ხოჭოებს, მატლებს და ჭიანჭველებს, ქვა აილო, ორმოსთან მივიდა და დაუმიზნა, მაგრამ სროლა გადაიფიქრა, რადგან შეიძლებოდა აეცილებინა, ამიტომ დამრეც კიდეზე ჩავიდა და იქიდან ისროლა. უშველებელი ქვა პირდაპირ ძაღლის პროფილს დაეცა და მასთან ერთად ჩაიძირა. ბექა ლაზაში ზევით კმაყოფილი ავიდა, რადგან თავისი დაწყებული საქმე თვითონვე დააგვირგვინა.

ორმოში წყალი რომ ამოშრა, ძაღლის ლეში კარგა ხანს იხრწნებოდა ჩამხმარ ტალახში. ძაღლი თითქოს იმ მაზუთივით გამდნარიყო, ზევითკენ, ორმოებში ჩაგუბებული, მზეზე რომ ლღვებოდა. მხოლოდ ცალი მხარე იყო გამხმარი ტალახიდან ამოწეული, ბალანგაცვენილ კანს ბუზები ეხვეოდა. ყელზე გამობმული თოკი, მაზუთში ჩაგდებული გველივით, ფრაგმენტულად ჩანდა. არავის მოსვლია აზრად, მიწა მიეყარა, რომ მძორის სუნი მაინც არ ყოფილიყო. საბოლოოდ მხოლოდ ჩონჩხიღა დარჩა. თავის ქალაზე, რამდენიმე ადგილას, ღრმული ჰქონდა, შურდულის კენჭებისაგან ნეკნებიც ჩატეხვოდა.

რამდენიმე თვის მერე მამაჩემს სინდისის ქენჯნა დაეწყო და ეს გრძნობა არ მოშორებია. შემდეგ არასდროს ულაპარაკიათ ამ თემაზე, მაგრამ, ალბათ, სხვებიც იმავეს განიცდიდნენ. მამაჩემისთვის მცირედი შვების მომგვრელი ის იყო, რომ ეს ყველაფერი რამდენიმე ადამიანზე ნაწილდებოდა, მაგრამ თავს მაინც ყველაზე მეტად იდანაშაულებდა მანამ, სანამ, წლების მერე, ერთ ზაფხულს, მამაჩემი და ბექა ლაზაში სოფელში არ დაბრუნდნენ და ბექამ ხელის აუკანკალებლად თოფი არ ესროლა მეზობლის ძაღლს. მამაჩემი მიხვდა, რომ ის საერთოდ არ ნანობდა, არც არასდროს უნანია, და, ძალაუნებურად, საკუთარი თავისადმი დაგროვილი ერთგვარი სიძულვილი ბექაზე გადაიტანა, წლების მეგობრობა წამებში გაქრა. მამაჩემი ქალაქში ადრე წავიდა და მას მერე ბექა ლაზაშს მასთან ერთად არასდროს უმუშავია სამრეწველო რეგიონში.

თეჯის ბოსლიდან რძით სავსე სათლი მოჰქონდა, როცა მამამისის ხმა შემოესმა. სასწრაფოდ გატრიალდა, ბოსელს ამოეფარა და მხარზე მოხვეული შალი წელზე მჭიდროდ შემოიხვია, მაგრამ ვამეხი ისე წავიდა, რომ შვილი არ უნახავს.

– რა უნდოდა?! – ჰკითხა ქმარს სადილობისას.

– საფლავის ქვა. რა საჩქაროა, ორი კვირაც არ გასულა. თან კლიენტები მელოდებიან, შეკვეთა უნდა ჩავაბარო. მაგრამ დაიჟინა, ხომ იცი მაგისი ამბავი. ღამე უნდა ვიმუშავოო! – ამბობდა უკმაყოფილო დაჩი და ნიგოზში გადაზელილ კოლრაბის მწნილს ღეჭავდა.

თეჯი დერეფანში გავიდა და ძელსკამზე ჩამოჯდა. ბექა ლაზაშის ახალი, უქვო საფლავი თითქოს იმას ნიშნავდა, რომ ის ჯერ კიდევ საბოლოოდ მკვდარი არ იყო, ქვის დადებით კი მისი სიკვდილი დასრულებულ სახეს მიიღებდა და მამამისს სწორედ ეს უნდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩანაწერები

*მანანა კვაჭანტირაძე*

* * *

ფრაქტალები – მიკროსამყაროდან მეგასამყარომდე ყველა ტიპის მატერიის ურთიერთმსგავსებისა და კავშირის დადასტურება. მეცნიერება საუბრობს სამყაროს ფრაქტალურ გეომეტრიაზე (ბიომორფულობა), ფრაქტალური კოსმოლოგია კი ვარაუდობს, რომ ჩვენს უსასრულო სამყაროში ასტრონომიული ობიექტები ურთიერთმსგავსი სტრუქტურების – ფრაქტალების პრინციპით აიგება. ფრაქტალებია ზღვის სანაპიროები, მცენარეთა ფოთლები და ვარჯი, ზღვის ვარსკვლავები და ნიჟარები, მთაგრეხილები და თოვლის ფიფქები, ელვა და ღრუბლები, ყინვის მაქმანები ჩვენი ფანჯრის მინებზე და ა.შ.

თუკი ჩვენ გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს სივრცული მოწყობა ფრაქტალური პრინციპით ხდება, რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ იგივე პრინციპი ჩვენ შიგნით, ცნობიერებაშიც მოქმედებს, ენა კი მას ასახელებს? და ხომ არ არის მეტაფორა ფრაქტალურობის პრინციპის უნივერსალურობის ლინგვისტური გამოხატულება?

* * *

„სიტყვაკაზმულის" უხილავი სემანტიკა:

იკაზმება ის, ვინც რაღაცისთვის, უფრო კი სცენაზე გამოსასვლელად ემზადება (ეს სცენა თვით საომარი მოქმედებების არენაც შეიძლება იყოს), ვისთვისაც მოკაზმვის რიტუალი ნაცნობია და რომელმაც იცის ამ რიტუალის მნიშვნელობა. აქ მეორეხარისხოვან როლს არ თამაშობს ისეთი ქმედებები, როგორიცაა გახსენება, შერჩევა, შეხამება, ტაქტი და გემოვნება, ჩვევა, და თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი თავისთვის თვალის ჩაკვრა და თითის დაქნევაც კი. რატომ დაუკავშირა ქართულმა ცნობიერებამ შემოქმედებითი გონის და ენის ეს მდგომარეობა მზადებას, ტანსაცმელს, ვიზუალურ ეფექტს და სათამაშო განწყობას? იმიტომ, რომ ესაა განსაკუთრებული დღე, საათი, წუთი... ენის გათავისუფლების ჟამი, როცა შემოქმედებითი ნებისა და გონის წყალობით იგი თავისუფლების უსასრულო სივრცეებში გაინავარდებს, როცა დაფარულს მისწვდება სიტყვით, როცა თავს ცხოვრების მოსამსახურედ კი არ იგრძნობს, არამედ თავის თავდაპირველ დანიშნულებას – სამყაროს შესაქმეში თანამონაწილეობას გაიხსენებს. ეს ის წამია, როცა მასთან ყოფიერება სტუმრობს და რა მოსატანია ამ მისტიკურ წამთან თუნდაც ცოტაოდენი გარჯა და საგანგებო მცდელობა – იცვალოს ყოველდღიური სახე და მოიკაზმოს? ყოველდღიურობიდან გამოსასვლელად გარეგნული ელფერიც შეიცვალოს, საზეიმოდ მოირთოს ძვირფასი სტუმრის მისაღებად? ენის ეს მდგომარეობა სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერების შინაგანი მზაობა ცვლილებისთვის, უფრო ზუსტად, დავიწყებული თავისუფლების ამოსათქმელად.

მოკაზმვა თავის შეთვალიერებასაც გულისხმობს. მდგომარეობას, როცა იგი საკუთარ თავს აფასებს, ფხიზლად ხედავს სარკის ამრეკლავ ზედაპირზე. იგი სათამაშო მოედანზე გადის, ყოფიერების საიდუმლოს გამთამაშებელი, ამომთქმელი. ნახეთ ვაჟას სიტყვა და ამ სიტყვის პატრონის თეატრალური პლასტიკა ლექსში „მთას ვიყავ": „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ / თვალ წინ მეფინა ქვეყანა, / გულზე მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა". უფრო ადრე კი რუსთაველი: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული". „რხეული" ენა – მოთამაშე, ნორმიდან გასული, მღელვარე. არასწორხაზოვანი.

* * *

„ერთხელ მაუნდა ალუდას, ერთხელ მაბრუნვა თავისა"... ამ სტრიქონების, ამ პლასტიკის ტრაგიკული უბრალოება შემაძრწუნებელია.

ყოფიერების განცდის ამ დონეზე ყველაფერი – უბრალო ფაქტი, ჟესტი, სიტყვა იძენს ტრაგიკულ ძალას. ეს „ერთხელ" ამბივალენტურ მიმართებაშია დროსთან. რადგან ის, რაც ხდება ერთხელ („თავის მაბრუნვა"), სამუდამოდაც ხდება, ანუ ორივე დროში – წარმავალშიც და მარადიულშიც, დიდშიც და მცირეშიც. თავისი დანიშნულებით ესაა ნამიერი ხილვის გადატანა,

შენახვა, ადგილის მიცემა დიდ დროში. ალუდას თავის მობრუნების პლასტიკა, რომელიც მზერაში ალბეჭდვას, კადრის „ჩაჭერას“ გულისხმობს, არამხოლოდ ყველაზე ღირებული ვიზუალურ-ემოციური შთაბეჭდილების შენახვის პლასტიკაა, არამედ ალუდას მთელი გარეგანი ცხოვრებისეული გამოცდილების შინაგანად ქცევის წამია. თუ უფრო დავაზუსტებთ, „თავის მაბრუნვა“ მარადიულ და წარმავალ დროთა შეხვედრის ხატია, ეს „ერთხელ“ კი ყოფიერების მარადიულ სტრუქტურას ეკუთვნის.

ალუდას წასვლით სრულდება რაღაც დროის ციკლი, რომელსაც იმ წუთას სახელი არ ჰქეია, რომელიც სახელის შერქმევას ელოდება. ხევის ცხოვრებაში ეს ამიერიდან იქნება „ალუდას დრო“.

* * *

რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს სამყაროში ჩვენს ჟესტებს, მოძრაობებს? დედამიწა თავის ღერძზე მარადიულად ბრუნავს. როგორია ეს ბრუნვა – მძიმეა თუ მსუბუქი? ჩქარი თუ ნელი მარადისობის გადმოსახედიდან? რას ხედავს იგი დღისა და ღამის გაყრის წამს? ამის ცოდნას მხოლოდ ლიტერატურა იძლევა იმიტომ, რომ ისინი, გარდა იმისა, რომ განიცდება და „იხილვება“, იმავდროულად ფასეულობითი და ფუნქციურია. ერთი ნატვრა მაქესო – გოდერძი ჩოხელი ამბობს – ღმერთმა თავისი ძალა მამცეს, რომ დედამიწა ავიყვანო და ხელისგულზე დავისვაო. რატომო? – ამდენს რომ ბრუნავს, ერთი წამით დავასვენებდიო.

სად შეიძლება მოისმინო ასეთი ნატვრა, ლიტერატურის გარდა?

* * *

შევუერთდეთ (მაგალითად, ბოლონიის პროცესს), შევუერთდეთ, შევუერთდეთ! (პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!). მთელი მეოცე საუკუნე და ოცდამეერთის დასაწყისიც ამგვარი მოწოდებებითაა გადავსებული – სულ შეერთებისკენ. მეორე მხრივ – შეიცვალე, უარი თქვი საკუთარ წარსულზე, განახლება და დავიწყება შენი ბედნიერების შანსია! ან, უფრო რთულად: განახორციელე დეკონსტრუქცია ინდივიდუალურ დონეზე (დაშალე ღირებულებათა სისტემა)! მოკლედ, თან დაშალე, თან შეუერთდი სხვას, დაკარგე „მე“ და ეძებე „სხვაში“. ჩაერთე ახალ ინტეგრაციაში ნებისმიერ ფასად, ოღონდ არაფრით დარჩე ის, რაც ნამდვილად ხარ.

* * *

თემა: სიკვდილის კონცეპტი ქართულ ლიტერატურაში. აზროვნების განვითარების ხაზი: „სიკვდილი სახელოვანი“ შოთასთან, ცელიანი კაცი გურამიშვილთან, რომანტიკოსებთან, ილიასთან, ვაჟასთან, ხალხურ შემოქმედებაში.

„დაგელაობდეს სიკვდილი, სუდარაებსა ჰკერავდეს“ (ვაჟა).

დაგელაობდეს – და-მგელ-აობდეს. მგლის სახე ქართულ კულტურაში. „სამი არ გაინურთნების: მგელი, არწივი, კაი ყმა“. სიკვდილიც უწვრთნელია – მგელივით (და დანარჩენი ორივით). ვაჟასთან ეს პლასტიკა ხაზგასმულია, მისი წყალობით კი რაღაცით მომხიბლავი, ვაჟკაცურიც კი. ზოგადად, ჩვენს ლიტერატურულ ტრადიციაში სიკვდილის ხატი სულაც არაა თავზარდამცემი.

* * *

გროტესკის საფუძვლები ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“:

1. პეტრეს ხასიათი: აღქმის გაჯიუტება რეალობის მიმართ. მას უნდა, ტრაგიკულ რეალობაში „თამაშა“ დაინახოს და ცდილობს, თავი დაირწმუნოს ამაში („სულ რომ ასე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ“). მაგრამ რატომ აკეთებს ამას, აკი კაცის ჩამოხრჩობის სანახავად წამოვიდა? („გულმა უხედნელი მოზვერივით კი გამომიწია და...“). მის გულს და გონებაში დიდი არეულობაა, გულს მოსვენებას არ აძლევს საკუთარი ცოდვილობის შეგრძნება, მაგრამ გონება ნებისმიერ ფასად ცდილობს, თვალი აარიდოს რეალობას, რადგან. საკუთარი გადაწყვეტილების მიღებისა ეშინია. „თვალი გაქვთ და არა ჰხედავთ“ (მარკოზი 8, 19).

2. პეტრეს დაცინვისა ეშინია, რაც თავისთავად აყენებს მას სასაცილო მდგომარეობაში.

გავიხსენოთ: გაქურდვის შემდეგ პეტრეს პირველი ფიქრი ისაა, დამცინებენო. იგი მოვლენის საღად განსჯას კი არ ცდილობს, არამედ მომენტალურად თავდაცვის რეჟიმში გადაერთვება და „მე“-ში იკეტება: არ დამცინონ, ჯალაბი დამცინებს. ანუ საქითხის სოციალური და მორალური მხარე კი არ აწუხებს, არამედ, ასე ვთქვათ, „მოკრძალებული ამპარტავნება“ – ის, რომ მოტყუვდა, გააცურეს, რომ „ძუძუმწოვრებმა გაქურდეს ეს დროული კაცი“.

3. თვით სიტუაციის კომიკურობა. პეტრე „გაჭედილია“ – იმეორებს და იმეორებს (რომ ეს „თამაშაა“ და მას დასცინიან). ილია დაახლოებით 20-ჯერ ახსენებს დაცინვას და თამაშს პეტრეს მდგომარეობის აღწერისას. ორივე სერიოზულობის ოპოზიციაა. მისი აზრი დასკვნამდე და შესაბამისად, გადაწყვეტილებამდე ვერ მიდის. პეტრე თითქოს თვითონვე აბრკოლებს საკუთარ თავს, თვითონვე უშლის ხელს რეალობის სწორად აღქმაში. სწორედ ეს აცდენა, შებოჭილობა რაღაც არარსებული „დაცინვის შიშის“ გამო, ანიჭებს პეტრეს ილიას თვალში კომიკურ ელფერს, რასაც მიემართება კიდეც ილიას მსუბუქი ირონია. „ჩვენი პეტრე“ – ირონიულია. მაგრამ ილია არ გადადის ირონიის ზღვარს და ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა ის პირი, ვისაც ასეთ ბრალდებას უყენებ, შეიძლება მწარე სატირის ობიექტადაც აქციო. ილიამ იცის, რომ იგი

სატირას არ იმსახურებს, რადგან ნაკლი ზედაპირულია, ღირსებები კი სიღრმისეული.

პეტრე ძველი საქართველოს ხატია, დაშორებული ღირებულებებს, მაგრამ იმდენადაც არა, რომ ილიამ სატირას მიმართოს.

* * *

დიუმა ჰაჯი მურატის შესახებ: „იგი ლეგენდის გმირია. რაც მეტი დრო გავა, მისი აჩრდილი უფრო გაიზრდება“. ისტორია გვამცნობს, რომ ამ გმირის თავი სიკვდილის მერე თბილისში ჩამოუტანიათ და გამოუფენიათ. მისი სურათი გადაღულია ვინმე კორადინს. ტოლსტოი პიროვნულ ჭრილში ხატავს ჰაჯი მურატს, თუმცა იმპერიის კონტექსტის გათვალისწინებით: მოთხრობაში „ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“ ტოლსტოი ადამიანის ცხოვრებაზე, მის პიროვნულ სახეზე იმპერიის პოლიტიკის ბოროტ და დამანგრეველ გავლენას განასახიერებს (აკა მორჩილაძის „აგვისტოს პასეანსში“ საბარგულში აღმოჩენილი უცნობი ჩეჩნის მოჭრილი თავი უკვე კავკასიური პრობლემის სიმბოლოა. ძნელია თქმა, ასე ჩაიფიქრა თუ არა მწერალმა ეს სახე-სიუჟეტი, მაგრამ მგონი, არც ასეთი წაკითხვით შავდება რამე. როგორც ჩანს, ისტორიაში დგება მომენტები, როცა რეალობა (ისტორიული ფაქტი) სიმბოლოს ძალას იძენს). დიუმას ლეგენდის დემითოლოგიზაციაა გრიგოლ ორბელიანის ერთი პირადი წერილი ჰაჯი მურატისადმი, სადაც ქართველი პოეტი და გენერალი, ჰაჯი მურატის თანამედროვე და სავარაუდოდ, კარგად მცნობი, ავარელს მიმართავს, როგორც ერთ ჩვეულებრივ კაცს, დამნაშავეს, რომელსაც ავაზაკობამდე აღარაფერი უკლია.

რეალობის, ისტორიისა და მითის დაპირისპირების ამაზე უკეთესი მაგალითი იშვიათია. ჰაჯი მურატის შეფასება მისი თანამედროვე სამი შემოქმედის მიერ. დიუმა და ორბელიანი – მითი და რეალობა, და მესამე ვერსია – ასე ვთქვათ, ლიტერატურული: ტოლსტოიმ თითქოს რაღაც სხვაც იცის ამ კაცზე.

* * *

ზედაპირი – ესაა შიდაპირის თვისებათა მთელი მოცულობის კოდირებული ფენა. ამიტომაა ადამიანის კანი ასეთი იდუმალი და უცნაური. ესაა სა-ფარ-ველი, ის, რაც ფარავს შიგთავსს. გამყოფი საზღვარი ჩემსა და გარემოს შორის, დამცავი და გამმიჯნავი. ნაპირი არის სივრცის კიდე. გალაკტიონის „შენაპირი“ („არ ჩანდა შენაპირი“) დამატებით არის დანაპირები ადგილი, რაღაცის მოლოდინი, რომელიც თუ სადმე უნდა ჩანდეს – უპირველესად, ნაპირზე, კიდეზე, ზედა-პირზე, როგორც შიდა პირის საიდუმლოს ხილული ნაწილზე. ადამიანის პირიც ამ საიდუმლოს საზღვარია, უთქმელ და ნათქვამ სიტყვათა გამყოფი უცნაური მატერია-სათავსო.

* * *

განთავისუფლება დაცლას, დაცარიელებას ნიშნავს. მაგალითად, ჯინის განთავისუფლებით ბოთლი ჯინის სუბსტანციისგან თავისუფლდება. თაეისუფლების სახელით დღეს კაცობრიობა თანდათანობით იცლება იმ სუბსტანციისაგან, რაც ბუნებრივად შეადგენს მის ადამიანობას: სიყვარულისგან – სექსში გადაღვრის გზით, სექსისგან – განუწყვეტელი სიტყვიერი და ეკრანული ტირაჟირების გზით; თანაგრძნობისგან – კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებათა აგრესიული გავრცელებით, სულიერი მოთხოვნილებებისაგან – მომხმარებლური სურვილების წახალისების გზით; ბედნიერებისგან – „ბედნიერების რეცეპტების“ გაუთავებელი რეკლამირებით და ა.შ..

მნიშვნელობის კრიზისი (იდენტობისა და რეალობის კრიზისების მსგავსად) სიტყვის განთაეისუფლებას მოჰყვა; როცა იგი ძალით მოაშორეს თაეის ონთოსს – იმას, სადაც და ვისთანაც „თავდაპირველად იყო“; როცა იგი დაცალეს თავისი სუბსტანციისგან და უსასრულო ტირაჟირების პროცესში ჩართეს. ეს მიზანმიმართული ძალადობა გვაშორებს არამხოლოდ მნიშვნელობას, არამედ საკუთარ თავსაც და რეალობასაც, რადგან ჩვენი რეალობაც და იდენტობის განცდაც მხოლოდ ენის მონაწილეობით გვეძლევა.

* * *

მთელი მონდომებითაც რომ უყურო, მაინც ვერასდროს შეძლებ იმის დანახვას, როგორ იშლება ვარდი. იგი მტკიცედ ინახავს საიდუმლოს, რომლის არსებობაც იცი, მაგრამ ვერასდროს დაიჭერ. ვარდის გაშლა ვარდის მატერიალური, ბიოლოგიური ნიშანია, მისი უხილველობა კი ამ ბიოლოგიურის „გასაიდუმლოება“, მისი ღვთისქმნილობის ნიშანი. ფირზე აღბეჭდილი დაჩქარებული კადრი ვარდის საიდუმლოს თითქოს ამხელს, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ გაშლასთან, მის რიტმთან და ტემპთან. ეს კადრი გაშლის სიმულაციაა და არა თვით გაშლა. დროის, ხრძლივობის პროცესის საიდუმლო მაინც საიდუმლოდ რჩება – ვერასდროს ხვდები, სად გადადის აწმყო წარსულში ან როდის ჩნდება მომავალი აწმყოში. დრო მტკიცედ ინახავს თავის საიდუმლოს. ვარდი ყოველთვის აწმყოშია, რა ზომითაც არ უნდა იყოს იგი გაშლილი. იგი ყოველ წამს სრულყოფილია, სასრულობაა და არა პროცესი. ჩვენ ვერ ვიჭერთ პროცესს, ვიჭერთ მხოლოდ შედეგს. მშვენიერება ასე ინახავს თავის საიდუმლოს, სხვათა შორის, ჭეშმარიტებაც, რომელიც თავისი უეცარი გამონათებით, ძალიან ჰგავს მშვენიერებას.

* * *

ჩოხელი ნაივურია მაშინაც, როცა სისასტიკეს აღწერს (და მოსწონს) და მაშინაც, როცა სისასტიკესა და იუმორს ერთმანეთში ურევს.

ეს ნაივურობის თვისებაა, თუმცა თავის დროზე ეს მას არაესთეტურობად ჩაუთვალეს. ისე, ხანდახან მართლაც ჭრის ყურს.

* * *

ოქტია პაჭკორია ცნობიერების ტრაგიკულობას ხედავდა იმაში, რომ მეცნიერი იძულებულია, პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარი შემოქმედებითი შრომის ნაყოფზე (გამოგონებაზე) მას შემდეგაც კი, რაც პოლიტიკოსები მას საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენებენ (მაგალითად, ატომგულის გახლეჩა და ხიროსიმას ტრაგედია). მაგრამ დღეს? იღებს კი პასუხისმგებლობას ვინმე რაიმეზე საერთოდ? „დრო ფულია"-ს და „გლობალური თამაშები"-ს მეტაფორები კაცობრიობას ათავისუფლებს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან დროისა და საქმის (=სერიოზულობა) მიმართ.

* * *

თანამედროვე მინიმალისტებზე: თავმოყვარე მწერალი არ იკადრებს არაფერი თქვას თავის განცდაზე, არ იყოს მგრძნობიარე იქ, სადაც ის ასეთია, მარტო იმიტომ, რომ ეს შეიძლება ვინმემ „არამოდურად" ჩათვალოს. მინიმალიზმის ხელოვნება რთულია – იგი შეზღუდვებს აწესებს. ვფიქრობ, ამ მდგომარეობაში გულწრფელობა და დახვეწილობა ის ორი აუცილებლობაა, რომელსაც პოეზია არ უნდა შეელიოს. ხელოვნების ისტორიის პარადოქსია, რომ ამ „იზმებს" შემოქმედებითად ნაკლებად ნიჭიერი ადამიანები ქმნიან, უფრო ნიჭიერები კი მათ უცებ აიტაცებენ ხოლმე. საბედნიეროდ, ნიჭი, გემოვნება და პროფესიული ეთიკა „იზმის" პირობებშიც მუშაობს.

* * *

პერსპექტივა ნიშნავს, ხედავდე სამყაროს ალაპის თვალით, ან ქუჩის ძაღლის თვალით. – ამას ფამუქი ამბობს („მე ვარ წითელი"). ალაპის თვალი და ქუჩის ძაღლის თვალი. რა ადვილად დადგნენ ერთმანეთის გვერდით, არა? იმიტომ, რომ ამას მწერალი ამბობს.

* * *

მწერლობამ იმიტომ დაკარგა სახე, რომ პროფესიაზე სამსახური დააყენა ადამიანის სამსახურზე წინ. ტექნიკურად თანამედროვე მწერლობა ძალიან წინ წავიდა, რადგან ბაზარზე პროფესიონალიზმი ფასობს (თხრობის ოსტატობა, საინტერესო, დამატყვევებელი სიუჟეტი და ა. შ.). მაგრამ მწერლობა მაინც ამის მერე იწყება, ამ ცოდნითა და გამოცდილებით, მაგრამ მაინც მერე, როცა სიყვარულისა და ერთგულების დრო დგება.

* * *

ბარტი: „ფორმა ძვირად ფასობს, იდეებს კი შეიძლება გააჩუქო კიდეც". არადა, ფორმას არავითარი ღირებულება არა აქვს სათქმელის გარეშე და ისტორიულად ყველა ტიპის შემოქმედებითი სამუშაო მათი დარღვეული ჰარმონიის აღდგენას, მათი კავშირის განახლებას და უხილავი კავშირების მოძიებას ემსახურება (იუჰან ბორგენი, ნობელის პრემიის ლაურიატი: „იქნებ შინაარსის იქით არც არაფერია?"). ფორმის სფეროში ძალზე ბევრია გაკეთებული, ამიტომ არც ისაა გასაკვირი, რომ მწერალი ფორმაზე მუშაობით საკუთარ შესაძლებლობებს ამოწმებს, თუმცა დღეს მასში აშკარად იჩინა თავი მიმტაცებელმა და მომხმარებელმა (სხვისი გამოცდილების, სხვისი ფორმის). დღევანდელ ვითარებაში ეს ისე გამოიყურება, რომ მწერალს შერჩა პატივმოყვარეობა, დიდების ხსოვნა, მაგრამ არა გული და ემოცია, არა კეთილსინდისიერება. მას აღარ აინტერესებს ადამიანი და მისი სამსახურის იდეა, აინტერესებს მკითხველის მხოლოდ ერთი სტატუსი – მომხმარებლური.

ხომ არ დადგა დრო, ამ ტიპის მწერლებს რაღაც სხვა სახელი ვუწოდოთ, რომ მწერლის ტრადიციული ცნებისგან გავმიჯნოთ?

* * *

ალაზას დატირება თითქოს ზვიადაურის სიცოცხლის შეფასებაა, რადგან აქ, ამ მომენტში მას ვერავინ ხედავს მტრის გარდა და შესაძლოა, რომ კაცი, რომელზედაც ვაჟა ამბობს, „ცით ჩამოსული სვეტადა" იყოო, შეუფასებელი დარჩეს („ძლიერ შებრალდა ბეჩავი,/ რომ უცხოეთში კვდებოდა/ არც ნათესავი, არც მოძმე, / რომ ვისმე შეჰბრალებოდა"). უცხოეთში სიკვდილი შემზარავი, ორმაგად საშინელი სიკვდილია, დამატებითი სასჯელი (ბარათაშვილი, რუსთაველი). არავინ გიცნობს, არავინაა შემბრალე და შენიანი. ამ „შენიანს", „ახლობელს" ქმნის აღაზა, თითქოს ცოლის მაგივრადაც სტირის. აქ ეროტიკაზე საუბარი სხვა არაფერია, თუ არა ფაქტებზე ძალდატანება. სხვათა შორის, ამის გარანტიად ვაჟა ჯოყოლას სიტყვებს დებს, როცა ის ამბობს: „ჩემს თვალებს არ დაემალვის / იმ გრძნობის ნაკვალევია;" მოკლედ, ის, რომ აღაზა სიმართლეს ეუბნება და არაფერს მალავს, თვით პერსონაჟების დიალოგიდან იკვეთება და ვაჟას პოზიცია სწორედ ესაა. დანარჩენი – ინტერპრეტაციებია.

ტირილი ვაჟასთან ცალკე თემაა. ცრემლი ( აღაზა: „უცხოსთვის ცრემლი ვღვარია"; ალუდა: „ატირდა, როგორც ქალიო") სიბრალულის, თანაგრძნობის ბეჭედია. ალუდაც დასტირის მუცალს, აპატიოსნებს, უვლის. ვაჟა ქალის ტირილს შეგვახსენებს სწორედ იმიტომ, რომ ვაჟკაცური ცრემლის ღრმა ემოციურობას გაუსვას ხაზი.

* * *

ცხენზე ამხედრებული კაცის გავარდნა, გადაკარგვა – ბარათაშვილის ტრადიცია, რომელსაც რჩეულიშვილი „ალავერდობაში" აგრძელებს.

ბიბლიოთეკა

# უილიამ ფოლკნერის
# ნატვრის ხე და მისი საგნაუდება

*ლელა კოდალაშვილი*



ძალიან ბევრი მკითხველისთვის მოულოდნელი იყო ის ამბავი, რომ ამერიკული მოდერნისტული მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე პერსონას, უილიამ ფოლკნერს, თავის დროზე საბავშვო მოთხრობა-ზღაპარი, „ნატვრის ხე" დაუწერია. კიდევ უფრო მოულოდნელი და უცნაურია ამ წიგნის ბედიც. ფოლკნერს ეს ტექსტი ფერად ფურცლებზე თავად დაუბეჭდავს, აუკინძავს და თავისი შეყვარებულის რვა წლის გოგონასთვის უჩუქებია წარწერით:

„ვიქტორიას,
ძვირფას მეგობარს
მის მერვე დაბადების დღისთვის
ბილმა გაუკეთა საჩუქრად
ეს წიგნი".

ამის შემდეგ, სხვადასხვა დროს, მწერალს წიგნის კიდევ რამდენიმე ეგზემპლარი შეუქმნია და ახლა სხვა სამი ბავშვისთვის უჩუქებია. უცნაური კი ის არის, რომ თითოეულ ამ ბავშვს სცოდნია, თითქოს მხოლოდ ის იყო წიგნის მიძღვნის ადრესატი და ერთადერთი ეგზემპლარის მფლობელი. თვითონ ფოლკნერს ეს ნაწარმოები არ გამოუცია. ამ ყველაფერსაც ფარდა მისი გარდაცვალების შემდეგ აეხადა. მანამდე კი „მხოლოდ ავტორის მიერ დამზადებული წიგნის სახით არსებობდა 1967 წლის 8 აპრილამდე, სანამ გამოქვეყნდებოდა ჟურნალ The Saturday Evening Post-ში. სამი დღის მერე კი გამომცემლობა Random House-მა დაბეჭდა დონ ბოლონეზეს მიერ შესანიშნავად დასურათებული წიგნი (ილუსტრაციების ნიმუშები თანდართულია ჩვენი გამოცემის ბოლოში). მას მერე „ნატვრის ხე" ინგლისურენოვან სამყაროში აღარც გამოცემულა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ნაწარმოები არ შესულა ფოლკნერის თხზულებათა არცერთ კრებულში." – წერს წიგნის მთარგმნელი, გია გოკიელი წინასიტყვაობაში.

„გოგონას ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ გრძნობდა, როგორ ამოდიოდა ძილიდან ზემოთ, გასაბერი ბუშტივით. თითქოს ოქროს თევზი იყო, ძილის მრგვალ თასში ცურავდა და მისი თბილი წყლებიდან ზემოთ-ზემოთ მიიწევდა ზედაპირისკენ; როგორც კი მიაღწევდა, გაეღვიძებოდა." – ასე იწყება პატარა გოგონას, დალსის უცნაური, სიზმრისეული და თან მხიარული თავგადასავალი. მას თავის დაბადების დღეზე საძინებელში უცნაური, წითელთმიანი ბიჭი გამოეცხადება, რომელიც სხვა რამდენიმე ადამიანთან ერთად დალსის წაუძღვება სადღაც. საბოლოოდ ეს ძალიან უცნაური შემადგენლობა – დალსი, წითური ბიჭი, მოახლე ელისი დალსის პატარა ძმასთან ერთად, ჯორჯი და 92 წლის ჩია ბერიკაცი, მისტერ ეგბერტი – ნატვრის ხის საძებნელად მიდის.

შეუძლებელია, კითხვისას ლუის კეროლის „ელისი" არ გაგახსენდეთ, რადგან სიუჟეტის ფანტასმაგორიული განვითარება, სასაცილო და საყვარელი პერსონაჟები, რომლებიც ხან პატარავდებიან და ხან ისევ ჩვეულ ზომას უბრუნდებიან, ჯადოსნური ამბები, სიზმრისა და ცხადის უცნაური მონაცვლეობა – ყველაფერი ეს გაფიქრებინებთ, რომ ფოკლნერი შეგნებულად ქმნის ამ ლიტერატურული თუ ემოციური გადაძახილის ეფექტს, თითქოს კეროლის წიგნის მსგავსი ცოცხალი არსების, შვილის, ყლორტის, ყვავილის გაჩენა დაუსახავს მიზნად. ხოლო როცა წმინდა ფრანცისკე დალსის ლურჯ ფრინველს ჩუქნის, გასაგები ხდება, რატომ ახსენებს მთარგმნელი თავის წინასიტყვაობაში კეროლის „ელისის" გარდა, მორის მეტერლინკის „ლურჯ ფრინველსაც". და მართლაც, ფინალში მკვეთრად იგრძნობა „მორის მეტერლინკის სიმბოლიზმი დიდაქტიზმის ელემენტებით, მისტიკური ზღაპრულობა და პოეტური სურათები" (გია გოკიელი).

„ნატვრის ხე" სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს ფოლკნერს. მძიმე, ბევრისთვის რთულად საკითხავი და სრულიად სხვა კონცეპტუალური ხედვის მქონე მწერალი ამ წიგნში ხატავს ისტორიას, რომელიც არანაირად არ ჰგავს მის ხელწერას, და ქმნის ძალიან ლაღ, ჰაეროვან, იუმორით სავსე ნაწარმოებს, რომელზეც ვერანაირად ვერ იტყვით, რომ საბავშვო ჟანრში ახალბედა მწერლის ნამუშევარია.

პირიქით, გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ავტორი ამ მიმართულებით ბევრს მუშაობს და ეს ტექსტიც ერთ-ერთია მრავალთაგან.

საბავშვოს ვუწოდებთ, თორემ რეალურად წიგნი სიამოვნებას მიანიჭებს ნებისმიერი ასაკის ადამიანს, თუკი ის ცოტათი მაინც მეოცნებეა. ნატვრის ხე, როგორც იდეა, ის წარმოუდგენელი და მოუხელთებელი რამაა, რომელის არსებობაზეც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის, ეპოქის, ასაკის ადამიანს უოცნებია. ხიდებს, მოაჯირებსა და ხეებს დღემდე აბამენ ფერად ლენტებსა თუ პატარა, ლამაზ კლიტეებს, და საკუთარ თავს უქმნიან ილუზიას, რომ ერთხელაც იქნება და ჩაფიქრებული სურვილი აუსრულდებათ. თუმცა საინტერესოა, რომ ფოლკნერის ზღაპრის პერსონაჟი სწორედ სიზმარში და არა ცხადში პოულობს რაღაცნაირ პასუხს, ახსნას თუ უფრო დიდი სურვილების ასრულებისკენ გზას:

„თუ კეთილი ხარ უმწეო არსებებისადმი, შენ არ გჭირდება ნატვრის ხე იმისთვის, რომ ოცნებები აიხდინო." თითქოს ერთი შეხედვით მკვეთრია და ცხადი ის მორალი, რომელსაც ავტორი გვაწვდის თხრობის დასასრულს, მაგრამ სასწაულების მოხდენის ალბათობას ის მაინც უშვებს:

„ერთი წლის შემდეგ ისევ მოვა დაბადების დღე და თუკი ემახსოვრება, რომ საწოლში ჯერ მარცხენა ფეხით უნდა შეწვეს და დაძინებამდე ბალიში გადააბრუნოს, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს?"

მართლაც, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში... ამიტომაც არ უნდა შეწყვიტოთ ოცნება, რომ თქვენი ფოთოლიც მისტერ ეგბერტის ფოთლის მსგავსად უფერული არ იყოს.

ცალკე თემაა წიგნის ილუსტრაციები, რადგან სწორედ ილუსტრაციებზე მოდის საკმაოდ დიდი დატვირთვა, შეიძლება ითქვას, რომ ნახატები პარალელურად და აქტიურ რეჟიმში ჰყვებიან ამბავს. ალბათ ადვილი არ უნდა ყოფილიყო მხატვარ თინათინ ჩხიკვიშვილისთვის მუშაობის დაწყება, რადგან გამომცემლობა „პალიტრა L"-ის მიერ გამოცემულ წიგნს პირველი, ინგლისური გამოცემის ილუსტრაციები აქვს თანდართული, რომელიც, თავის მხრივ, ძალიან საინტერესო სამყაროს ქმნის და თითქოს სულ სხვა, მრუდი ხაზების და სიზმარეული შტრიხების სამყაროში გადაჰყავხარ. საიდან სადაო, მაგრამ ბოლონეზეს მიერ დახატულმა ბერიკაცმა შეიძლება რონ მუდის პერსონაჟი, ფეჯინიც გაგახსენოთ, მიუზიკლიდან „ოლივერი" (რომ არა ამ ნახატების შექმნასა და რონ მუდის ცხოვრების წლებს შორის ანაქრონიზმი, ალბათ იფიქრებდით, რომ მსგავსება შეგნებულია). ასეთი შთამბეჭდავი ნახატების შემდეგ თინათინ ჩხიკვიშვილმა შექმნა სრულიად სხვა, აკვარელებით გაჰაეროვნებული პერსონაჟები, [illegible] სახელდახელო იერით, სასაცილო ტიპებით და [illegible] კუთრებულად შთამბეჭდავი მისტერ ეგბერტით.

ზემოთ ვთქვი, „ნატვრის ხეში" სრულიად სხვა ავტორად გვევლინება ფოლკნერი-მეთქი, მაგრამ პერსონაჟების სხვადასხვა ბუნება, ასაკი, ხედვა, მორალი და, რაც მთავარია, სხვადასხვაგვარი ოცნებები, გახსენებთ, რომ ფოლკნერი აქაც არ ღალატობს თავის სტილს – როგორ სხვადასხვაგვარად მიდიან ადამიანები ერთი და იმავე მიზნისკენ, როგორი განსხვავებულია თითოეულის ხედვის სივრცე.

წურავის ეგონება, რომ საბავშვო ზღაპარი და თანაც ასეთი საპასუხისმგებლო ავტორის მიერ დაწერილი, იოლი გადასატანია სხვა ენაზე. არ ვიცი, როგორ თარგმნიდა გია ამ ტექსტს, მაგრამ ალბათ ცოტათი მაინც უნევდა ბავშვად ყოფნა. მარტო ბავშვად კი არა, 92 წლის მოხუცად გადაქცევაც, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია, ასე ბუნებრივად და ჰაეროვნად გადმოიტანო ის დიალოგები, რომელიც მთელ ტექსტს გასდევს და რომელშიც კარგად ჩნდება გმირების ხასიათები. სწორედ ამ დიალოგებით ვიქმნით შთაბეჭდილებას თითოეული მათგანის ბუნებაზე და სწორედ ამ ხასიათების აღქმაა მკითხველისთვის მთელი ხალისი და ბედნიერება.

ყოველ შემთხვევაში, „ნატვრის ხე" ბევრ ჩვენგანს ალბათ ბავშვობაში რომ წაეკითხა, დღეს ის იმ საყვარელი წიგნების სიაში იქნებოდა, მხოლოდ ბავშვი რომ ადგენს და ისეთი გრძნობით იყვარებს, დიდობაში ვერასოდეს რომ ვერ შეძლებს. არადა, ნატვრის ხის იდეა თითქოს ტრივიალური სიუჟეტის განწყობას გიჩენთ წინასწარ. მაგრამ ოსტატი მწერლის ხელში ყველაზე ტრივიალური სიუჟეტიც კი შეიძლება იქცეს დაუვიწყარ და წარმტაც ისტორიად.



5 თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზებრა-ალგებრა: პიესები და სტრუქტურობიკები 2-განზომილებიანი თეატრისთვის

*დავით ჩიხლაძე*



## შეყვარებულების თეატრი

*„დაე, შევიდეს ის სათითაოდ ანდა ერთდროულად ოთხ სხვადასხვა კარში".*
*ალისტერ კროული*

*„სარკე არის შეცდომა და პირიქით".*
*მარგო კორაბლევა*

თავიდან ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ როდესაც ოთახში ან სივრცეში შევდივართ, ჩვენ იმავდროულად გამოვდივართ კიდეც სხვა ოთახიდან/სივრციდან და პირიქით. მაგრამ, სინამდვილეში, გამოვდივართ თუ შევდივართ? ორივე ერთადაა, ჩვენ ოპოზიტებს ვაკეთებთ ერთსა და იმავე დროს. როგორც ჩანს, პოლუსები ნამდვილად ხვდება ერთმანეთს.



FOR 2D THEATRE
Written and directed by David Chikhladze. With Matvei Yankelevich, Filip Marinovic, Amy Fusselman, Maya Jowler, and Yelena Gluzman. Silly theatrical games for sorcerers, typists, businessmen, ballerinas and madmen, joyfully discovering the conspiracy of everyday absurdity and logic. One night only! Dec 9 at 10PM. Collective Unconscious, 145 Ludlow, 254-5277. $5



## ყულფები და ქარგები

1. სამი ადამიანი დგას წრეში და ჩხუბობენ. ყველა ყველას წინააღმდეგაა. თავიდან ყოველი მათგანი თავისგან მარჯვნივ მდგომ პერსონას არტყამს; და შემდეგ მარცხნივ მდგომს. ორი კაცი არტყამს ერთს – ჯერ მარჯვენა და შემდეგ მარცხენა ხელით. შემდეგ პიროვნება, რომელსაც დაარტყეს, უკვე ამ ორს უბრუნებს დარტყმას ორივე ხელით. კომბინაციები გრძელდება... საბოლოოდ, ყველა არტყამს საკუთარ თავს ორივე ხელით. შემდეგ ყველანი არტყამენ ცარიელ სივრცეს მათ უკან.

2. ფეხბურთი: სამი გუნდი თამაშობს. ყველა ყველას წინააღმდეგ არის.

3. ფეხბურთი: ორი გუნდი. პერიოდულად ერთმანეთში ცვლიან საკუთარ ფორმებს.

4. ფეხბურთი: ორი გუნდი. სამი განუსაზღვრელი კარი და ერთი საერთო მეკარე.

5. ფეხბურთი: ორი კარი. სამი საერთო მეკარე.

6. ფეხბურთი: კაცები ქალების წინააღმდეგ.

7. კაცი ებრძვის დანით სასწრაფო დახმარების მანქანას (შეიძლება გაკეთდეს იმიტაცია), არტყამს დანას რიტმულად, მაგრამ სიბრაზის გრძნობის გარეშე.




8. ჰათჰა იოგა ნორმალური ადამიანებისთვის: რამდენიმე არაკომფორტული პოზა: სკამზე ჯდომა დიაგონალურად, ხელები ჰორიზონტალურად, თითები ოდნავ ეხება ერთმანეთს მკერდთან.

9. მანტრა იოგა მენტალური ხალხისთვის:

მზე და...
მაგიდა და...
კაცი და...
ცა და...
კატა და...
ლენინი და...
წვიმა და...
კარი და...
მუსიკა და...
ქათამი და...
ბურთი და...
მარილი და...
თაგვი და...
კატა და...

10. კაცები ქუდით ხელში მათხოვრობენ ერთმანეთთან.

11. ფუეტეები გრძელი კაბებისთვის.

12. კაცი და ქალი ემსახურებიან ერთმანეთს: ნაყინი გეთაყვა, ღვინო გეთაყვა, შოკოლადი გეთაყვა...

13. ბალეტის ბურთი: გოგოები არტყამენ უხილავ ბურთს თავით და ფეხით სამნაირი განწყობით: აგრესიულად, ნაზად და ხელოვნურად.

14. კიდე: ყველაფერი ზღვარზე: საგნები, კაცი და ქალი... თეფშები და ჭიქები მაგიდის მაქსიმალურ კიდეში...

15. კაცი ათვალიერებს საკუთარ პირს ცარიელ სარკეში, მეორე კაცი უყურებს მას სარკის ცარიელი ჩარჩოს მეორე მხრიდან ახლოდან.

16. დიალოგი: ორი კაცი საუბრობს, ლაპარაკობენ ერთად და ასევე ერთად ჩუმდებიან. ორი აჩრდილი ადამიანი, მაგრამ ახმოვანებენ სხვა ორ ადამიანს, რომლებსაც საკუთარი ხმა არა აქვთ. ხალხის ორი ჯგუფი, ერთად ლაპარაკობენ და ერთად აკეთებენ პაუზებს 4 წმ./4 წმ. რიტმით. ადამიანების ჯგუფი, სადაც ყველა მათგანი გვერდით მყოფ ადამიანს ახმოვანებს (საათის ისრის მიმართულებით).

17. ორი ადამიანი გულითადი საუბრისას. მაგრამ ის, ვინც იწყებს საუბარს, ყოველთვის გარბის და ძალიან შორს მიდის, სცენიდან, თეატრიდან...

### კონტაქტები

თეატრის ტექსტი
პერსონაჟები: კაცი და ქალი.

ნაწილი 1

კაცი, სძინავს. ქალი, უყურებს კაცს. კაცი ოდნავ გაინძრევა. ქალი, შეშინებული, თამაშობს, თითქოს რაღაც სხვას უყურებს, თითქოს საერთოდ არ უყურებდა კაცს.

ნაწილი 2

კაცი ისევ იძინებს. ქალი ისევ უყურებს. კაცი გაინძრევა. ქალი გარბის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი 3

კაცი კითხულობს გაზეთს. მას ესმის, რომ მოდის ქალი. თავს ისე იჭერს, თითქოს სძინავს. როდესაც ქალი შემოდის, მას თითქოს სძინავს.

ნაწილი 4

ქალს და კაცს სძინავთ ერთად. ხანდახან იცვლიან გვერდს, ერთად გადაბრუნდებიან მარცხნიდან მარჯვნივ.

ფარდა

**კონტაქტები კოდა**

პერფორმირებული ინსტალაცია დამატება ოსკარ ზამორა ზამორას მიერ

პერსონაჟები: კაცი და ქალი
მასალა: მეორე ქალი

ნაწილი 1

კაცი და ქალი შემოდიან, მოაქვთ მეორე ქალი. ისინი დადებენ მას დაბლა, მოათავსებენ ამგვარად და გასხლტებიან, შეუმჩნეველნი.

ნაწილი 2

მეორე ქალი საკუთარ სუნთქვას საშუალებას აძლევს იმოძრაოს ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის თანდაყოლილი ქარგით. როდესაც მისი სუნთქვა გზას პოულობს სხეულის გახსნილი არხების გავლით, მისი გონებაც იგივეს აკეთებს, გადაქსოვილია რა სუნთქვასთან. როდესაც გონება რელაქსაციას განიცდის, მისი ენა და პალიტრა ვრცელი ხდება, პირის ზედა ნაწილი მაღლა იწევს და სხეულის ღრმული და ცენტრალური ბირთვი იხსნება. როდესაც ცენტრალური ბირთვი მთლიანად გაიხსნება, ეს პოზა შენარჩუნებულია ხანმოკლე სიკვდილის დროით.

დასასრული

**ნაბეჭდი ასოების თეატრი**

12 მბეჭდავი ფართო ოფისში, სხედან ოთახის გარშემო კედლის გასწვრივ, ბეჭდავენ სიამოვნებით. შემოდის ერთი გიჟი კაცი, გრძელი თმით და წვერით, ითხოვს დაუბეჭდონ რაღაც წარმოუდგენელი წერილები და ცნობები.

მე ვარ გოდერძი, — ამბობს ის ამაყად, — დაბეჭდეთ ეს, თუ არა, მოგკლავთ ყველას.

ის ბევრ ასეთ შემაწუხებელ რამეს ლაპარაკობს, ბრაზდება, შემდეგ სევდიანდება და ნაზი ხდება.

არავინ აქცევს სერიოზულ ყურადღებას.

ზოგი მბეჭდავი ამბობს, რომ მან დაუყოვნებლივ დატოვოს ოფისი, თუ არა, ისინი დაუძახებენ დაცვას.

შემდეგ შემოდის მეორე გიჟი კაცი, მაგრამ აბსოლუტურად იგივე. ის ეუბნება პირველს: მე ვარ გოდერძი და არა შენ...

და კვლავ იგივე შემაწუხებელი საუბარი მბეჭდავებთან.



1-ლი გოდერძი უსმენს მე-2-ს და შემდეგ ამბობს:

— შენ გიჟი ხარ, გადი ჩემი სივრციდან.

— შენ ხარ გიჟი და არა მე, რა სისულელეების დაბეჭდვას ითხოვ, — პასუხობს მეორე გოდერძი.

მოდის მე-3 გოდერძი, მაგრამ კვლავ იგივეა.

მბეჭდავები აგრძელებენ ბეჭდვას. არავინ უსმენს მათ.

— მომისმინე, — ამბობს მე-2, — მოდი, ნუ შევაწუხებთ ერთმანეთს. მოდი, ორი ჩვენთაგანი წავიდეს აქედან და ერთი, რომელიც დარჩება, ის შექმნის პრობლემებს ამ მბეჭდავებისთვის და არა ჩვენთვის.

კიდევ ორი ახალი კაცი შემოდის და იგივენი არიან. შემდეგ, მოულოდნელად, ყველანი სტოვებენ სივრცეს ერთდროულად.

მბეჭდავები სიამოვნებით ბეჭდავენ.

შემოდის 12 ქალი შავ ნიღბებში. ისინი გადააწვენენ მბეჭდავებს მათს მაგიდებზე ნაზად და იწყებენ სიყვარულს მათთან.

— შესვენებაა, — ამბობენ ისინი.

შემდეგ, მალევე, ბეჭდვა გაგრძელდება იგივე სასიამოვნო მანერით, სანამ დღე დასრულდება.

**პრინციპების თეატრი**

1. ათი წუთი შექსპირიდან. მსახიობები თამაშობენ როლებს. 1 დამატებითი მსახიობი




იმყოფება სცენაზე, მაგრამ არ გააჩნია როლი და პერსონაჟი. და თუ რას მოიმოქმედებს აუდიტორიის წინაშე, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

2. ოთხი კაცი/ქალი მოქმედებენ. ისინი ლაპარაკობენ, ისინი მოძრაობენ. მაგრამ არანაირი გამოხმაურებები არ ხდება მათ შორის, თითქოს ყველა მარტოა. მათ შეუძლიათ უშუალოდ მოუხმონ კიდეც, ანდა ახლო მანძილიდან მიაშტერდნენ ერთმანეთს. მაგრამ ყველაფერი თითქოს სარკეში ხდება. თვით იმ იშვიათ მომენტებშიც, როდესაც ისინი ერთმანეთს ეხმაურებიან, ესეც იზოლირებული აქტია, როგორც ლაპარაკი ცარიელ სივრცეში.

ზემოთმოცემული პიესა შეიძლება ადაპტირებული იქნას ქუჩის ვერსიასთან, უცხო მონაწილეების დამატებით: ქუჩის გამყიდველებთან ახლოს დგომით, მაგრამ ისე რომ არანაირი გამოხმაურება არ უნდა იყოს მასთან, ან ჯდომა ასეთ ადგილზე, კვლავ გამოხმაურების გარეშე.

3. საგნების თეატრი შეიძლება შედგენილი იქნას სივრცეში საგნების მოძრაობით. მუდმივი მოძრაობა, მუდმივი სიამოვნება.

### მიდი რა ოჰ, ოჰ მიდი რა

დევიდი: ქალი და კაცი მიისწრაფიან ერთმანეთისკენ.

ჯეიმსი: დიახ.

დევიდი: რატომ მიისწრაფიან კაცი და ქალი ერთმანეთისკენ?

ჯეიმსი: იმიტომ რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

დევიდი: დიახ, ისინი განსხვავდებიან, ეს მართალია.

ჯეიმსი: აჰ, ძალიან. ყველა ნაწილით. ისინი მთლიანად განსხვავებული არსებები არიან! სხვაგვარად მათ არ მიიზიდავდათ ერთმანეთი.

დევიდი: ამიტომ მიისწრაფიან ისინი ერთმანეთისკენ?

ჯეიმსი: დიახ, ასეა.

დევიდი: ეს ნიშნავს, რომ მათ სწყურიათ ის საგნები, რაც სხვანაირია, მართალია?

ჯეიმსი: რა თქმა უნდა.

დევიდი: მაგრამ რატომ იზიდავთ გეი ადამიანებს ერთმანეთი?

ჯეიმსი: იმიტომ, რომ ისინი განსხვავდებიან სხვებისგან.

დევიდი: მაგრამ ერთმანეთისთვის ხომ იგივენი არიან?!

ჯეიმსი: კი...

დევიდი: და იცი რა, მაშინ გეი ბიჭს უნდა იზიდავდეს გეი გოგო! ასე არაა? და გეი ქალს გეი კაცი...

ჯეიმსი: ჰა-ჰა! ჰა-ჰა!

დევიდი: დიახ, გეი კაცი უნდა იყოს გეი ქალთან.

ჯეიმსი: ჰმ... და რა იქნება განსხვავება, ეს ხომ იგივე გამოვა, არა? აჰ, დიახ, ეს იგივე გამოვა!

ფარდა

### მელვილის ფაბრიკა

მონაწილეები:

ბენი – ინჟინერი, 45 წლის, მსუქანი, შორტებში

ტონი – მაგნატი, 52 წლის, შავ კოსტუმში, საშუალო სიმაღლის

მელვილი – მუშა, 52 წლის, ზანგი

დევიდი – დიზაინერი, გამხდარი, 27 წლის

ჯუდი – ბუღალტერი, გამხდარი, 25 წლის

მაურო – მუშა, დაბალი, 50 წლის, ვენესუელადან

ოქტავიო – ბრიგადირი, დაბალი, 50 წლის, ვენესუელადან

არონი – მაგნატი, მაღალი, ჩიბუხით, დიდი მუცლით, 60 წლის

მექსიკელები – მქსოველები და მკერავები

მოქმედება ხდება ნიუ იორკში, 1996 წლის აგვისტოში. სცენა იცვლება სამჯერ: ფაბრიკა „რემკო" მე-11 ავენიუსა და დასავლეთის 48-ე ქუჩის გადაკვეთაზე; უკრაინული კაფე „ვესელკა" აღმოსავლეთის მე-2 ქუჩაზე; და ჯუდის ბინა ქალაქ ელიზაბეტში.

ისტორია:

1. დღეს დილით მიღებულია 600 ყუთი საქსოვი ძაფი. ფაბრიკაში დასაწყობი ადგილი აღარ დარჩა, ყველა გასასვლელი ამოქოლილია და არონი ძალზე ნერვიულობს. ის დაქრის ლიფტით მე-4 და მე-6 სართულებზე და უშედეგოდ მოუხმობს ოქტავიოს ლიფტის ჩაკეტილი რკინის კარს მიღმა. ლიფტიდან ჩიბუხის თამბაქოს მოტკბო სუნი გამოდის, რითაც არონის მოახლოებას ყველა გრძნობს.

ოქტავიო მე-6 სართულზეა, სადილობს და პასუხს არ სცემს.

მაურო ნერვიულობისგან ერთ პატარა ცარიელ ადგილს ჰგვის დიდი ცოცხით, სადაც 2-3 ყუთი ძაფი თუ დაეტევა და აქეთ-იქით ოდნავ მომღიმარი იყურება.

(ისტორიის მაყურებლითვის განკუთვნილი ნაწილის დასასრული).

ეროვნული ბიბლიოთეკა



2. ტონი თელის ფულს და აწყობს კონვერტებში. დღეს, როგორც ყოველ მეორე პარასკევს, ხელფასებია. ზოგს ავანსი აქვს აღებული და ის ფული უნდა გამოიქვითოს. ტონიც, როგორც არონი, მაგნატია, მაგრამ ეს ფაბრიკა „რემკო" სწორედ მისია და არა არონის. აქ ტანსაცმელს კერავენ, ხოლო არონის ფაბრიკაში ქსოვილებს ამზადებენ. თანაც არონის ფაბრიკა აქედან საკმაოდ შორსაა – გრინპოინტ ავენიუსა და ფრანკლინ სტრიტზე.

3. ბენი და დევიდი ძალზე ნერვიულები არიან. ფაქტიურად ისინი ხელმძღვანელობენ წარმოებას და ცდილობენ მუშებს სისხლის ბოლო წვეთი გამოსწოვონ. განსაკუთრებით ბენი ცდილობს ამას, მენეჯერი. დევიდი უბრალოდ ნერვიულია.

4. ჯუდი მხოლოდ ხანდახან გამოივლის საწარმოს ტერიტორიაზე დღეში ორჯერ და მერე თავის ოთახში რაღაცას ანგარიშობს.

(მთლიანი ისტორიის დასასრული).

შენიშვნები:

– დევიდის როლი შეიძლება შეასრულოს ქალმა
– მექსიკელები შეიძლება იყოს დახატული.

**იდენტობები – ნანოლოგიური ვერსიები**

**კეი მაკართი:**
მონაზონი თოფში
მარცვალი წვიმაში
გალონი ბურთში
ღარიბი აუზში

**ჯულია/აფაზია:**
სიბნელე ყვირის
ჩელო კვლავ ააშკარავებს ბურუსს.
კარები მოძრაობს მარიონეტივით
მარცვალი. იგივე
საყინულეს მოდელი
აბსტრაჰირებული ჩასმული
ყინული მდინარე
ბრწყინავს უმზერს
გამომკვებე
დაეხმარე
ნათურებს
მე თავს ვგრძნობ
ცარიელად

**მონსტერი:**
კომფორტის პროდუქტები
მე მიყვარს
ცეცხლი
გამჭვირვალე ცა
მთის ჰაერი

**ანთან კორნეტი:**
შეხედე იკამათე გაილვიძე
ეძებე და იპოვე დაეყრდენი
ამომავალი სიგრილე დაკარგული
წყურვილი დაკარგული
მონყენილი ახალგაზრდა

**მორგიანა:**
კომპიუტერი მაცივარი
თქვი ისევ
მთლიანობა ნატიფია
ბოლო არ არსებობს

**ნორტონი:**
მსოფლიოს დასასრულის საგნები გაუქმებული
დაიჭირე კვერცხი
მე ვწუხვარ
მე უბრალოდ ვზრუნავ
იმაზე რაც მე ვარ ყოველდღე
ისინი სხვანაირები არიან

**ჰეიზელ ზუბლბრეცი:**
მე სხვა რამეს ვითხოვ.
სამუშაო როგორც დამაკავშირებელი
განსაკუთრებით კარგად სრულდება.

ფარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6 ახალი თარგმანები

*საადი შირაზელი (მე-13 ს)*

ფრაგმენტები „ბუსთანიდან".

* * *

ვინც გიყვარს, შენებრ წყლის და თიხის არის ნაზავი,
სიმშვიდეს გტაცებს, გეწვეთება სამსალასავით.
გღვიძავს და მისი ხალი გხიბლავს – ღაწვის მშვენება,
გძინავს და მაინც შენს ხსოვნაში ჩაესვენება.
თავი მის ფერხთით დაგიხრია, დგახარ ეული,
ჭვრეტ და სამყარო გავიწყდება არაფრეული.
თუ სატრფოს შენი ოქრო თვალში დაუჯდა მრუდად,
ერთი ფასი აქვს ოქროსა და ტალახის გუნდას.
სხვა არ გიზიდავს, სხვაზე ოხვრა არსაით ისმის,
რადგან მის გვერდით აღარ რჩება ადგილი სხვისთვის.
შენს თვალში ბუდობს, ესართება ნაღველს კირთება,
თვალს თუ დახუჭავ, მყისვე გულში ჩაგეზვირთება.
არვის ანაღვლებს რა გწყენია, რა სევდა გეძმო,
აღარც ძალა გაქვს გასალკლდევდე, მოთმენა შეძლო.
სული მოგთხოვა? – დაუფინე ბაგეზე კრძალვით,
თუკი მახვილი მოგიღერა, დახარე თავი.
......

* * *

მახსოვს, ერთ ღამეს ვერ მოვხუჭე ვერაფრით თვალი,
მომესმა, სანთელს შესჩიოდა ფარვანა კრძალვით:
– მე მიჯნური ვარ, და თუ ვკვნესი, ჩემი წესია,
შენ რა გატირებს, მწარედ რატომ დაგიკვნესია?
მიუგო: ჩემთვის დათუთქულო, ვდნები და ვიწვი,
თაფლივით ტკბილი გულის ერთა დამშორდა სიმწრით.
გაქრა შირინი, გაბასრულა გული ავგულად,
და როგორც ფარჰადს, ბედმა ტრფობის ცეცხლი მარგუნა.
თან ასე ბჭობდა, ეს სახმილი მარად შენთვება,
თან ყვითელ ღაწვზე მოწვეთავდა ცრემლი ღვენთებად.
შენ კი სიყვარულს რას ენუკვი, რა ხელყრი ტრფობას,
თუ არც მოთმენა შეგიძლია, არც მყარად დგომა.
შენ ერთ ნაპერწკალს გაურბიხარ, თუკი იალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ედგავარ, რათა დავიბუგო ცეცხლში მთლიანად.
თუ ტრფობის ცეცხლმა ფრთა დაგიწვა, ჩემკენ რხეული,
მე შემომხედე, როგორ ვიწვი მთელი სხეულით.
ღამის პირველი სახმილავი არც კი გასულა,
სანთელი უცებ რომ ჩააქრო ზეცის ასულმა.
ლაპარაკობდა და ხრჩოლავდა გაბმით მკვნესარი,
უწყოდე, ყრმაო, სიყვარულის ბოლო ეს არი.
თუ აჰყოლიხარ სიყვარულის სნავლის ხვაშიადს,
თავს ნუ დაიხსნი ცეცხლისაგან, შვება წვაშია.
ნუღარ დასტირი სატრფოს საფლავს, დარდს ნუ იკარებ,
გალაღდი, ღმერთმა შეიწყალა მოსხივცისკარე.
ტრფობა სამიზნედ ვინც დასახა განუსხვისარი,
მას ვერც ქვის ცვენა შეაშინებს, ვეღარც-ისარი.
ნუ შეხვალ ზღვაში, ფრთხილად, თორემ ღელვით გვარისხებს
და თუ შედიხარ, შენი თავი ანდე ქარიშხლებს.

* * *

ერთხელ, ყრმობის ჟამს, როცა წლებთან არ ვიყავ უზრად,
ამფსონთა წრეში სანადიმოდ ვუსხედით სუფრას.
ხმით-ბულბულები, პირისახით-ვარდის კოკრები,
ქუჩას მოედო ჟრიამული დაუოკები.
გვერდით ბერიკაცს ვკიდეთ თვალი თეთრად დაპენტილს,
ჟამთასვლას მისთვის დღედ ექცია თმის კუნაპეტი.
პირი თხილივით შეეკუმა, დროისგან ნაგვემს,
ჩვენ კი ფსტასავით გადაგვშლოდა მღიმარი ბაგე.
ერთი ჩვენგანი მივიდა და ჰკითხა ღიმილით:
აქ რას უზიხარ, მოკართული ზღვა სიმძიმილით?
სევდას საყელო დაუფლითე, ადრეა ჯერაც,
ჭაბუკთა შორის იშვებდეო, ეითარცა ჯერ არს.
თავი ასწია ბერიკაცმა და სხვების წინვე,
დახეთ, რა ბრძნულად უპასუხა ნებიერ ნინველს:
როცა ზეფირი წამოქოჩრავს მწვანე მტილოვანს,
მაშინ შეჰფერის ხეთა მორჩებს მოხდენილობა.
ჯეჯილი ხარობს, სანამ მწვანე ზარ-ზეიმს მართავს,
სთველზე, სიყვითლეშეპარული ჩამოყრის თავთავს.
გაზაფხულობით, როცა სურნელს მოაფრქვევს ძეწნა,
დიდრონი ხენი გამხმარ ფოთოლს აფენენ ზეწრად.
აღარ შემფერის ყრმათა შორის ხტომა და ბუქნა,
რადგან სიბერის დილამ ლოყებს თავისი უქნა.
სულის მიმინო ტყვეობაში ისე მომკივის,
სურს წამისწამად დაამსხვრიოს ყველა ბორკილი.
თქვენი ჯერია ამ ნადიმზე ზმისა და დავლის,
ჩემს აქ ყოფნას კი, რა ხანია, გასვლია ყავლი.
სიბერის მტვერი დამაფერთხეს რახან უკლებლივ,
არა ხამს ანი ყრმასავით თუ გავცუნდრუკდები.
ჩამოიპენტა ყორნის ფრთებზე თოვლი მარადი,
აღარ შემფერის ბულბულივით ბაღში ნავარდი.
ნაიკეკლუცებს ფარშევანგი ცხადზე ცხადია,
ფრთამოსხეპილი ქორისგან კი რაღა გნადიათ.
არ ემეტება ამ ხოდაბუნს ჩემთვის თაველი,
ანი თქვენია საყანური  და ეს მთა-ველი.
ჩემს საბალნაროს ფერი მისდის, ჭირხლი ერევა,
დამჭკნარმა ვარდმა როგორ შეძლოს ყელის ღერება?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოხს დავეყრდნობი, სანამ წლებმა სულ უფრო მძლიეს,
ვინც ამ ცხოვრებას დაეყრდნობა, შეცდება ძლიერ.
უთუოდ ფეხზე წამოხტება ჭაბუკი ყველა,
თუკი ბერიკაცს რაიმეში დასჭირდა შველა.
სახის ყირმიზ ვარდს ზაფრანისფრად ხურავს მანტია,
ჩამავალი მზეც მიმწუხრისკენ ყვითლად ანთია.
ის, რაც უბრალო სიჭაბუკისთვის ერთი წამია,
დასაძრახია მოხუცისთვის ორწილ თუ ასწილ.
ცოდვათა გამო, სანამ ჟამი წარსულს გალობავს,
მმართებს ბავშვივით ტირილი და არა-ლაღობა.
დიდმა ლოყმანმა ასე განბჭო, ბრძნულად და სწორად:
ცოდვილ სიცოცხლეს გერჩიოსო საფლავში წოლა.
სჯობს დილიდანვე კარი დახშო, უხმო გონებას,
ვიდრე ხელიდან წაგიღიდეს მთელი ქონება.
სანამდე ჭაბუკს ალიონი ჩაენამქრება,
მოხუცის გვამი სამარეში ნელა გაქრება.

* * *

ხანმოთეული ბერიკაცი ეახლა მკურნალს
და სიკვდილისგან ზარგანხდილმა ბედს უწყო კრულვა.
ექიმს შესთხოვა, მინახეო საჩქაროდ მაჯა,
– არ მერჩის მუხლიც, – მოუმატა ხვეწნას და აჯას –
ისეთ ძილში ვარ მთელი არსით გამოხვეული,
თითქოს, თიხაში ჩაფლულიყოს ჩემი სხეული.
ექიმმა უთხრა: ხელი ჰკარი წლების ფიალას,
განკითხვის დღეს კი მოგშორდება თიხა მთლიანად.
ბერთან ნუ ეძებ ყრმობის ნიშატს, ოცნების ბაღნარს,
ჩავლილი წყალი როდის იყო დიოდა აღმა.
ჭაბუკობისას თუ ლაღობდი მთელი არსებით,
ხამს სიბერის ჟამს დაგულდინჯდე, დაცხრე სავსებით.
ორმოცი წელი გაგისხლტა და ირჯები კიდევ,
ნუღარ დაშვრები, წინ ორი დღის სავალი გიდევს.
უნდა გაფერთხო გონებიდან ვნების მისხალი,
რადგან განქარდა გზნების დრო და მიწყდა ისხარი.
ეს მწვანე მოლი გულის ვარამს საიდან გასხლავს,
თუკი ხვალ და ზეგ ჩემს საფლავზე აპირებს ხასხასს.
სეირნობისას ავყოლილვართ წადილს თავნებას,
სხვათა საფლავი გაგვითელავს დაუნანებლად.
სხვებიც ასევე აჰყვებიან ქარსა და ნიავს,
ჩვენს სამაროვანს გათელავენ ადრე თუ გვიან.
ვაგლახ! განქარდა ზეზეულად ყრმობის ფურცელი,
არც ლხენის ჟამი დაგვრჩენია ფერშეუცვლელი.
ვაგლახ! რა მოკლე დღე ჰქონია ჭაბუკურ განცდას,
ჩაუკუნეთდა მთიებივით, კაბადონს გასცდა.
სმასა და ჭამას გადავყევით, ბრჭყვიალა სამოსს,
არ გვიდარდია ღვთის მცნებათა დარღვევის გამო.
უარაფრობას შევეთვისეთ, ვაგლახ, ამაოდ,
ვერც რა სიმართლე გვიცვნია და ვწარამარაობთ.
ერთმა მოძღვარმა შეგირდს უთხრა დინჯად, ნელიად:
უქმად ვისხედით, დრო კი უცებ გამოგვცლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***მასუდ საად სელმანი (1046-1121წწ)***

* * *

ისეთ ხაროში ვარ ჩახაფრული,
მისი სიქუშე მაწვება ბინდად,
ამ დილეგს თავზე ლამე ახურავს,
თვალს რომ სიშავით მიჭვარტლავს მშვიდად.
ყველას ვარსკვლავი ჰგონია იგი,
დღისით მის ღიობს ვინც თვალი ჰკიდა.
თვალს ვერ ვაშორებ, რაღა ხვრელი და
რაღა ეს გული-ვიწრო და ციდა.
ლექსს დავაკვნესებ, თორემ უმისოდ
ვერ გავსხეპ ვარამს, მოსართულს ციდან.
ამ სოფლად ლექსით გაიკვირტება,
არსობის ბაღში რაც ვთესე წინათ.
მასუდ, ამ ცარგვალს ნუ შემოწყრები,
თუმც, რა ხანია, ულელქვეშ გმინავ.
გასწორდი წელში, ვითარცა სარო,
მთელი სამყარო დაგექცეს გინა.
არსთა გამრიგე ფხიზლობს და ერთ დღეს
გაგიხელახლებს სიმართლის ბრწყინვას.

***ბაბა თაჰერი (მე-11 ს)***

* * *

აყვავებული მთა-ბარი, მწვანედ გაშლილი კორდი,
აქ ტიტას რგავდნენ, არავის გულს არ ეჭიდა ლოდი,
ბევრია, ბევრს ჩაუვლია, ბევრი სულ ახლად მოდის,
კვლავ იგივეა მთა-ბარი, კვლავ იგივეა კორდი.

* * *

გაზაფხულდა, გული გზნების უკმარობით იწვის,
კორდი ყვავის, დგას სურნელი დაშაშრული მიწის,
ორი წამი გამოსტაცე ჩარხის ბრუნვას, თორემ
მუხთალია ეს საწუთრო, ხენეში და ბილწი.

* * *

ამ ტრფობის ცეცხლმა გადამიხმო არსის ბალახი,
იმ ცეცხლში სულიც დამენაცრა მრავალნაირი,
შენმა გოშიამ თვალზე თათი თუ დამაბიჯა,
წამწამით უნდა გაეუფერთხო ფეხის ტალახი.

***ონსორი (მე-10 ს.)***

* * *

– მიჯნურო! გული შენ დაგეძებს ულვთოდ ნაგვემი
– შენი ტკივილის მალამოა ჩემი ბაგენი
– მუდამ შორსა ხარ, თვალი ერთხელ ვერ შემივლია
– ჯერ ხომ ფერია ძეხორციელს არ ჰყავს ნაგემი.

***სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავამ***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შირლი ჰარდი ჯეკსონი



**შირლი ჰარდი ჯეკსონი,** XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი, დაიბადა 1916 წლის 14 იანვარს სან-ფრანცისკოში. ის ექვსი რომანის, ორი მემუარის, ოთხი მოთხრობათა კრებულის, მრავალი ნოველის და ოთხი საბავშვო წიგნის ავტორია.

განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა მოთხრობამ „ლატარეა“ და რომანმა „ბორცვის სახლის აჩრდილი“. მისი არაერთი მოთხრობისა და რომანის მიხედვით, გარდა რადიო, ტელე და თეატრალური დადგმებისა, გადაღებულია მხატვრული სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმები, მრავალი ცნობილი მსახიობისა და მომღერლის მონაწილეობით. შირლი ჯეკსონი დაჯილდოებულია ედგარ პოს პრემიით საუკეთესო მოთხობისათვის „ბოროტების შესაძლებლობა“ (1966); ნომინირებულია ეროვნული წიგნის ასოციაციის პრემიაზე რომანისთვის „ბორცვის სახლის აჩრდილი“ (1960); რომანი „ჩვენ ყოველთვის ციხე-კოშკში ვცხოვრობდით“ აღიარებულია 1962 წლის საუკეთესო რომანად; დაჯილდოებულია პრემიით საუკეთესო ლიტერატურული მიღვაწეობისთვის ფსიქოლოგიური სასპენსის, საშინელებათა და შავი ფანტასტიკის ჟანრში, 2008 წელს.

შირლი ჯეკსონის შემოქმედებისადმი მიძღვნილია ლიტერატურათმცოდნეთა არაერთი შრომა.

ჰყავდა მეუღლე – სტენლი ედგარ ჰეიმენი, ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსი და ნუმიზმატი, და ოთხი შვილი.

გარდაიცვალა 1965 წელს.

n7/145

# გასაუბრება

ექიმი შესახედავად წარმოსადეგი და კომპეტენტურიც იყო. მისის არნოლდს ექიმის გარეგნობა თავს ერთგვარად კომფორტულად აგრძნობინებდა და მისი მღელვარება ოდნავ განელდა. მან იცოდა, რომ ექიმმა შეამჩნია, თუ როგორ უკანკალებდა ხელი, როცა მისკენ გადაიხარა, რათა სიგარეტისთვის მოეკიდებინა და მობოდიშებით გაუღიმა, მაგრამ ექიმმა მისის არნოლდს სერიოზული სახით გადმოხედა.

„აღელვებული ჩანხართ", თქვა მან დინჯად.

„მეტად აღელვებული ვარ", თქვა მისის არნოლდმა. ქალი შეეცადა, ნელა და საზრიანად ელაპარაკა. „არ მინდოდა ჩვენი ოჯახის ექიმ მარფთან წავსულიყავი და ამიტომაც თქვენთან მოვედი".

ექიმი ოდნავ მოიღუშა. „ჩემმა ქმარმა", განაგრძო მისის არნოლდმა, „არ უნდა იცოდეს, თუ რა მაწუხებს. ექიმი მარფი კი ალბათ იგრძნობდა, რომ ამის თქმა ჩემი ქმრისთვის საჭირო იყო". ექიმმა თავი დაუქნია ისე, რომ თავი დამნაშავედ არ უგრძნია, რაც მისის არნოლდს თვალში ეცა.

„რა არის თქვენი შფოთვის საფუძველი?"

მისის არნოლდმა ღრმად ამოისუნთქა. „ექიმო", თქვა მან, „რას ამბობენ ადამიანები იმათზე, რომლებიც ჭკუიდან გადადიან?"

ექიმმა ქალს ახედა.

„განა სისულელე არ არის", თქვა მისის არნოლდმა. „ამის თქმას არ ვგულისხმობდი, ასეა თუ ისე, ახსნა დრამატიზმის გარეშე, ძნელია".

„შეშლილობა გაცილებით რთულია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ", თქვა ექიმმა.

„ვიცი, რომ რთულია", თქვა მისის არნოლდმა, „ეს ერთადერთია, რაშიც დარწმუნებული ვარ. შეშლილობა ერთ-ერთია, რასაც ვგულისხმობ."

„უკაცრავად?"

„ეს არის ჩემი გასაჭირი, ექიმო", მისის არნოლდმა უკან დაიწია, პატარა ჩანთიდან ხელთათმანი ამოიღო და ფრთხილად ზემოდან დადო. შემდეგ ხელთათმანი ისევ აიღო და პატარა ჩანთა ზემოდან დაადო.

„ალბათ ამის შესახებ ყველაფერს მეტყვით", თქვა ექიმმა.

მისის არნოლდმა ამოიოხრა. „ყველას ჰგონია, რომ ამაში ერკვევიან", თქვა მან, „მე კი არა. მომისმინეთ", ქალი წინ გადაიხარა და ლაპარაკისას ერთი ხელი აამოძრავა. „ვერ გამიგია, როგორ ცხოვრობენ ადამიანები. ეს ყველაფერი კი ისე მარტივად მეჩვენებოდა, როცა პატარა გოგო ვიყავი. მეც ისეთ სამყაროში ვცხოვრობდი, როგორც სხვა დანარჩენები. ყველა ერთად იყო და ცხოვრებაც მშვიდად მიედინებოდა, ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე". მისის არნოლდმა ექიმს შეხედა. ის ისევ იღუშებოდა, მისის არნოლდი კი ლაპარაკს განაგრძობდა და ხმა ოდნავ აიმაღლა. „ყური დამიგდეთ, გუშინ დილით, ოფისისკენ გზად მიმავალი ჩემი ქმარი, გაზეთის საყიდლად შეჩერდა. ყოველთვის „ტაიმსს" ყიდულობს ერთი და იგივე გამყიდველისგან, გუშინ კი გაზეთის გამყიდველს „ტაიმსი" არ ჰქონდა და გასულ საღამოს, როცა შინ ბრუნდებოდა, თქვა, რომ თევზი დამწვარი იყო, დესერტი კი – ზედმეტად ტკბილი. მთელი საღამო იჯდა და თავის თავს ესაუბრებოდა".

„შეეძლო გაზეთი სხვა გამყიდველისგან ეყიდა", თქვა ექიმმა. „ძალიან ხშირად გამყიდველებს ქალაქის ცენტრში უფრო გვიან აწვდიან გაზეთებს, ვიდრე გარეუბანში".

„არა", მისის არნოლდმა ნელა და მკაფიოდ თქვა, „არა, ვფიქრობ, უმჯობესია, თავიდან დავიწყო. როცა პატარა გოგო ვიყავი", თქვა მან. შემდეგ შეჩერდა. „მომისმინეთ", თქვა მისის არნოლდმა. „განა მაშინ არსებობდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ფსიქოსომატური მედიცინა", ან „საერთაშორისო კარტელი" ან „ბიუროკრატიული ცენტრალიზაცია"?

„კეთილი", თქვა ექიმმა.

„რას გულისხმობენ?", დაჟინებით იკითხა მისის არნოლდმა.

„საერთაშორისო კრიზისის პერიოდში", თქვა ექიმმა ლმობიერად, „როცა მაგალითად, ხედავთ, რომ კულტურული ნიმუშები დეზინტეგრაციას განიცდიან... "

„საერთაშორისო კრიზისი", თქვა მისის არნოლდმა. „ნიმუშები". ჩუმად ასლუკუნდა. „ჩემმა ქმარმა თქვა, რომ გაზეთების გამყიდველს უფლება არ ჰქონდა მისთვის „ტაიმსი" არ შეენახა", წამოიძახა ქალმა ისტერიულად და ხელის ფათურით, ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა. შემდეგ განაგრძო საუბარი ადგილობრივ სოციალურ დაგეგმარებაზე, დამატებითი გადასახადის ქსელის შემოსავალზე, გეოპოლიტიკურ კონცეფციებსა და დეფლაციურ ინფლაციაზე. მისის არნოლდის ხმა ყვირილში გადაიზარდა. „ჩემმა ქმარმა ნამდვილად თქვა „დეფლაციური ინფლაცია".

„მისის არნოლდ", თქვა ექიმმა და მაგიდას შემოუარა, „არ ვაპირებთ, რომ საქმეები ამგვარად გამოვასწოროთ".

„საშველი სად არის?", თქვა მისის არნოლდმა. „ნუთუ ყველა შეშლილია, ჩემს გარდა?"

„მისის არნოლდ", თქვა ექიმმა მკაცრად, „მინდა თავი ხელში აიყვანოთ. ისეთ ორიენტაციადაკარგულ სამყაროში, როგორიც დღესაა, რეალობისგან გაუცხოება ხშირად..."

„ორიენტაციადაკარგული", თქვა მისის არნოლდმა და წამოდგა. „გაუცხოება", თქვა მან. „რეალობა". სანამ ექიმი მას შეაჩერებდა, მისის არნოლდი კარისკენ გაემართა და გააღო. „რეალობა", თქვა ქალმა და გარეთ გავიდა.

***ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარელმა***

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848
9 770134 984002